პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 17 ივნისი 1928 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 139 (2182)

დღიური

- ამხ. ჩიჩერინის ნოტა პატეკისადმი
- ბრძოლა პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიისათვის გერმანიაში
- კამათი ბიუჯეტის გარშემო პოლონეთის სეიმში. — უკრაინელ დეპუტატების გამოსვლა
- თურქეთის სამხედრო მისიის გამგზავრება ავღანისტანში
- ამერიკის მემაღაროეთა მემარცხენე ფრთის კონფერენცია
- საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ დაამტკიცა ელზასელ დეპუტატ - ავტონომისტების მანდატი

დუშეთის აჯანყების ათი წლის თავზე

მხურვალე სალამი დუშეთის მაზრის მშრომელ გლეხ-კაცობას!

ამხანაგებო! შესრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც დუშეთის მაზრის ღარიბ-ღატაკმა გლეხკაცობამ პირველად აღმართა **შეიარაღებული აჯანყების დროშა ქართველ მენშევიკების ბურჟუაზიულ და ნაციონალისტურ-შოვინისტურ მთავრობის წინააღმდეგ.**

რამდენიმე კვირის განმავლობაში დუშეთელი გლეხები, მოკლებულნი სათანადო სამხედრო ხელმძღვანელობას და საომარ მასალას, მამაცურად და თავგანწირულად ებრძოდენ მენშევიკების რეგულიარულ ჯარებს და სახალხო გვარდიას, რომელსაც მეთაურობდენ გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელები — მეფის გენერლები და პოლკოვნიკები. მენშევიკების მთავრობას დუშეთელ აჯანყებულთა წინააღმდეგ მხარს უჭერდენ როგორც მაშინდელი საქართველოს ყველა კონტრ-რევოლიუციონური და შავრაზმული ელემენტები — თავად-აზნაურობა, ვაჭარ-მრეწველები, სამღვდელოება და სხვა, ისე **გერმანიის მხედრობა** თავისი ჰაეროპლანებით და არტილერიით. როგორც ვიცით, დუშეთის აჯანყებამ თავზარი დასცა მენშევიკების მთავრობას. იყო მომენტი, როცა აჯანყებული გლეხები ემუქრებოდენ თვით თბილისს. ამიტომ მენშევიკებმა საჩქაროდ მობილიზაცია უყვეს ყველა თავის ძალებს. ჯერ დააპირეს დატყუილებით მოეღოთ ბოლო აჯანყებისათვის და როცა ამ ოინით ვერას გახდენ, მაშინ მიმართეს სამხედრო ოპერაციებს, ნამდვილი ომის გამოცხადებით. **ქვეითა ჯარს** გვერდში ამოუყენეს **კავალერია და არტილერია** და სამი მიმართულებით შეუტიეს დუშეთის მაზრას. ამავე დროს ჰაერში მოქმედებდენ გერმანიის ჰაეროპლანები, რომლებიც სოფლებს ყუმბარებს უშენდენ. მთელ დუშეთის მაზრის გლეხკაცობას საშინელება დაატყდა თავზე. ამავე დროს თავის პრესაში და ზეპირადაც მენშევიკები ეწეოდენ ცილისწამების და სიცრუის ყოვლად საზიზღარ და ყოვლად უსინიდისო კამპანიას აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც თითქო გალაშქრებულიყვნენ, ბოლშევიკების რჩევით რევოლიუციის მონაპოვართა წინააღმდეგ და რომლებიც თითქო მოითხოვდენ თვით ნიკ[illegible] უნდა განვაცხადოთ, რომ მაშინდელ პირობებში ასეთი ჭორი, ასეთი ცილის წამება და სიცრუე, ბევრს სიმართლე ეგონა.

დუშეთის აჯანყება განმარტოებული დარჩა, მას დროზე ვერ გამოეხმაურენ სხვა მაზრების უკმაყოფილო გლეხები. ვერსაიდან დახმარება ველარ ეწია და ამიტომ, მიუხედავად იშვიათი თავგამოდებისა, იგი მაინც დამარცხებით გათავდა ბოლოს. მენშევიკების ჯალათებმა ვალიკო ჯუღელის მეთაურობით გული იჯერეს აჯანყებულ გლეხებზე შურისძიებით. იმათ გარდა, ვინც ბრძოლაში დაიხოცა, მენშევიკებმა არ დაინდეს ტყვედ ჩავარდნილი გლეხებიც კი, რომლებიც გაუსამართლებლად დაუყოვნებლივ დახვრეტილ იქნენ. მათ შორის მოხვდენ მძიმედ **დაჭრილი თომა ჩუბინიძე** და ავადმყოფი **მიხა პაპიაშვილი,** რომელიც ლოგინიდან წაიყვანეს და დახვრიტეს.

ეს აჯანყება ძლიერ ძვირად დაუჯდა დუშეთის მაზრის გლეხკაცობას. ფიზიკური დამარცხება მეტად საგრძნობი იყო. მაგრამ მენშევიკებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ზნეობრივად გამარჯვებული — გლეხები დარჩენ. **ჟორდანია-რამიშვილის მთავრობამ** ასეთი სასტიკი ზომებით გლეხკაცობა არა თუ ვერ დაიახლოვა და ვერ მიიზიდა, არამედ კიდევ უფრო ჩამოიშორა და ამ ორ მხარეს შორის სამუდამოდ უფსკრული გაითხარა. ამ დამარცხებით დუშეთის გლეხკაცობა არა თუ არ მიეცა სასოწარკვეთილებას, არამედ იგი მუდამ ახალი აჯანყების მოწყობისათვის ემზადებოდა თავის მიზნის განსახორციელებლად. დუშეთის მაზრის გლეხკაცობამ, (და განა მარტო დუშეთისა?) შესაფერი დასკვნა გამოიტანა ამ აჯანყებიდან, — ესე იგი, რომ მენშევიკების მთავრობა იყო მშრომელი ხალხის მტრების — ბურჟუა-კაპიტალისტების და მემამულეების მთავრობა. მენშევიკებმა ამ აჯანყების ჩაქრობით ხალხის თვალში თვითანვე დაასამარეს თავისი თავი როგორც მუშათა კლასის პოლიტიკური პარტია. ამიერიდან იმათ შეეძლოთ ბატონობა მხოლოდ **ძალმომრეობის** საშუალებით. დუშეთის მაზრის გლეხკაცობა დანარჩენ მაზრების გლეხებთან ერთად მოუთმენლად ელოდებოდენ იმ დროს, როცა მენშევიკების ბატონობის უკანასკნელი ზარი დაკრავდა. მთელი 2 ნახ. წელიწადი დასჭირდათ მათ ამის ლოდინში.

უკვე მერვე წელიწადია რაც მთელი საქართველოს მშრომელი ხალხი განთავისუფლებულია მენშევიკების მტარვალობისაგან. მაგრამ თავის შედარებით ხანმოკლე ბატონობის დროს მენშევიკებმა მრავალი ბოროტება დასთესეს, რის აღმოფხვრამ მოითხოვა ჩვენგან დიდი დრო და დიდი შრომა. საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის შეუწყვეტელი მეცადინეობის მეოხებით მთელი მშრომელი ხალხის და, მაშასადამე, მშრომელი გლეხკაცობის მდგომარეობის გაუმჯო[illegible] ყოფილია. გლეხკაცობას მინიჭებული აქვს თავისი შემოქმედებითი მუშაობისათვის ფართო გასაქანი. საბჭოთა ხელისუფლება უჩენს მას ყოველგვარ დახმარებას ამ საქმეში. ხალხი შეეჩვია თვითმოქმედებას, იგი შეიქნა თავისი თავის სრული ბატონ-პატრონი, იგი თანდათან ებმება დაწყებულ სოციალისტურ აღმშენებლობის ფერხულში, და არავის ძალუძს მისი აქ გზიდან გადაცდენა.

გაუმარჯოს დუშეთის მაზრის მშრომელ გლეხკაცობას და ძირს ყველა მისი მტრები!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ფ. მახარაძე.

თვითკრიტიკა მასებში!

თვითკრიტიკის განვითარებაზე პარტიის მიერ აღებული კურსი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც დროებითი „კამპანია". თვითკრიტიკის განვითარება არის ხანგრძლივი ორგანიული კურსი. ჩვენ გადაჭრით და დაუყოვნებლივ უნდა ავიღოთ ეს კურსი, მაგრამ ამის აუცილებლობა ჯერ კიდევ ბევრ პარტიულ ორგანიზაციას არა აქვს შეგნებული.

ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი მიმართვა „პარტიის ყველა წევრებისადმი და ყველა მუშებისადმი" ავტორიტეტულად და კატეგორიულად მოაგონებს თვითკრიტიკის საჭიროებას ყველა იმათ, ვისაც თვითკრიტიკის განვითარების ეშინია და ვინც ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს უქმნის მუშათა მასებს თვითკრიტიკის განვითარების საქმეში. ჩვენ უკვე ვსწერდით იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ნამდვილად უნდა გაეცნონ ყველა მუშები და აგრეთვე პარტიის ყველა წევრები. ეს მიმართვა აუცილებლად ფართოდ უნდა გავრცელდეს მუშებში, ის უნდა წაიკითხონ მუშათა კრებებზე და საამქროების კრებებზე; აუცილებლად უნდა განუმარტონ მუშებს თვითკრიტიკის აზრი და მნიშვნელობა და მოუწოდონ მათ პარტიის მიერ აღებულ კურსის განხორციელებისაკენ.

ცენტრალური კომიტეტის მიმართვის აზრი მეტად მარტივია და ყოველი მუშა ადვილად გაიგებს მას: ბოლშევიკური პარტიის ცეკა მოუწოდებს მუშებს ებრძოლონ ჩვენს აპარატში, მეურნეობაში, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებში არსებულ გადამახინჯებას, ავადმყოფურ მოვლენებს და მოუწესრიგებლობას, ის მოუწოდებს შემოქმედებითი მონაწილეობისაკენ ყველა ჩვენი ორგანიზაციებისა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების საქმეში.

ყველაზე უდიდეს და უბოროტეს მტერს, რომელიც ადუნებს პროლეტარიატის დიქტატურის საერთო სისტემის ცალკე დარგებს და რომელიც უნდა აღმოიფხვრას მასიური კონტროლისა და თვითკრიტიკის განვითარებით, — წარმოადგენს ბიუროკრატიზმი, ჩინოვნიკური ქაოზი.

ბიუროკრატიული გადამახინჯება ახშობს ყოველგვარ ცოცხალ საქმეს, აფერხებს აქტივობას, ჰბოჭავს მასების ინიციატივას და აშორებს მასებს ჩვენი ორგანიზაციებისაგან. ბიუროკრატიზმი ხშირად გამოხატავს პროლეტარიატისათვის უცხო ფენების გავლენას, ჰფარავს ბოროტმოქმედებას ძალაუფლებით და მდგომარეობით, ჰფარავს გახრწნას (არტემოვსკისა და სმოლენსკის საქმე) და ზოგჯერ აშკარა კონტრ-რევოლიუციასაც (შახტი). ბიუროკრატიზმის სავსებით აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ მშრომელთა მასის კულტურული დონის აწევით, მაგრამ მასიური კონტროლისა და თვითკრიტიკის მეთოდებითაც ჩვენ ბევრი რაიმე გაკეთება შეგვიძლია, თუ მასებში ავამოძრავებთ იმ „შემოქმედებითი და საქმიანი თვითკრიტიკის ტალღას", რომლის შესახებაც ლაპარაკია ცენტრალურ კომიტეტის მიმართვაში.

როგორც პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლის მეთოდი — ჩვენი თვითკრიტიკა ასრულებს „უარყოფით" ამოცანებს (ბიუროკრატის მხილება, დაუდევრობის, ბოროტმოქმედების, უყაირათობის, მუშაობის უუნარის უქონლობის, მასებისაგან ჩამოშორების გამოაშკარავება) და ამ ამოცანების შესრულებას უთანხმებს დადებით შემოქმედებასა და მშენებლობას. თვითკრიტიკა არის მთელი მუშათა მასის სოციალისტური მშენებლობის მეთოდი. კრიტიკის დროს — აწარმოე მშენებლობა და მშენებლობის დროს— კრიტიკა და კონტროლი, —ასეთია შემოქმედებითი თვითკრიტიკის პაროლი.

თუ მუშა არ გრძნობს, რომ მას სრული შესაძლებლობა აქვს თავისი კლასობრივი ორგანიზაციების საშუალებით, აღმოფხვრას ესა თუ ის სიმახინჯე და მოაგვაროს საქმე, —ის უარს იტყვის კრიტიკაზე და ჩვენი მხურვალე მოწოდება თვითკრიტიკისაკენ დარჩება ცარიელ ლაყბობად და ფარატინა ქაღალდად. აი, რატომ უკავშირებს ცეკას მიმართვა თვითკრიტიკის ამოცანებს შინაპარტიულ დემოკრატიის გაფართოებისა და გაღრმავების ამოცანებს და პროფკავშირულ დემოკრატიის განვითარების ამოცანებს. მასების კრიტიკა მხოლოდ მაშინ განვითარდება სათანადოთ, როცა ყველგან დაინახავენ მუშები თავისი კრიტიკის ნაყოფს, როცა ისინი თავისი ორგანიზაციების საშუალებით ნამდვილად სპობენ გადამახინჯებას, სისაძაგლეს და შეცდომებს. ხოლო ამის განხორციელება შეიძლება თავისუფალი შინაპარტიული კრიტიკით და საქმის მიჩქმალვის, „გადახრებისა", ან. „კინკლაობის" ბიუროკრატიული მეთოდების წინააღმდეგ ბრძოლით; ამის განხორციელება შეიძლება საქმიანი კრიტიკით, არჩევის პრინციპის მტკიცეთ გატარებით.

თვითკრიტიკას, მხოლოდ როგორც შინაპარტიულ და პროფკავშირულ დემოკრატიის ერთ-ერთ მეთოდს, შეუძლია მოგვცეს და მოგვცემს კიდეც უდიდეს შედეგებს სოციალისტური მშენებლობის დარგში.

პარტია თვითკრიტიკას ანვითარებს გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, როცა პროლეტარიატის დიქტატურის მტრები დიდ აქტივობას იჩენენ როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ამიტომ თვითკრიტიკის განვითარების დროს ჩვენს წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით სდგება გადაუდებელი ამოცანა—პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციებისა და მისი დიქტატურის განმტკიცება.

ბურჟუაზიის დამქაშები, როგორიც გერმანიის სოციალ-დემოკრატებია მათი საზიზღარი „ფორვერტს"-ით, ყოველ დღე სიხარულით აღნიშნავენ ჩვენს ნაკლსა და „ბნელ" ადგილებს. მათი მსჯელობით საბჭოთა ხელისუფლება, თითქოს, „იხრწნება", ცეკას მიმართვა თვითკრიტიკისა და შინაპარტიულ და პროფკავშირულ დემოკრატიის შესახებ მათ გამოჰყავთ, როგორც „ძახილი — დემოკრატია, „გვიშველე", როგორც „დიქტატურული მეთოდების გაკოტრება" (იხ. 8 ივნისის „ფორვერტს"-ი). მაგრამ ველსებისა და ბარმატების გაზეთის სიცრუე და თვალთმაქცობა პირდაპირ თვალში გეცემა. ისინი არ ამბობენ, რომელ დემოკრატიას მიმართავს მოწოდებით ბოლშევიკური პარტიის ცეკა. მათ ყოველნაირათ სურთ წაშალონ ისტორიის ფურცლებიდან ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარულმა დემოკრატიამ არამც თუ არ იცის არავითარი „დიქტატურული მეთოდების გაკოტრება", არამედ, პირიქით, პროლეტარული დემოკრატია გამოწვეულია, ვითარდება და ფართოვდება მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის არსებობით და ის პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ისეთ დემოკრატიას როგორიც „ფორვერტს"-ს სჭირდება, ის საბჭოთა კავშირში ვერ ეღირსება. ჩვენ ვიწვევთ მუშათა მასების შემოქმედებითი თვითკრიტიკის მძლავრ ტალღას, რომელიც პროლეტარული დიქტატურის ორგანოებს აცხოველებს, სწმენდს, ანმტკიცებს და ახალი ძალებით ავსებს. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი საუცხოვოდ არჩევს საქმიან და შემოქმედებით პროლეტარულ კრიტიკას კლასობრივი მტრის „კრიტიკისაგან".

დეე, ბურჟუაზიამ და მისმა ლაქიებმა ისისინონ, იყვირონ და ავრცელონ ცილისწამება საბჭოთა კავშირის შესახებ. საბჭოთა კავშირის პროლეტარები თავისი მებრძოლი ორგანიზაციების განსამტკიცებლად, სოციალისტური მშენებლობის ახალი მიღწევების უზრუნველსაყოფად და სოციალიზმის გამარჯვების მიზნით წარმოებულ კლასობრივ ბრძოლისათვის მოაწყობენ და განავითარებენ პროლეტარულ თვითკრიტიკას. პროლეტარიატის დიქტატურა — მძლავრი და მტკიცეა და ის თვითკრიტიკის ცეცხლში გამობრძმედილი კიდევ უფრო განმტკიცდება.

„პრავდა", 16 ივნისი.

ბრძოლა კოალიციონური მთავრობის გარშემო გერმანიაში

გერმანიის ბურჟუაზიული პარტიები მიულლერისგან მოითხოვენ მათი კურსის მტკიცედ გატარებას

ბაი-ცზუნ-ჩის 100.000-ნი არმია პეკინთან.—იაპონია არ აპირობს შანდუნის დაცლას

პეკინის დიპლომატიურმა კორპუსმა გადასწყვიტა იცნოს ნანკინის მთავრობა დე-ფაქტო

საბერძნეთის კომუნისტების და გაფიცულ მეთამბაქოე მუშების შეტაკება ჯარებთან

ვაჭრობა გერმანიის მენშევიკებსა და ბურჟუაზიულ პარტიებს შორის

რეიხსტაგის პრეზიდიუმი

ბერლინი, 15 ივნისი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„რეიხსტაგის თავმჯდომარეთ აირჩია სოციალ-დემოკრატი დეპუტატი ლებე. რეიხსტაგის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ ცენტრის წარმომადგენელი ესსერი, სახალხო პარტიის წარმომადგენელი კარდორფი და ნაციონალისტების წარმომადგენელი" (ადს).

ბურჟუაზიული პარტიების პრეტენზიები

ბერლინი, 15 ივნისი. იმ დროს, როცა სოციალ-დემოკრატები ყოველგვარი პირობის გარეშე არიან თანახმა მიიღონ მონაწილეობა მთავრობაში, ცენტრის პარტია და განსაკუთრებით სახალხო პარტია ფართო პოლიტიკურ მოთხოვნილებებს აყენებენ. მათ ეხლავე აიღეს ისეთი კურსი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დიდი კოალიციის მთავრობამ გადაჭრით უნდა შეასრულოს ბურჟუაზიული პარტიების მოთხოვნილებანი (ადს).

ამხ. პიკი

ბერლინი, 15 ივნისი. პრუსიის ლანდტაგის კომფრაქციის თავმჯდომარემ ვილჰელმ პიკმა უარი განაცხადა ლანდტაგის დეპუტატობაზე და შეინარჩუნა თავისი მანდატი რეიხსტაგში. პრუსიის ლანდტაგის კომფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ერნსტ მეიერი (ადს).

თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა ურყევია

გაზ. „მილიეტ"-ის პასუხი „ტან"-ის პროვოკაციაზე

სტამბოლი, 15 ივნისი. ოფიციოზი „მილიეტი" იხილავს რა იტალია-თურქეთის ამას წინედ დადებულ ხელშეკრულებას თავდაუსხმელობის და შემარიგებელი პროცედურის შესახებ, სწერს: „ზოგიერთი გაზეთები ემყარებიან რა შემცდარ მოსაზრებებს, არასწორად განმარტავენ ხელშეკრულებას. ასე, მაგალითად, „ტანი" სცნობს, რომ იტალია-თურქეთის ხელშეკრულება გავლენას იქონიებს აღმოსავლეთში დაინტერესებული ძალების ურთიერთობაზე და აგრეთვე თურქეთსა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზეო. ხელშეკრულებას არ შეუძლია იქონიოს გავლენა თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე. ეს შეუძლია სთქვას მხოლოდ იმან, ვინც არაფერი არ იცის იმის შესახებ, თუ როგორი ურთიერთობა გვაქვს ჩვენს მეზობლებთან და როგორი ხელშეკრულებებია დადებული თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. ჩვენი საბჭოთა მეგობრობის განწყობილება სრულებით არ უშლის ხელს ხელშეკრულებების დადებას დასავლეთ სახელმწიფოებთან. როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი საბჭოთა მეგობრებისათვის უმთავრესი ამოცანაა მშვიდობიანობის და უშიშროების განმტკიცება (ადს).

კამათი პოლონეთის ბიუჯეტის შესახებ

სეიმს „არ სურს" მდგომარეობის გამწვავება. — უკრაინელების გამოსვლა. — მენშევიკი დაშინსკი პოლონეთის იმპერიალიზმის სადარაჯოზე. — „დასავლეთ უკრაინას სურს გაერთიანება საბჭოთა უკრაინასთან"

სეიმმა მესამე წაკითხვით საბოლოოდ მიიღო ბიუჯეტი. ბიუჯეტის წინააღმდეგ საერთოდ ხმა მისცეს: ეროვნულმა უმცირესობებმა და უკიდურეს მემარცხენე პარტიებმა; ბიუჯეტის მიღებას ხმა მისცეს პილსუდსკის მომხრეებმა, „ვიზვოლენიემ", ეროვნულ მუშათა პარტიამ, გლეხთა კავშირმა და ქრისტიანმა დემოკრატებმა; თავი შეიკავეს ნაციონალ-დემოკრატებმა და პოლონეთის სოც. პარტიამ.

მთავრობას არ ქონდა უმრავლესობა, მაგრამ სეიმს არ უნდოდა ბრძოლის გაჩაღება. მდგომარეობა იხსნა ბიასტმა, რომელიც „პატიოსანი მაკლერის როლში" გამოვიდა (ადს).

ვარშავა, 15 ივნისი. ბიუჯეტის მესამედ წაკითხვის დროს გამოვიდა უკრაინელთა შრომის პარტიის დეპუტატი ზახიდნი. როცა მან იხმარა ტერმინი,— დასავლეთ უკრაინა, თავმჯ[illegible]ტია ორატორს და განაცხადა: „პოლონეთში არ არსებობს დასავლეთ უკრაინა, არსებობს მხოლოდ მცირე პოლონეთი". ამის შემდეგ დაშინსკიმ სიტყვა წაართვა ზახიდნის.

შემდეგ გამოვიდა პალიევი, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინელებს არ შეუძლიათ ხელი აიღონ ტერმინზე — დასავლეთ უკრაინა და რომ დასავლეთი უკრაინა სცდილობს შეუერთდეს აღმოსავლეთ უკრაინას.

დაშინსკიმ ორატორს შეაწყვეტია სიტყვა და განაცხადა: „მე უკვე შევეცადე განმემარტა, რომ უკრაინის ს. ს. რესპუბლიკასთან მშვიდობიანი ურთიერთობისათვის ჩვენ პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ მის საზღვრებს. ამ რესპუბლიკას უფლება ექნებოდა განეცხადებია პროტესტი, რომ რომელიმე პოლონელ დეპუტატს დნეპრისიქითა უკრაინისათვის ეწოდებია დასავლეთ-პოლონეთი" (ადს).

გერმანიის მუშების ბრძოლა ამნისტიისათვის

შეკითხვა ამნისტიის შესახებ

ბერლინი, 15 ივნისი. ყველა წინადადებანი ამნისტიის შესახებ რეიხსტაგის სხდომაზე წინასწარ განსახილველად გადაეცა კომისიას, რომელიც ამ დღეებში შეიკრიბება.

კომუნისტმა ორატორმა **გელეინმა** დაგმო ამნისტიის პოლიტიკური საბოტაჟი სოციალ-დემოკრატების მხრივ და განაცხადა, რომ კომპარტიამ გადასწყვიტა პარლამენტის კედლების გარეთ აწარმოოს სასტიკი ბრძოლა, სანამ განთავისუფლებული არ იქნება უკანასკნელი პოლიტიკური პატიმარი. (ადს).

ამნისტიის მოთხოვნილება

ბერლინი, 15 ივნისი. 14 ივნისს რეიხსტაგში მივიდნენ სხვადასხვა წარმოებათა მუშების დელეგაციები და მოითხოვეს ამნისტია ყველა პოლიტიკური პატიმრებისათვის, მათ შორის მაქს გელცის და მარგისისათვის.

კომპარტიის დეპუტატებმა განუცხადეს დელეგაციებს, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ მუშების ყველა მოთხოვნილებებს. ერთი უმუშევარი შეეცადა სიტყვა წარმოეთქვა ქანდარაზე და მოეთხოვა უმუშევართა განთავისუფლება, მაგრამ იგი დაუყოვნებლივ გააძევეს სხდომის დარბაზიდან. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

უხანელები პეკინთან

შანხაი 16 ივნისი. უკანასკნელი ცნობებით, ფინ-იუი-სიანის ჯარები დაბრუნდნენ გუანში 40 კილომეტრის მანძილზე პეკინის სამხრეთით. უხანის ჯგუფის ლიდერმა ბაი-ცზუნ-ჩიმ პრესის წარმომადგენლებთან გამართულ საუბარში განაცხადა, რომ პეკინის მახლობლად მის განკარგულებაში 100.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი, მაგრამ ეს ჯარი პეკინში არ შევა". (ადს).

იაპონელები შანდუნში

ტოკიო, 15 ივნისი. შანდუნიდან დაბრუნდა გენერალი მატუი, რომელმაც პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ „იაპონიის ჯარების ევაკუაციას შანდუნიდან ახლო მომავალში არ მოახდება, ვინაიდან შანდუნში მხოლოდ იაპონიის ჯარები იცავენ „მშვიდობიანობას". (ადს).

იაპონელებმა აკრძალეს გომინდანის დროშების გამოფენა

პეკინი, 15 ივნისი. იაპონიის გენერალურმა კონსულმა ცინდაოში გუბერნატორ ჩამ[illegible] აცნობა, რომ რკინის გზის ხაზის ფარგლებში 20 ლის რადიუსზე არ შეიძლება გომინდანის დროშების გამოფენა შენობებზე.

სამხრეთელებმა დაიკავეს ჩიფუ

შანხაი 15 ივნისი. ქალაქი ჩიფუ, რომელიც მდებარეობს შანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სამხრეთელების ხელში გადავიდა. ქალაქი მორთულია გომინდანის დროშებით. (ადს).

იაპონელების მოთხოვნილებები

შანხაი, 15 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, იაპონიის კონსულმა ცინდაოში ინახულა გუბერნატორი ჩამ[illegible]ჩი და განუცხადა, რომ ცზინანის ინცინდენტის მოგვარებას მოუნდება არა ნაკლებ 3—4 თვისა. ამ ხნის განმავლობაში შანდუნის რკ. გზის გასწვრივ და ცზინანის და ცინდაოს ირგვლივ დატოვებულ უნდა იქნეს ნეიტრალური ზონა და ამ ზონაში აკრძალულია გომინდანის დროშის გამოფენა. (ადს).

იან-იუ-ტინის ჯგუფი

შანხაი, 15 ივნისი. ჩინური გაზეთები გამოსთქვამენ აზრს, რომ ჯგუფი. რომელსაც ხელმძღვანელობს ანგოცზიუნის შტაბის უფროსი იან-იუ-ტინი, გადავა სამხრეთელების მხარეზე.

კომუნისტების დევნა

შანხაი, 15 ივნისი. შანხაის საერთაშორისო უბნის მუნიციპალურმა პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე ჩინელი სტუდენტი, რომლების ბინაზე, თითქოს, აღმოჩნდა არალეგალური სტამბა და კომუნისტური ლიტერატურა. საერთაშორისო უბნის პოლიციამ ჩინელთა ხელისუფლებას გადასცა კომუნისტი ჩან[illegible] რომელიც, „ჩაინა ტაიმს"-ის [illegible] ყუბას ტაიანში და შანდუნის პროვინციაში (ადს).

ჩან-კაი-ში

შანხაი, 15 ივნისი. პრესა განმეორებით იუწყება, რომ ნანკინის მთავრობამ წინადადება მისცა ჩან-კაი-შის უკან წაიღოს განცხადება გადადგომის შესახებ. (ადს).

გაფიცვა აბრეშუმის სართავ ფაბრიკებში

შანხაი, 15 ივნისი. ჩინური გაზეთი „სინ-ვენ-ბაო" იუწყება, რომ შანხაის გარნიზონის უფროსმა მოითხოვა მუშაობის განახლება აბრეშუმის სართავ წარმოებებში, მაგრამ გაფიცულები წინდებურად მოითხოვენ უმთავრეს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მუშაობის განახლებამდე. (ადს).

შეტევა მუშების წინააღმდეგ

შანხაი, 15 ივნისი. გუტონში (შანხაის ჩინური ნაწილი) ხელისუფლებამ დახურა ნავთსადგურის მუშათა კავშირის შენობა. კავშირის მდივანი დაპატიმრებულია. (ადს).

ტანაკა მანჯურიის შესახებ

ტოკიო, 15 ივნისი. სეიუკაის პარტიის ბელადთა თათბირზე პრემიერმა ტანაკამ განაცხადა:

„მანჯურიის მდგომარეობა განირჩევა დანარჩენ ჩინეთის მდგომარეობისაგან, ვინაიდან იაპონია პასუხისმგებელია მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის მთელს მანჯურიაში. იაპონიის გადაწყვეტილება—არ დაუშვას არეულობა მანჯურიაში აიძულა ჩრდილოელები მშვიდობიანად გასულიყვნენ ჩჟილიდან და გადაერჩინათ კატასტროფისაგან პეკინი. აქედან სჩანს, რომ ხელსაყრელია მტკიცე პოლიტიკა ჩინეთის მიმართ". (ადს).

ნანკინის მთავრობის ცნობა დე-ფაქტო

შანხაი, 16 ივნისი. ნანკინის სააგენტო გოძინის ცნობით პეკინის დიპლომატიურმა კორპუსმა გადასწყვიტა იცნოს ნანკინის მთავრობა დე-ფაქტო და გადასცეს მას ყველა ის ზედმეტი ბაჟები, რომლებიც შემოვიდა საზღვაო საბაჟოებიდან. (ადს).

ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

შანხაი, 15 ივნისი. ვან-ჩჟენ-ტინი შეუდგა ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის ასრულებას. მან განაცხადა, რომ მიზნად დაისახავს უთანასწორო ხელშეკრულებების გაუქმებას და არ დაუთმობს „ძლიერ სახელმწიფოებს". (ადს).

კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ხარბინი, 15 ივნისი. იაპონურმა პრესამ მანჯურიაში და ჩინურმა პრესამ, რომელიც იაპონელთა ხარჯზე გამოდის, ჩან ძო-ლინის მატარებლის აფეთქების შემდეგ გააფართოვებული პროვოკაციული კამპანია დაიწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ხარბინის „ნიცი ნიცი" 14 ივნისის თარიღით იუწყება:

„რუსეთის ცენტრალური სამხედრო ხელისუფლება იმ ანგარიშით, რომ მატარებლის აფეთქება მანჯურიაში გამოიწვევდა პანიკას, [illegible] ჩინეთის რკ. გზის ხელში ჩაგდების მიზნით. ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებას ნიკოლსკ-უსურიისკის, ხაბაროვსკისა და ჩიტის რაიონში გაიგზავნა 8 ქვეითი და 2 ცხენოსანი დივიზია და 2 ცხენოსანი დივიზიონი. გარდა ამისა, ზაბაიკალიეში გაიგზავნა დივიზია და 25 აეროპლანი". (ადს).

სისხლისმღვრელი შეტაკებები საბერძნეთში

ვენა, 15 ივნისი. ათინიდან მიღებულ ცნობით, საბერძნეთის მაკედონიაში **თამბაქოს ფაბრიკის მუშათა გაფიცვა ძლიერდება.** გაფიცვას შეუერთდნენ კუნძულ ტაზოსის და სამრეწველო ცენტრის სარისამბანის თამბაქოს მუშები. ქალაქ ქსანტში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია მთავრობის წინააღმდეგ. დემონსტრანტებსა და სამხედრო ნაწილებს შორის მოხდა შეტაკება. მძიმეთ დაჭრილია 7 მუშა; ერთი მოკლულია. შეუმოწმებელ ცნობების მიხედვით, ქალაქში აფეთქდა დინამიტი.

ათინის ბურჟუაზიული პრესა მოუწოდებს მთავრობას დაიწყოს ენერგიული ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ.

საბერძნეთის რკინისგზელები აპირებენ გაფიცვის გამოცხადებას სოლიდარობის ნიშნად (ადს).

ბერლინი, 15 ივნისი. როგორც „ბერლინერ ტაგებლატ"-ი იუწყება ამჟამად გაფიცვა საბერძნეთში მოედო მთელ მაკედონიისა და აღმოსავლეთ ფრაკიის თამბაქოს ფაბრიკების მუშებს. კომუნისტებმა სალონიკში მოაწყვეს დიდი საპროტესტო მიტინგი, რომელიც კავალერიამ დაშალა. ტმიკსერესში კომუნისტებსა და ჯარებს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება. ქსანტეში მუშებსა და ჯარებს შორის გაიმართა ნამდვილი ბრძოლა, რომელიც ორი საათი გაგრძელდა. ოფიციალური ცნობების მიხედვით, მოკლულია 6 კაცი და დაჭრილია 40, მათ შორის რამოდენიმე ოფიცერი.

ვილაცამ ქუჩაში გადისროლა ყუმბარა. ქალაქ დრამაში თავს დაესხენ ჟანდარმერიის უფროსს. ათინის პრესა მომხდარ ამბებს იყენებს აგიტაციისათვის კომუნისტების წინააღმდეგ.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

ელზასელ ავტონომისტების ამნისტიის საკითხი

პარიზი, 15 ივნისი. დაპატიმრებულ ელზასელ ავტონომისტ-დეპუტატების რიკლენის და როსეს საკითხის გარჩევა დეპუტატთა პალატაში მოხდა შემდეგნაირად:

წინადადებები რიკლენისა და როსესთვის ამნისტიის გამოცხადების შესახებ შეიტანეს ავტონომისტმა ვალტერმა და სოციალისტმა ურომ. მთავრობის სახელით იუსტიციის მინისტრმა ბარტუმ გაილაშქრა ამ წინადადებების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მთავრობა სვამს ნდობის საკითხს, უპასუხა რა ბარტუს კომუნისტმა დეპ. ბერტონმა აღნიშნა, რომ, კონსტიტუციის თანახმად, დეპუტატთა პალატას უფლება აქვს გაანთავისუფლოს დეპუტატები მთავრობის დაუკითხავად. მემარჯვენე დეპუტატმა რენხელმა და ავტონომისტმა ბროლიმ მიმართეს ვალტერს თხოვნით მოეხსნა მისი წინადადება, ვინაიდან პარასკევს დეპუტატთა პალატაში გაირჩევა რიკლენის და როსეს სადეპუტატო მანდატების დამტკიცების საკითხი. ვალტერი დასთანხმდა. მაგრამ პუანკარემ მოითხოვა საკითხის საბოლოოდ მოხსნა. სხდომა შეწყდა. სხდომის განახლების შემდეგ იუსტიციის მინისტრმა ბარტუმ ხელახლა დასვა ნდობის საკითხი. რეზოლიუცია, რომელიც ნდობას უცხადებს მთავრობას და უარყოფს წინადადებას. დაპატიმრებულ დეპუტატების განთავისუფლების შესახებ, მიღებულ იქნა 342 ხმით 167-ის წინააღმდეგ. (ადს).

ელზასელ ავტონომისტების მანდატები დამტკიცებულია

პარიზი, 15 ივნისი. ჰავასის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ 15 ივნისს დაამტკიცა ელზასელ ავტონომისტების რიკლენის და როსეს მანდატები".

კომუნისტ დეპუტატის გამორიცხვა

პარიზი, 15 ივნისი. სამანდატო კომისიამ 17 ხმით 11-ის წინააღმდეგ უარყო კომუნისტ მენეტრიეს მანდატის დამტკიცება, იმ მოსაზრებით, რომ მენეტრიე პასუხისგებაშია მიცემული ჯაშუშობის საქმეზე.

კომისიამ დაადგინა, რომ არჩეულად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკანურ დემოკრატიულ კავშირის წევრი გოტერო, რომელმაც მენეტრიეს შემდეგ ყველაზე მეტი ხმა მიიღო.

შეერთებული შტატების მემაღაროეები

რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე დგებიან

ამერიკის მემაღაროეთა მემარცხენე ფრთის კონფერენცია

ნიუ-იორკი, 15 ივნისი. ამერიკის სამთამადნო მუშათა კავშირის მემარცხენე ფრთის კონფერენციამ, რომელიც გაიმართა პიტსბურგში, დაადგინა **9 სექტემბერს მოიწვიოს სრულიად ამერიკის სამთამადნო მუშათა ყრილობა ახალი კავშირის მოსაწყობად.**

კონფერენციამ დაამტკიცა პენსილვანიის და ოგაიოს ადგილობრივ ორგანიზაციებში ახლად არჩეული თანამდებობის პირნი. ეს თანამდებობის პირები არ იცნო კავშირის ბიუროკრატიულმა ზედა ფენამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ლიუისი.

კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულია სამთამადნო მუშათა კავშირის მემარცხენე ფრთის ბელადი ჯონ ბუტი, მდივნათ — კომუნისტი პატუგეი.

სამთამადნო მუშათა რეფორმისტულ კავშირის გამგეობა სასტიკად ილაშქრებს პიტსბურგის კონფერენციის წინააღმდეგ.

შეერთებულ შტატების კომპარტიის ორგანო „დეილი ურკერ" სწერს:

„პიტსბურგის კონფერენცია შევა ამერიკის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. სამთამადნო მუშები უნდა დაირაზმონ მწარმოებლების მახინაციების წინააღმდეგ. სამთამადნო მუშების ახალი კავშირი უნდა გადაიქცეს უძლიერეს ორგანიზაციათ ამერიკის მუშათა მოძრაობაში" (ადს),

ამხ. ჩიჩერინის ნოტა პატეკისადმი

მოსკოვი, 16 ივნისი. 16 ივნისს გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. **სტომონიაკოვმა** გადასცა პოლონეთის ელჩს მოსკოვში პატეკს ამხ. **ჩიჩერინის** შემდეგი ნოტა:

„ჩემს 7 მაისის ნოტაში მე მივაპყარი თქვენი ყურადღება იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის (ვარშავაში) უშიშროების გარანტიების უქონლობა, რაც ეხლაც გრძელდება, ხდება ისეთ ფაქტად, რომელიც პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ურთიერთობისათვის. შექმნილი მდგომარეობის გამო საკავშირო მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ პოლონეთის მთავრობა სასწრაფოდ აცნობებდა, მას, თუ რა ზომები მიიღო პოლონეთის მთავრობამ თეთრი ემიგრაციის გადაჭრით და საბოლოოდ აღმოსაფხვრელად პოლონეთში. თქვენი 3 ივნისის ნოტიდან საკავშირო მთავრობას გამოაქვს ის დასკვნა, რომ პოლონეთის მთავრობას შექმნილი არანორმალური მდგომარეობის მოსაგვარებლად საკმარისად მიაჩნია ის გაფართხილება თეთრ ემიგრაციისადმი, რომელიც გამოთქმული იყო პოლონეთის მთავრობის 1927 წლის 14 აგვისტოს განცხადებაში. მაგრამ ამ აქტის მიხედვით პოლონეთის მთავრობის მიერ მიღებული ზომები, სრულიად არ აღმოჩნდა საკმაო თეთრგვარდიელ ემიგრანტთა ტერორისტული საქმიანობის შესაწყვეტად. ამის დამამტკიცებელი საბუთია 3 მაისს მომხდარი თავდასხმა. საკავშირო მთავრობას აგრეთვე საკმაოდ არ შეუძლია ჩასთვალოს ის ზომები, რომლებიც მიიღო პოლონეთის მთავრობამ ვოიცეხოვსკის თავდასხმის შემდეგ. თქვენს 3 ივნისის ნოტაში თქვენ ეყრდნობით მთელ რიგ დაპატიმრებებს, რომლებიც მოახდინა მთავრობამ ამ თავდასხმის შემდეგ, მაგრამ ამავე დროს ყველა ის პირები, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ 3 ივნისს მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით, უკვე განთავისუფლებული არიან. საეჭვოა, რომ ასეთმა ღონისძიებებმა, რომლებიც მხოლოდ დროებითი ეფექტით განისაზღვრება, შესძლოს მოახდინოს სათანადო შთაბეჭდილება თეთრი ემიგრაციის ბოროტმოქმედ წრეებზე პოლონეთში. საკავშირო მთავრობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის უშიშროების უზრუნველსაყოფად და პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის დასაცავად განუწყვეტელ რყევისაგან საჭიროა მიღებულ იქნას უფრო სერიოზული ზომები. რამდენადაც პოლონეთის მთავრობამ, როგორც თქვენ იუწყებით თქვენს 3 ივნისის ნოტაში, გადასდგა და მხედველობაში აქვს გადასდგას ნაბიჯები, რათა „შეუძლებლად გახადოს მომავალში" ტერორისტული აქტები საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის წინააღმდეგ, საკავშირო მთავრობა დაუცდის ცნობებს, თუ რა კონკრეტული ზომები მიიღო პოლონეთის მთავრობამ ამ მიმართულებით. პოლონეთის მთავრობის მიერ ახალი სერიოზული გადამჭრელი ზომების მიღების გარეშე თეთრი ემიგრაციის წინააღმდეგ, საკავშირო მთავრობას არ შეუძლია დამაკმაყოფილებლად ჩასთვალოს იმ საკითხის გადაჭრა, რომელიც წამოყენებულია ჩემს 7 მაისის ნოტაში, და აკისრებს პოლონეთის მთავრობას პასუხისმგებლობას საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის უშიშროებისათვის".

ავსტრიის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ვენა, 15 ივნისი. ავსტრიის კომპარტიის ორგანო „როტეფანე" აქვეყნებს ავსტრიის კომპარტიის ცეკას მოწოდებას. **ცეკა მოუწოდებს ვენის მუშებს 15 ივლისს, ივლისის ამბების წლისთავზე, სახლები მორთონ წითელი დროშებით და ჩაატარონ 10 წუთის გაფიცვა ყველა წარმოებებში.**

მოწოდებაში წამოყენებულია შემდეგი ლოზუნგები: **ბრძოლა ფაშიზმის და მთავრობის წინააღმდეგ, პროტესტი წითელფრონტელთა კავშირის აკრძალვის წინააღმდეგ, ბრძოლა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მოღალატურ პოლიტიკის წინააღმდეგ, ბრძოლა განიარაღებისათვის, ფაშისტურ ორგანიზაციების დაშლისა და მუშების შეიარაღებისათვის** (ადს).

ბელა კუნის საქმე დანიშნულია 25 ივნისისათვის

ვენა, 15 ივნისი. გაზეთები იუწყებიან, რომ კუნის საქმის გარჩევა დანიშნულია 26 ივნისისათვის. პროცესზე დაშვებული იქნება მხოლოდ ძლიერ მცირერიცხოვანი საზოგადოება. შესაძლებელია სასამართლომ ისიც დაადგინოს, რომ საქმე დახურულ კარებში გაირჩეს. (ადს).

ნობილეს დასახმარებლად

„კრასინი" ემზადება გასასვლელად

ლენინგრადი, 16 ივნისი. 1.500 ტონა ქვანახშირის დატვირთვის აუცილებლობამ გემ „კრასინი"-ს გასვლა შეაჩერა 15 ივნისის დილამდე. იტალიის კონსულმა თავისი მთავრობის სახელით მეზღვაურებს გამოუცხადა მხურვალე მადლობა. „კრასინზე" მოთავსებულია სამმოტორიანი აეროპლანი. „კრასინი"-თ ექსპედიციაში მიემგზავრებიან მოსკოვის და ლენინგრადის პრესის წარმომადგენელნი (ადს).

ლენინგრადი, 16 ივნისი. ყინულის მჭრელი გემი „კრასინი" 15 ივნისს 15 საათზე გავიდა ზღვაში და წავიდა კინგსბეისა და შპიცბერგენის მიმართულებით. ამინდი საუცხოვოა, ზღვა დამშვიდებულია. „კრასინი"-ს რადიო მუშაობს 450, 600, 800 მეტრის სიგრძე ტალღაზე მოკლე-ტალღიანი სადგური მუშაობს 30—40 მეტრიან ტალღით.

„მალიგინი" ალექსანდროვსკში

მურმანსკი, 16 ივნისი. 15 ივნისს „მალიგინი" მურმანსკიდან მივიდა ალექსადროვსკში, სადაც შეავსებს ქვა-ნახშირის მარაგს (ადს)

ნორვეგიის დეპ. სააგენტოს ცნობა

ოსლო, 15 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

დღემდე არავითარი ცნობა არ მიუღიათ იმ სამი კაცის ბედის შესახებ. რომლებიც ჩრდილოეთ კონცხისაკენ წავიდნენ. არ არის ცნობა აგრეთვე დანარჩენი 7 კაცის შესახებ, რომლებიც დირიჟაბლის დამტვრევის შემდეგ დარჩნენ (ადს).

მადალენას აპარატის ავარია

ოსლო, 16 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, იტალიის მფრინავ მადალენას აპარატმა ავარია განიცადა ვარანგერფიორდში. აპარატი ბუქსირით დააბრუნეს ვადსეში. (ადს).

რომი, 15 ივნისი. აქაური გაზეთები იუწყებიან, რომ რადიო-კავშირი ნობილესთან დაყვანილია მინიმუმამდე, ვინაიდან ნობილე ზოგავს აკუმულიატორების ენერგიას მნიშვნელოვან ცნობებისათვის. იუწყებიან, რომ ნობილეს ჯგუფი, რომელიც ექვსი კაცისაგან შესდგება, უზარმაზარ ყინულზე იმყოფება. საზღვაო მინისტრის ამხანაგმა ადმირალმა **სირიანიმ** ინახულა ნობილეს მეუღლე და გადასცა, რომ მისი ქმარი დაჭრილია. იტალიის პრესა ყურადღებას უთმობს კატასტროფის მიზეზების საკითხს. ნობილესაგან დღემდე მიღებულ ცნობებში ბევრი რამ გაურკვეველია. (ადს).

ნობილეს ექსპედიციის ნაწილის გადარჩენა

პარიზი, 15 ივნისი. კინგსბეიდან მიღებულ რადიო-ცნობაში ნათქვამია, რომ ხომალდმა —„ხობბი"-მ გადაარჩინა სამი კაცი „იტალია"-ს ექსპედიციიდან, მათ შორის მეცნიერი მეტეოროლოგი მალმგრენი. (ადს).

ამუნდსენი მიემგზავრება ნობილეს დასახმარებლად

ოსლო, 15 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ამუნდსენმა განაცხადა, რომ ბერგენში მიემგზავრება 16 ივნისს. ბერგენიდან ის ლეიტენანტ დიტრიხსენთან ერთად საფრანგეთის აეროპლანით გადაფრინდება ტრომსში. ტრომსიდან აეროპლანი გაფრინდება კინგსბეიში". (ადს).

ნობილეს სამი მონაწილის გადარჩენა არ დადასტურდა

ოსლო, 16 ივნისი. კინგსბეიდან უარყოფენ ცნობას, თითქოს გემმა „ხობბი"-მ გადაარჩინა ნობილეს ექსპედიციის სამი მონაწილე, რომლებიც ყინულებზე მიდიან ლასმიტის კონცხისაკენ. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საცალო ვაჭრობა ღვინით

მოსკოვი, 16 ივნისი. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით ღვინით საცალო ვაჭრობა უნდა აწარმოოს მხოლოდ კოოპერაციამ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოოპერაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ნებადართულია ღვინის გასაღება აწარმოოს ღვინის ტრესტების სავაჭრო აპარატმა.

რადიო - გადაცემა უნდა გაუმჯობესდეს

მოსკოვი, 16 ივნისი. მოსკოვის პარტიულ კომიტეტმა მოიწვია საგუბერნიო თათბირი რადიო-გადაცემის საკითხების დასამუშავებლად. თათბირმა საჭიროდ სცნო მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებების მიღება რადიო-გადაცემათა გაუმჯობესების საქმეში.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ რადიოს ბევრი პატრონი ჰყავს, მაგრამ საქმეს მაინც დიდი უპატრონობა ეტყობა. დელეგატების აზრით საჭიროა რადიოს საქმე გადაეცეს ერთ ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება რადიოფიკაციის დარგში.

მოსკოვის გაზეთები თათბირთან დაკავშირებით ეხებიან რადიოფიკაციის საკითხს და აღნიშნავენ, რომ რადიოგადაცემანი გაიყინა ერთ წერტილზე. გაუმჯობესების ნაცვლად ხშირად საქმე უკანაც მიდის. გაზეთების სიტყვით საჭიროა გაძლიერებულ იქნას გადაცემანი ეროვნულ უმცირესობათა ენაზე.

უმაგალითო დაუდევრობა სამანქანო სინდიკატში

მოსკოვი, 16 ივნისი. სამანქანო სინდიკატში გამოაშკარავდა უმაგალითო დაუდევრობა: სინდიკატმა დაამზადა 22 ათასი წყლის საქაჩავი, რომლებიც სრულიად გამოუყენებლად ინახება საწყობებში. შენახვაზე რამდენიმე ასეული ათასი მან. იხარჯება.

27 მილიონი მანეთი სატელეფონო მშენებლობისათვის

მოსკოვი, 16 ივნისი. საკავშირო სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა 27 მილ. მან. გრძელვადიანი სესხის გაღების შესახებ სატელეფონო მშენებლობისათვის თბილისსა, ბაქოში და საბჭოთა კავშირის სხვა ცენტრებში.

დეფექტები საექსპორტო საქმეში

მოსკოვი, 16 ივნისი. როგორც გამოირკვა, საექსპორტო ორგანიზაციებში იჩენდენ დაუდევრობას, რაც გამოიხატა იმაში, რომ ეს ორგანიზაციები თავის დროზე არ ასრულებდნენ შეკვეთებს, უპასუხოდ სტოვებდენ სხვადასხვა დაწესებულებათა შეკითხვებს, და ყურადღებას არ აქცევდნენ ახალ საექსპორტო საქონლის დამზადებას.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა აუცილებლად სცნო დასაჯოს დამნაშავენი, მათ შორის საკონსერვო სინდიკატის წარმომადგენლები, რომლებმაც ნახევარი წლით დააგვიანეს ხილის ექსპორტი.

ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის საქმე

მოსკოვი, 16 ივნისი. როგორც ამას წინად გადმოგცემდით, ისლამოვის ქალის თვითმკვლელობაში დამნაშავე პოეტებმა, რომელნიც გაასამართლა მოსკოვის საგუბერნიო სასამართლომ, საქმე გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში.

უზენაესმა სასამართლომ განიხილა პოეტ ალტშულერის, ანოხინის და ავრუშჩენკოს განცხადება და სცნო, რომ ისლამოვის ქალის გაუპატიურება ჩაიდინა მხოლოდ ერთმა ავრუშჩენკომ. რაც შეეხება ალტშულერს და ანოხინს, მათ განზრახ შექმნეს ისეთი პირობები, რომელშიაც შესაძლებელი გახდა აღნიშნული ბოროტმოქმედების ჩადენა.

ამიტომ უზენაეს სასამართლომ შესცვალა საგუბერნიო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენის მხოლოდ ფორმულიროვკა იმის მიხედვით, თუ რომელ ბრალდებულს, რა დანაშაული მიუძღოდა. ამასთან ერთად უზენაეს სასამართლომ ძალაში დასტოვა ის სასჯელი, რომელიც ბრალდებულებს გამოუტანა საგუბერნიო სასამართლომ.

შახტის კონტრ-რევოლიუციონერების გასამართლება

15 ივნისის დილის სხდომა

მოსკოვი, 15 ივნისი. დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრატანოვსკის დაკითხვა. ბრატანოვსკი დაწვრილებით ახასიათებს თავის დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ის ირწმუნება, რომ არ ყოფილა საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელი მტერი და რომ თავის შეხედულებებით უახლოვდებოდა მემარცხენე კადეტებს.

როცა მოხდა ოქტომბრის რევოლიუცია, ბრატანოვსკი თეთრების მხარეზე აღმოჩნდა. ბრატანოვსკი წავიდა წითლებისაგან, მაგრამ ის ამბობს, რომ უნდოდა უკან დაბრუნება. მიუხედავათ ამისა, ამხ. ვიშინსკი არკვევს, რომ როცა წითლებმა დაიკავეს დონბასი—ბრატანოვსკიმ ვერ მოახერხა თეთრებთან გადასვლა.

ამხ. ვიშინსკი ეკითხება ბრატანოვსკის:

— მატერიალურ თუ იდეურ მოსაზრებებით იყავით თქვენ ორგანიზაციაში?

— როგორც პირველი, ისე მეორე მოსაზრებით.

ამხ. კრილენკო არკვევს საკითხს თვით დამზიანებელთა ორგანიზაციის ხასიათის შესახებ, პირველ ყოვლისა, ამხ. კრილენკო ცხადყოფს—რა თემებზე სწარმოებდა საუბარი ორგანიზაციაში. ირკვევა, რომ იყო ლაპარაკი წვრილი მაღაროების აღმშენებლობის, შრომის მოწესრიგების, თვითღირებულების გადიდების, ანტისაბჭოთა აგიტაციის, ინტერვენციის და საკავშირო კომპარტიის შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ. ირჩეოდა აგრეთვე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი.

— შეიძლება ითქვას, რომ ეს თავიდან ბოლომდე პოლიტიკური ორგანიზაცია იყო?

— ეკონომიურ-პოლიტიკური—ამბობს ბრატანოვსკი.

— ბოლოს და ბოლოს რა მიზანი ჰქონდა ორგანიზაციას? საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზანი, როგორც ასეთი, აშკარა იყო?

— როგორც საბოლოო მიზანი—უპასუხებს ბრატანოვსკი.

მაშინ ამხ. კრილენკოს გამოჰყავს დასკვნა: შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წინაშეა პოლიტიკური კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია. ამიტომ აშკარაა ამ ორგანიზაციის კონტაქტი მთავრობის დაწესებულებებთან საზღვარგარეთ. „აქედან გამომდინარეობს დასკვნა—განაგრძობს ამხ. კრილენკო,—რომ უკანასკნელ პერიოდში ორგანიზაციამ აშკარა პოლიტიკური ხასიათი მიიღო. მაგრამ შეიძლება თუ არა ის ამ მომენტში უცხოეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფო დაწესებულების ფილიალურ განყოფილებათ ჩაითვალოს?“

ბრალდებული ადასტურებს, რომ უკანასკნელ პერიოდში ორგანიზაცია გადაიქცა უცხოეთის სახელმწიფოების ორგანოთ, რომელიც სუბსიდიებს ღებულობდა ამ სახელმწიფოებისაგან და მუშაობდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მავნებლობის მიზნით ომის შემთხვევისათვის.

ბრატანოვსკი ადასტურებს იმას, რომ არსებობდა კავშირი დამზიანებელთა ორგანიზაციასა და პარიზში არსებულ გაერთიანებასა, პოლონეთში არსებულ გაერთიანებასა და გერმანულ ფირმებს შორის, რომლებიც ასრულებდენ საბჭოთა ქვა-ნახშირის მრეწველობის დაკვეთებს.

ხარკოვში არსებულ ცენტრიდან ცნობები იგზავნებოდა საფრანგეთში და პოლონეთში.

ცნობები ეხებოდა: ფენების სიმდიდრეს, მუშაობის მდგომარეობას მაღაროებში, მუშების რაოდენობას, შრომის ნაყოფიერებას. გაგზავნილ ცნობებში მოყვანილი იყო აგრეთვე საზიანო მუშაობის შედეგები, შარა გზების, რკ. გზებისა და სადგურების გეგმები, დამზიანებელთა ორგანიზაციის მიერ წარმოებულ პრიპაგანდის შედეგები, მუშათა მასების სულიერი განწყობილება და სხვ.

— ამ სტრატეგიულ ხასიათის ცნობებს შეეძლოთ თუ არა მნიშვნელობა ჰქონოდა ზურგში სადივერსიო აქტების თვალსაზრისით?—ეკითხება ამხ კრილენკო.

— ნაწილობრივ შეიძლება ჰქონოდა—ამბობს ბრატანოვსკი.

მოსკოვი, 16 ივნისი. ბრალდებული **იმენიტოვი** ცდილობს გამოარკვიოს რა მოსაზრებით სთვლის მას ბრატანოვსკი ორგანიზაციის წევრად. ბრატანოვსკი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ის ხვდებოდა იმენიტოვს კონსპირატიულ სხდომებზე, რომლებიც იმართებოდა ბიბლიოთეკაში, პასაჟში და ბაურშინოვის კაბინეტში.

იმენიტოვი უარყოფს, რომ ის მონაწილეობას იღებდა ასეთ სხდომებზე, მაგრამ ბრატანოვსკი გადაჭრით აცხადებს: — გხვდებოდით, გიყურებდით თქვენ და ვამბობ — სამჯერ თუ ოთხჯერ შემხვდით.

იმენიტოვი აღარაფერს უპასუხებს.

ბუდნის დაკითხვა

სასამართლო გადადის ბრალდებულ ბუდნის დაკითხვაზე. ბუდნი 23 წლის განმავლობაში მუშაობდა შჩერბინოვკაში სხვადასხვა დროს განაგებდა ექსპედიციის, დახარისხების, დატვირთვის და გარეცხვის საქმეს. ერთის სიტყვით, ბუდნი პასუხისმგებელი მოსამსახურე იყო და დვორჟანჩიკი მას ანგარიშს უწევდა.

1919 წელს ბუდნი დანიშნულ იქნა რწმუნებულათ — დონბასისათვის სურსათ - სანოვაგის მომარაგების საქმეში.

ბუდნი ამბობს, რომ მას უნდოდა უარი გაეცხადებია ამ თანამდებობაზე, მაგრამ ამაზე არ დასთანხმდა ლენინი, რომელიც მაშინ იყო სამთამადნო მრეწველთა ყრილობების საბჭოს თავმჯდომარე და დონის მთავრობის წევრი. უკანასკნელის განკარგულებით ბუდნი თეთრებს გაჰყვა როსტოვში.

შემდეგ ბუდნი ცხოვრობდა აგრეთვე ყირიმში, სადაც დარჩა საბჭოთა ხელისუფლების მოსვლამდე. 1922 წლის თებერვალში ის ჩამოვიდა მოსკოვში და მსახურობდა აქ რკ. გზის კოოპერატივში. 1924 წელს რამოდენიმე თვის განმავლობაში უსამსახუროდ იყო.

ამ პერიოდში ბუდნიმ მოსკოვიდან მისწერა წერილი დვორჟანჩიკს. ის ჩიოდა, რომ ცუდ მატერ. მდგომარეობაში იმყოფება, დვორჟანჩიკმა გამოუგზავნა მას 150 დოლარი. ამ მომენტიდან იწყება დამზიანებელთა ორგანიზაციის გაცხოველებული მიწერ - მოწერა დვორჟანჩიკთან. ამ საქმეში მთავარ როლს თამაშობდა ბუდნი. ბრალდებული აღიარებს, რომ მან მიიღო და გადაგზავნა სულ 40-მდე წერილი.

პირველი წერილი ბუდნიმ მიიღო სუშჩევსკისა და ოდროვსკისათვის, შემდეგში დვორჟანჩიკის ადრესატების სიაში აღმოჩნდენ დამზიანებელთა ორგანიზაციის მრავალი წევრები.

— მაშ თქვენი თანამდებობა იყო ასეთი, რომ წერილები უნდა ჩაგებარებიათ? — ეკითხება ბუდნის ამხ. ვიშინსკი.

— არა, უპასუხებს ბუდნი.

— მოაწყო თუ არა თქვენი შემწეობით დვორჟანჩიკმა თავისი საფოსტო კანტორა? ყოველ შემთხვევაში ჩემდა დაუკითხავად, უპასუხებს ბუდნი.

მაგრამ დვორჟანჩიკი ხომ გაძლევდათ ფულს ამისათვის?

დიახ, მაძლევდა, — უპასუხებს ბრალდებული.

15 ივნისის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდება ბრალდებულ ბუდნის დაკითხვა.

ბუდნი უარყოფს იმას, რომ ის შედიოდა დამზიანებელთა ორგანიზაციაში.

— მთელ რიგ წლების განმავლობაში—ეუბნება ამხ. **კრილენკო** — თქვენის საშუალებით ყოფილი მესაკუთრე - კაპიტალისტების კონტრ - რევოლიუციონურ ორგანიზაციას საზღვარგარეთიდან გაბმული ჰქონდა კავშირი საბჭოთა ქვანახშირის მრეწველობის მთელ რიგ პასუხისმგებელ ხელმძღვანელებთან. თქვენ კარგათ იცოდით, რომ ამ კავშირს კონსპირატიული არალეგალური ხასიათი აქვს.

ბუდნი უპასუხებს, რომ ის შემთხვევით გადასცემდა წერილებს და მიწერ-მოწერის ხასიათის შესახებ არაფერი არ იცოდა.

უპასუხებს რა როგინსკის სიტყვაზე, ბუდნი ამტკიცებს, რომ მან არაფერი არ იცოდა კონტრ - რევოლიუციონური ორგანიზაციის არსებობის შესახებ.

— ამ ორგანიზაციის არც ერთ თათბირში არ მიგიღიათ მონაწილეობა? — ეკითხება ამხ. როგინსკი.

—არა, — უპასუხებს ბუდნი.

სასამართლომ გამოიძახა ბრალდებული **მატოვი**, რომელიც ადასტურებს ბუდნის მონაწილეობას თათბირში 1924 წელს. ბუდნი უარყოფს იმას, რომ მისი საშუალებით დვორჟანჩიკს ეგზავნებოდა კონფიდენციალური ხასიათის წერილები.

ამხ. **ვიშინსკი** ეკითხება: — თქვენ ამტკიცებთ, თითქოს არ იცოდით, რომ წერილის შინაარსი კონსპირატიული და კონფიდენციალური ხასიათისაა?

ბუდნი უპასუხებს:—მე არ მეგონა.

— მაშ რაღას ფიქრობდით, სამიჯნურო მიწერ_მოწერა ხომ არ გეგონათ?—ეკითხება ბუდნის ამხ. **ვიშინსკი**.

— მე ვფიქრობდი, რომ დვორჟანჩიკს ინტერესებს კონცესია.

ბუდნი აღიარებს, რომ დვორჟანჩიკისაგან მან მიიღო 800 მანეთი, მაგრამ სთვლის, რომ ეს ფული მან მიიღო არა წერილების გადაგზავნისათვის, არამედ როგორც დახმარება ძველ თანამშრომელს.

ამხ. ვიშინსკის კითხვაზე—ვინ არის დვორჟანჩიკი, ბუდნი უპასუხებს, რომ დვორჟანჩიკი პოლონეთის ქვეშევრდომია. დვორჟანჩიკი რუსეთში იყო ქვანახშირის და მარილის საწარმოების სამმართველოს მთავარ დირექტორად.

— ეს უცხოეთის საზოგადოებაა?—ეკითხება ბუდნის ამხ. ვიშინსკი.

— დიახ.—უპასუხებს ბუდნი.

დამცველები ეკითხებიან ბუდნის, როგორი იყო მისი პოლიტიკური იდეოლოგია იმ დროს, როცა ხდებოდა ეს ამბები.

ბუდნი ამბობს, რომ ის თანაუგრძნობდა საბჭოთა ხელისუფლებას. ამხ. ვიშინსკი თავის მხრივ ეკითხება ბუდნის,—რა დროიდან რა დრომდე თანაუგრძნობდა ის საბჭოთა ხელისუფლებას.

— ბუდნი უპასუხებს:—მუდამ.

— როცა თქვენ თეთრგვერდ. მთავრობის ვაჭრობის მინისტრმა **ფენინმა** დაგნიშნათ სასურსათო საქმეების გამგეთ, თქვენ მაშინაც თანაუგრძნობდით წითლებს?—ეკითხება ამხ. ვიშინსკი.

— დიახ, თანაუგრძნობდი,—უპასუხებს ბუდნი.

— ყირიმში რომ გაემგზავრეთ ვრანგელთან, მაშინაც თანაუგრძნობდით?

— დიახ,—უპასუხებს ბრალდებული.

— თქვენ ვის ეხმარებოდით მაშინდელ ბრძოლაში?—ეკითხება ამხ. ვიშინსკი.

— თეთრებს,—უპასუხებს ბუდნი.

მიღება ა. კ. ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლაში

ა.-წ. 15-30 სექტემბრამდე ამიერ - კავკასიის ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლაში მიიღებენ წითელარმიელებს, უნცროს მეთაურთა შემადგენლობას და მოქალაქეებს მუშურ - გლეხური წითელი არმიის მეთაურთა მოსამზადებლად. მიღება სწარმოებს შემდეგ სექტორებში: 1) ქართულ, 2) სომხურ, 3) თურქულ და 4) რუსულ სექტორში.

მიღების პირობები: სკოლაში შესვლის უფლებით სარგებლობენ: წითელარმიელები—არა უმეტეს 22 წლისა, უნცროს მეთაურთა შემადგენლობა — არა უმეტეს 25 წლისა; მოქალაქენი რუსულ სექტორში მიიღება 18-დან 21 წლამდე, ეროვნულ სექტორებში — 17-დან 21 წლამდე, რომელთა ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება სავსებით დამაკმაყოფილებელია მუშურ - გლეხური წითელი არმიის ნაწილებში სამწყობრო სამსახურისათვის და რომელთაც აქვთ საერთო - საგანმანათლებლო მომზადება არა ნაკლებ 1 საფეხურის შრომის სკოლისა.

2) ყოველ მოხალისეს, რომელსაც სკოლაში შესვლა სურს, უნდა ქონდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სამხედრო კომისარიატის ცნობა სამხედრო ბეგარისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ბ) მოწმობა საექიმო შემოწმების შესახებ, რომელსაც თან უნდა დაერთოს საექიმო-საკონტროლო კომისიის დასკვნა ფიზიკური განვითარების მდგომარეობის შესახებ (სიმაღლე, წონა, მკერდის სიფართოვე, ნერვიული სისტემის მდგომარეობა).

გ) ცნობა სასპორტო ორგანიზაციიდან (თუ მოხალისე ირიცხებოდა ამ ორგანიზაციაში) იმ მიღწევების შესახებ, რომლებიც მოხალისეს აქვს ფიზიკურ ვარჯიშობის, სპორტის და სროლის საქმეში.

დ) მოწმობა განათლების შესახებ (თუ აქვს) შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათის დართვით.

ე) ადგილობრივი აღმასკომის ან მილიციის ცნობა პასუხისგებაში არ ყოფნის შესახებ.

ვ) პარტიული, კომკავშირის, პროფესიონალური ორგანიზაციის რეკომენდაცია ან საკავშირო კომპარტიის (ბ) ორი წევრის სათანადოდ შემოწმებული რეკომენდაცია.

იმ გლეხებისათვის, რომლებიც სცხოვრობენ ისეთ ადგილას, სადაც არ არის არც პარტიული, არც კომკავშირის და არც პროფესიონალური ორგანიზაცია, აუცილებელია სასოფლო ან სათემო აღმასკომის ან სარაიონო აღმასკომის რეკომენდაცია.

ზ)მეტრიკული ამონაწერი დაბადების შესახებ.

განცხადება სამხედრო სკოლაში შესვლის სურვილის შესახებ, ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტების დართვით უნდა გაიგზავნოს მიმღებ კომისიაში უშუალოდ თვით მოხალისის მიერ ან პარტიული, კომკავშირის, პროფესიონალური ორგანიზაციების და სამოქალაქო სამოსწავლო დაწესებულებათა საშუალებით, რომლებმაც წამოაყენეს მოხალისე თავისი წრიდან.

სკოლაში მისული მოხალისენი შემოწმებულ და გამოცდილ იქნებიან ქვეკომისიებში: 1) საექიმო, 2) პოლიტიკურ (სამანდატო) და 3) სამოსწავლო.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას აწარმოებს საექიმო კომისია ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან (ტერიტორიალურ სამმართველოებთან).

კლემენტიევი

საქ. ცაკის სახელობის კავკასიის პირველი მსროლელი დივიზია

მისი არსებობის ათი წლის თავის გამო

მხურვალე სალამი საქართველოს ს. ს. რ. მშრომელთაგან საქართველოს ცაკის სახელობის კავკასიის პირველ მსროლელთა სახელოვან დივიზიას

საქართველოს ცაკისაგან

მხურვალე სალამი საქართველოს ს. ს. რ. მშრომელთაგან საქართველოს ცაკის სახელობის კავკასიის მსროლელთა სახელოვან დივიზიას მისი არსებობის ათი წლის თავზე!

ამხანაგებო! საქართველოს ცაკის სახელობის კავკასიის 1-ლი მსროლელთა დივიზიას სახელოვანი წარსული აქვს, ჩვენი დიადი გმირული მუშურ-გლეხური წითელი არმიის ისტორიაში მან ჩასწერა არა ერთი ფურცელი მუშათა კლასისა და პროლეტარიატის დიქტატურის მტრებზე ბრწყინვალე გამარჯვებათა შესახებ. ამ დივიზიამ დაუფასებელი სამსახური გაუწია საქართველოს მშრომელთაც ექსპლოატატორთა მონობიდან განთავისუფლების დროს. კავკასიის 1-ლი მსროლელთა დივიზია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით ერთის მხრით და მეთაურთა მთელი შემადგენლობის ზრუნვით მეორეს მხრით, მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში განმტკიცდა და გაიზარდა; მას უდიდესი მიღწევები აქვს როგორც სამხედრო საქმის დარგში, ისე კულტურულ-აღმზრდელობითი დარგში. **ამ წლების განმავლობაში იგი კიდევ უფრო დაუკავშირდა მთელი საქართველოს მუშებსა და გლეხებს** და ამ კავშირის დარღვევა აღარ შეუძლია არავითარ ძალას.

ახალგაზრდა წითელარმიელებმა, რომლებიც ყოველწლიურად სცვლიან ძველ წითელ არმიელებს,—სამოქალაქო ომის მონაწილეებს, დეე ყურადღებით შეისწავლონ დიადი წითელი არმიის ისტორია, მუშათა და გლეხთა დიდი გმირული ბრძოლა მემამულეთა და კაპიტალისტების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. დეე ახალგაზრდა წითელარმიელები აღფრთოვანოს თავის წინამორბედთა მაგალითმა, რომლებსაც შეეძლოთ გამარჯვების მოპოვება უაღრესად მძიმე პირობებში, რათა უფრო უკეთესად დაიცვან საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელნი საერთაშორისო მტაცებელ - იმპერიალისტების მხრივ მოსალოდნელი თავდასხმათაგან.

დეე სცოცხლობდეს სამოქალაქო ომის პერიოდის წითელი არმიის ტრადიცია. დეე განმტკიცდეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერება და ძალა.

გაუმარჯოს საქართველოს ცაკის სახელობის კავკასიის 1-ლ მსროლელთა დივიზიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებლობას!

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

აჭარისტან-ს ცაკისაგან

აჭარისტანის ა. ს. ს. რ. ცენტრ. აღმ. კომიტეტი მხურვალედ ესალმება კავკ. წით. დროშოვან არმიის პირველ დივიზიის ათი წლის იუბილეს.

აჭარისტანის მუშები და გლეხები 1-ლი დივიზიის სახით მიესალმებიან არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების მედგარ დამცველს, არამედ უდიდეს პოლიტიკურ სკოლასაც.

კავშირი დივიზიის ნაწილებთან დიდათ უწყობდა ხელს საბჭოთა აჭარისტანის ეროვნების კულტურულ და პოლიტიკურ შეგნების ზრდას.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდათ აფასებენ 1-ლ დივიზიას, მის საბრძოლო დამსახურებას და მოუწოდებენ ახალგაზრდა მებრძოლებს მტკიცედ დაიცვან ძველი ამხანაგების საუკეთესო ტრადიციები.

გაუმარჯოს სახელოვან დივიზიის 10 წლის იუბილეს.

აჭარისტანის ავტ. ს. ს. რ. ცაკის თავმჯდომარე მ. სურმანიძე.

მოკლე ცნობები დივიზიაზე

1927 წლის ზამთარში მეფის არმია უკვე დაშლილი იყო.

საბჭოთა მთავრობას სასწრაფოდ უნდა შეედგინა რევოლიუციონური რაზმები რევოლიუციის ცენტრის—მოსკოვის დასაცავად. კურსკის მიმართულებით 1918 წლის იანვარ-თებერვალში შესდგა კურსკის რაზმი, რომლიდგანაც წარმოიშვა კურსკის ქვეითი პირველი საბჭოთა დივიზია.

დივიზია იქმნებოდა უაღრესად მძიმე პირობებში. მას, ერთის მხრივ, უხდებოდა პოზიციების გამაგრება, და, მეორე მხრივ, სწავლება.

დივიზიის პირველი ბრიგადა, ჩეხო-სლოვაკებთან ბრძოლაში დაღუპულ უფროსის ამხ. აზრახას მეთაურობით, მთლიანად გადასროლილ იქნა ვოლგას ფრონტზე და მთელი რიგი წარმატებითი ბრძოლით შეაჩერა ჩეხო-სლოვაკების წინსვლა ალატირ-პენზას მიმართულებით.

ოქტომბერში კურსკის პირველი დივიზია გადაკეთდა მე-9-ე დივიზიად და გაიგზავნა უკრაინაში საომარ ოპერაციების საწარმოებლად. დეკემბრის პირველ რიცხვებში უკრაინის რევოლიუციონური მთავრობა დივიზიის ნაწილების დახმარებით იკავებს ქ. სუჯას—უკრაინის დროებით დედა-ქალაქს. ამის შემდეგ დივიზია ხელთ იგდებს იუზოვკას, [illegible]

1919 წლის ზაფხულზე დივიზიას ეკვეთა გენერალი შკურო, ზურგში ამ დროს მძვინვარებდა მახნო, სასტიკ ბრძოლებში დივიზიამ მაინც შეინარჩუნა თავისი ძლიერება, გადაარჩინა მთელი არტილერია (186 ზარბაზანი) და დაიხია ქ.ორიოლისაკენ.

დასვენების და შევსების შემდეგ დივიზია კვლავ იწყებს ბრძოლას. 28 ოქტომბერს მან დაიკავა ორიოლი.

დივიზიის ნაწილები (მე-3-ე ბრიგადა) მთავარ როლს თამაშობს ქ. კურსკის აღებაში.

ნოემბერში დივიზია შედის დამკვრელ ჯგუფის შემადგენლობაში და ხელს უწყობს ცხენოსან არმიას დონეცის ბასეინის დაკავებაში. 6 იანვარს დივიზია იკავებს ტაგანროგს, შემდეგ გადადის დონზე და მარტში უკვე ებრძვის დენიკინის ჯარებს ყუბანში.

თეთრი არმიის დამარცხების და განადგურების შემდეგ, დივიზია ისვენებს მხოლოდ ორი თვით. ივლისში იგი ლიკვიდაციას უკეთებს ნაზაროვის დესანტს მარიუპოლის რაიონში და აგვისტოში კი ღებულობს მონაწილეობას გენერალ ულაგაის დესანტის განადგურებაში.

შემდეგ დივიზია იწყებს ბრძოლას ყირიმში მოკალათებულ ვრანგელის წინააღმდეგ, ამარცხებს მტრის მრავალ-რიცხოვან ცხენოსან და ქვეითი ჯარს, გადადის შეტევაზე და დევნის მას დონეცის ბასეინიდან. მოკლე ხანში იკავებს მელიტოპოლს და 1920 წლის 17 იანვარს ქალ. კერჩს.

1920 წლის დეკემბერში დივიზია აწარმოებს ისტორიულ გადასვლას გაყინულ ზღვაზე კერჩის სრუტესთან. ყუბანზე დივიზია იბრძვის ბანდიტიზმის წინააღმდეგ და ამავე დროს აწარმოებს სწავლებას, აბამს კავშირს მოსახლეობასთან და ატარებს კულტურულ მუშაობას ამ მოსახლეობაში.

1921 წლის თებერვალში დივიზია იგზავნება ამიერ-კავკასიაში. [illegible] დივიზია და 98 ბრიგადა. შემდეგ იგი ხალისდება ორ ცალკე ბრიგადათ და 1922 წლის ივლისში ამ ბრიგადებიდან კვლავ სდგება ერთი დივიზია—კავკასიის პირველი მსროლელი დივიზია.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის 10 წლის თავზე სამხედრო-რევოლიუციონურმა საბჭომ აღნიშნა დივიზიის დამსახურება და დააჯილდოვა იგი საპატიო რევოლიუციონური დროშით.

დუშეთის აჯანყების 10 წლის თავზე

17 ივნისს ათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დუშეთის მაზრის გლეხობამ იარაღით ხელში გაილაშქრა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებში ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება და თავი საქართველოს მუშების და მშრომელი გლეხკაცობის ინტერესების დამცველად გამოაცხადა.



ამხ. თომა ჩუბინიძე

იმ დროს, როდესაც რუსეთის პროლეტარიატი მშრომელ გლეხკაცობასთან ერთად იბრძოდა ძველი [illegible] ბურჟუაზიულ წყობილების წინააღმდეგ, საქართველოს მენშევიკ-ავანტიურისტების მთავრობა ევგენი გეგეჭკორის საშუალებით ქ. სოხუმში გეგმას ადგენდა ოქტომბრის რევოლიუციის და კომუნისტურ პარტიის შესამუსრავად. ხოლო თბილისში გენერალ ბარათოვის და მის დამქაშთა საშუალებით რაზმებს აწყობდა ჩრდილოეთ-კავკასიაში ბოლშევიკების წინააღმდეგ გასაგზავნად.

საქართველოს მშრომელ ხალხს ათობით და ათასობით ციხეებში ამწყვდევდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ უკანასკნელნი მოითხოვდნენ მიწების ჩამორთმევას თავად_აზნაურობისაგან, ეკლესია_მონასტრებისაგან, და მათ გადაცემას მშრომელ, მიწის მუშა გლეხობისათვის. მათ სჯიდნენ იმისათვის მხოლოდ, რომ ისინი მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას ინგლისის ლორდებისაგან, თურქეთის გენერლებისაგან და სხვ.

კერძოთ დუშეთის გლეხობამაც არა ერთხელ გამოიტანა დადგენილება ყოფილ თავად აზნაურების მამულები მათ გადასცემოდათ, რამოდენიმეჯერ მიმართეს ისიდორე რამიშვილს, ალექსანდრე რიკაძეს, რომლებიც იმ დროს დუშეთის მაზრას განაგებდნენ, მაგრამ ისინი მხოლოდ ატყუებდენ მათ. საკითხის მოგვარების მაგიერ, ისინი აწყობდენ თავიანთ მფრინავ რაზმებს და ვაჭრების, თავადების, მღვდლების და მოტყუებულ მშრომელთაგან რაზმავდნენ ეგრედ წოდებულ სახალხო გვარდიას და ამ თვალ-ახვეულთა საშუალებით ხვრეტდნენ რევოლიუციონერებს თბილისში ყოფ. „ალექსანდრეს ბაღში“, ხოლო კაბინეტებში კი ამზადებდნენ ისევ მემამულეთა სასარგებლო მიწის კოდექსს, რომლის ძალითაც უსასყიდლოთ მიწის ჩამორთმევის უფლება, რაც უნდა შეძლებული მემამულე ყოფილიყო, მშრომელ გლეხობას არ შეეძლო. ხოლო თუ რომელიმე მათგანი ამას გაბედავდა, მისი ოჯახი ცეცხლსა და მახვილს მიეცემოდა. ის იყო მენშევიკების მთავრობის მიზანი, ამ მიზნით მიდიოდნენ სოფლად ამ კონტრ_რევოლიუციონური მთავრობის აგენტებიც. ამ უკანასკნელთა შორის იყო ისიდორე რამიშვილი, რიკაძე და სხვ., რომლებიც „ამშვიდებდნენ“ სხვა მაზრებთან ერთად დუშეთის გლეხობას: მოითმინეთ და ყველაფერს მიიღებთო, იარაღი ჩაგვაბარეთ—მთავრობას სჭირდება მტრების წინააღმდეგო და ფაქტიურად კი გლეხების განიარაღება სურდათ, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მათთვის უიარაღო გლეხების დამორჩილება. როცა გლეხობის მიერ უარი მიიღეს იარაღის ჩაბარებაზე, მაშინ მენშევიკურმა მთავრობამ მათ შეუსია მფრინავი რაზმები და ძალით მოუნდომა დუშეთის გლეხობის განიარაღება და ასე ძალითვე დამორჩილება. ამას შედეგად მოჰყვა მთავრობის ჯარის დამარცხება და დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება საქართველოს კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით.

მაგრამ დუშეთის მაზრის საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება შეუძლებელი იყო, რადგან გარშემო კონტრ_რევოლიუციონური ჯარი ჰყავდა შემორტყმული. დუშეთის რევოლიუციონური ხელისუფლება დაეცა ერთი თვის თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ. იგი იქნა დამარცხებული მენშევიკურ კონტრ_რევოლიუციონურ ჯარის და გვარდიის მიერ, რომელსაც მეთაურობდა ყოფილი მეფის გენერლები და კონტრ_რევოლიუციონურ მოქმედებაში სახელგანთქმული გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ვ. ჯუღელი, ალექსანდ. დგებუაძე. თავიანთი მხეცური მოქმედებით მათ დაიმსახურეს წყევლა-კრულვა საქართველოს მშრომელთა და კერძოთ კი დუშეთის გლეხკაცობისაგან. მენშევიკების ამ სისაძაგლეს არ დაივიწყებს ჩვენი რევოლიუციონური ახალგაზრდობა, რომელიც კი წაიკითხავს და შეისწავლის საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას და იმ მასალებს, რომელიც „დაგვიტოვა“ ვალიკო ჯუღელმა თავის წიგნში—„მძიმე ჯვარი“.



ამხ. თედო შუშიაშვილი

ჩვენ დღეს, დუშეთის აჯანყების ათი წლის თავზე უნდა შევსძახოთ: წყევლა და კრულვა მშრომელთა მოღალატეებს, საუკუნოთ ხსოვნა ბრძოლაში დაღუპულებს, ხანგრძლივი სიცოცხლე დუშეთის მაზრის რევოლიუციონურ გლეხკაცობას, სიმხნევე დუშეთის მაზრის ამხანაგებს, ჩვენი სოციალისტური ქვეყნის აშენებაში.

ლ. სუხიშვილი.

დუშეთის აჯანყების ათი წლის თავი

1918 წ. 17 ივნისი ბრწყინვალე სხივია დუშეთის მაზრის მშრომელი გლეხობის ისტორიაში. ეს დღე აშკარა მაჩვენებელია იმისი, თუ როგორი შეხედულებისა იყო საქართველოს მშრომელი ხალხი მენშევიკურ მთავრობის პოლიტიკაზე.

1918 წ. 17 ივნისს დუშეთის მაზრის გლეხობამ თამამად და უშიშრად განაცხადა თავისი გულის წადილი და წარმოსთქვა ძლიერი [illegible] უარყო ის სამარცხვინო პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებდენ საქართველოში მენშევიკები.

ეს იყო მაშინ, როცა საქართველოს მშრომელი მოსახლეობის ბედიღბალი ჟორდანია-რამიშვილების ხელში იყო. ეს იყო მაშინ, როცა მუშებისა და გლეხების ინტერესები ფეხით იყო გათელილი და ჩარჩ-ვაჭრები, თავად-აზნაურობა და მატყუარა მღვდელ- მონოზნები გლეხობას ძველებურად ტყავს აძრობდენ. ეს იყო მაშინ, როცა მთელი საქართველო ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების თავშესაფარად იყო გადაქცეული, როცა ჩვენში მენშევიკური მთავრობის ლოცვა-კურთხევით თავისუფლად ეწყობოდა და იარაღდებოდა თეთრგვარდიელთა რაზმები ოქტომბრის რევოლიუციის ჩასახრჩობად.

მენშევიკურმა მთავრობამ ვერ გაამართლა გლეხების იმედები მიწის საკითხში. მშრომელი გლეხობა ხედავდა, რომ ძველ მემამულეებს და თავად-აზნაურებს მიწა-წყალი თითქმის ისევ-ისე ხელუხლებელი შერჩათ, რო- [illegible] მთავრობამ არ მისცა მიწა, რომელსაც გლეხობა დაჟინებით მოითხოვდა და რაზედაც იგი დღე და ღამ ოცნებობდა.

ამავე დროს ბოლშევიკების შიშით გონება დაკარგულმა მენშევიკურმა მთავრობამ შებოჭა დუშეთის მაზრა, შეჰკრა საქართველოს სამხედრო გზის გასავალი დარიალის ხეობა და მთლად მოსწყვიტა მაზრის მოსახლეობა ჩრდილო-კავკასიის მეზობელ ხალხს. ამ იზოლიაციამ მეტად შეაწუხა და შეავიწროვა დუშეთის მაზრის ღარიბი გლეხობა, მით რომ მას მოესპო პურის შოვნის საშუალება.

მენშევიკების მთავრობა [illegible] ინფორმაცია [illegible], თუ ნამდვილად რა ხდებოდა იმ დროს საბჭოთა რუსეთში. მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები ცილისწამებით იყო სავსე კომპარტიის შესახებ. და საბჭოთა მთავრობას ჯოჯოხეთის მოციქულებათ აცხადებდენ. მიუხედავად ყველა ამისა დუშეთის მაზრის მშრომელი გლეხობის სიმპატია მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე იყო. ეს არ მოსწონდა მენშევიკურ მთავრობას და დუშეთის მაზრის გლეხობას რევოლიუციის პირველ დღიდანვე აღმაცერად უყურებდა. მენშევიკების „აგიტატორ-პროპაგანდისტებს“ ხალხი ყურს სულ არ უგდებდა და ყველგან კომუნისტებს უჭერდნენ მხარს. გადიოდა დღეები და კომპარტია სულ უფრო და უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს მაზრაში, მენშევიკური მთავრობა ხედავდა, რომ ბოლშევიკურად განწყობილი გლეხობა ბოლოს და ბოლოს მას კარგს არას დააყრიდა და განიზრახა სოფლების განიარაღება. ამ მიზნით მან მაზრაში გამოგზავნა რამოდენიმე „მფრინავი რაზმი“ და ამ მფრინავი რაზმების წყალობით დაუწყო გლეხობას ქურდულად იარაღის აყრა. ეს რაზმელები მოულოდნელად ღამ-ღამობით თავს ესხმოდენ ამა თუ იმ სოფელს, ჰყრიდენ ხალხს იარაღს და ოჯახს უწიოკებდნენ. რაზმელები იარაღთან ერთად გლეხებს სხვა ნივთებსაც სტაცებდენ. არ ერიდებოდნენ არც დიდსა და პატარას, არც მოხუცებულს და არც ქალებს. ზოგიერთ სოფლებში მათ ძალით ქალებიც გააუპატიურეს. ერთი სიტყვით ეს ბრბოები მეტად უდიერად და შეუბრალებლად ეპყრობოდნენ გლეხობას.

მოთმინების ფიალა ნელ-ნელა ივსებოდა. გლეხობა უფრო და უფრო რწმუნდებოდა იმაში, რომ მას პატრონი და მფარველი გარდა თავისი თავისა არავინ ჰყავდა. შემდეგ, როცა რაზმელების თავგასულობამ ყოველგვარ საზღვრებს გადააბიჯა, გლეხობამაც მეტი ვეღარ მოითმინა, აღსდგა და იარაღს მოჰკიდა ხელი თავისი თავის და ოჯახის ნამუსის დასაცავად.

აჯანყება დაიწყო ბარში, შემდეგ მოედო მთასა და შემდეგ კი მთელ მაზრას. მაზრა მცხეთიდან მოკიდებული სადგურ ლარსამდე მთლიანად აჯანყებულ გლეხების ხელში გადავიდა და რამოდენიმე კვირის განმავლობაში აჯანყებული გლეხები მაზრის სრულ ბატონ-პატრონად ითვლებოდენ. მენშევიკები ამ დროს თავს უყრიდნენ თავის შეიარაღებულ ძალას და მაზრაში გამოგზავნეს რეგულარული ჯარი, რომელსაც პირველი შეჯახება აჯანყებულებთან მოუხდა მდინარე ნარეკვავის მიდამოებში, სადაც მენშევიკების ჯარი სასტიკად იქნა დამარცხებული. ამის შემდეგ მენშევიკებმა გამოგზავნეს უფრო ძლიერი რაზმები ვალიკო ჯუღელის მეთაურობით და სამი მიმართულებით დაუწყეს შეტევა ცუდათ შეიარაღებულ გლეხების რაზმებს. უთანასწორო ბრძოლის შემდეგ, როდესაც გლეხებს ტყვია-წამალი შემოაკლდათ, ისინი იძულებული შეიქნენ დაეტოვებინათ ბრძოლის ველი, ვინაიდან ბრძოლა შიშველი ხელით წარმოუდგენელია. შეიარაღებული ძალა, რომელიც უნდა დაშველებოდა აჯანყებულებს თერგის ოლქიდან ამხ. საშა გეგეჭკორის მეთაურობით გადმოვიდა მაშინ, როდესაც გლეხების უმთავრესი ძალა უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული იყო. ამხ. საშა გეგეჭკორმა მოასწრო ყაზბეგში გადმოსვლა, სადაც მას მოუხდა შეტაკება მენშევიკების ბრბოებთან. ამ დროს ადგილობრივმა კულაკურმა ელემენტებმა სოფელ გველეთთან მოუჭრეს უკან დასახევი გზა ქალაქ კავკავის მიმართულებით, რის გამო ამხ. გეგეჭკორი იძულებული იყო მთელი თავისი ძალა მიემართა ალყის გასარღვევად გველეთის მიმართულებით, რაც შესრულებულ იქნა ამხ. გეგეჭკორის რაზმის მედგარი და ენერგიული ბრძოლით.

მენშევიკების შეიარაღებულმა ბრბოებმა და გვარდიამ დახვრიტეს რამოდენიმე ათეული მოწინავე გლეხები მაზრის სხვადასხვა კუთხეებში.

დღეს აჯანყების ათი წლის თავზე დუშეთის მაზრის მშრომელი გლეხობა მოწიწებით იხსენიებს მათ სახელს და განაგრძობს მედგარ მუშაობას სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე იმ საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის, რასაც შეეწირნენ ათეულობით მოწინავე ამხანაგები.

გაუმარჯოს დუშეთის მაზრის მშრომელ გლეხობას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას!

მ. სუჯიაშვილი.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან--კვირამდე)

ხიკსის პროვოკაციის დამარცხება.—ინგლისის იმპერიალიზმის კარნახით.—ცენ-გოტარდის ინციდენტი ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე.—ზალესკი არ ისვენებს— გერმანელი მენშევიკები — მთავრობის სათავეში.

ამ ორი თვის წინედ ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა, არკოსზე თავდასხმის გმირმა ჯოინსონ ხიკსმა მისთვის ჩვეულებრივი რიხით თემთა პალატაში წამოისროლა ბრალდება, თითქო ინგლისში მომქმედი საბჭოთა დაწესებულებები ფულებს აწვდიან ბრიტანეთის კომპარტიას რევოლიუციონურ მუშაობისათვის და არსებულ წყობილების დასამხობად. არავითარი საბუთი ამ ბრალდების დასამტკიცებლად ხიკს მაშინ არ მოუყვანია,—საჭირო მასალებს საქმის გამოძიების დამთავრების შემდეგ წარმოვადგენო.

საბჭოთა კავშირის მტრები მოუთმენლად მოელოდნენ საშინელ მამხილებელ დოკუმენტის გამოქვეყნებას, რასაც, მათი აზრით, უნდა დაედასტურებია ინგლისში მყოფ საბჭოთა ორგანიზაციების და თვით საბჭოთა მთავრობის „დამანგრეველი“ საქმიანობა. ამას კი უნდა მოყოლოდა ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის სრული მოსპობა და საბჭოთა კომერციულ ორგანიზაციების გაძევება ინგლისიდან. აი, მაგ., რას სწერდა „დეილ მეილ“: „ხიკსი უკვე კაი ხანია მივიდა დასკვნამდე, რომ ინგლისში დარჩენილი საბჭოთა წარმომადგენლები უნდა იქნენ გაძევებულნი; მაგრამ მან დღემდე ვერ მოახერხა კაბინეტის ზოგიერთი წევრები დაერწმუნებია სწრაფ და გადაჭრილ მოქმედების გონივრულობაში... ეხლა კი ფაქტები, რომლების წარდგენა ხიკს შეუძლია კაბინეტისათვის, იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, რომ შეუძლებელი გახდება საქმის გაჭიანურება“.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი უფრო გონიერი გაზეთები საჭიროდ სცნობდენ ერთგვარ სიფრთხილის გამოჩენას ხიკსის მომავალ „მხილებისადმი“. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ისინი გამოხატავენ იმ საქმიან წრეების თვალსაზრისს, რომელნიც სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობის შენარჩუნება-განვითარებით, არამედ იმიტომაც, რომ მათ „ზინოვიევის წერილი“-ს და არკოსის მაგალითზე იცოდნენ შუბლმაგართა „დოკუმენტების“ ღირებულება.

ხიკსი, ბოლოს როგორც იქნა, გამოვიდა თავისი „საბუთებით“. იმან, რაც მან გამოაქვეყნა, სასტიკად გაუცრუა იმედები თვით მის მომხრეებსაც კი. თუ „დეილ მეილ“ კვლავ განაგრძობს ძველებურ განგაშს, ეს აიხსნება, რა თქმა უნდა, არა ხიკსის მიერ წარმოდგენილ არგუმენტაციის სიძლიერით, არამედ ბრმა სიძულვილით საბჭოთა კავშირის მიმართ ერთი მხრით და მეორე მხრით მთავრობის დამარცხების დაფარვის განზრახვით. დიდი დაბნეულობა ეტყობა კონსერვატიულ პრესის უმრავლესობას, რომ არ ვილაპარაკოთ დანარჩენ გაზეთებზე, რომელთაც ხიკსის „დოკუმენტები“ დამაჯერებლად არ მიიჩნიათ. ლიბერალური „დეილი ტელეგრაფ“ ირონიული სტილით წერს, რომ ნამდვილი დოკუმენტების მაგივრად „პალატამ მოისმინა კარგი დეტექტიური მოთხრობა და საკითხია, შეიძლება თუ არა მიეცეს მას რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა“. „მანჩესტერ გარდიენ“ ამბობს: „გამოძიების შედეგი არც იმდენად ცუდია ორივე საბჭოთა ბანკისათვის. ფული მართლაც რომ გამოეგზავნათ ინგლისის კომპარტიისათვის, არც ეს იქნებოდა რაიმე უკანონო მოქმედება, რამდენადაც კომპარტია ლეგალური ორგანიზაციაა“. მართლაც, კომპარტია ინგლისში ფორმალურად მაინც ლეგალურად არსებობს და ინგლისურ კანონებითაც არ არის აკრძალული, რომ რომელიმე რევოლიუციონურმა ორგანიზაციამ, მაგ. კომინტერნმა, მას საშუალებები მიაწოდოს თავის მუშაობისათვის. თვით ინგლისის კომპარტიას არა ერთხელ განუცხადებია, რომ ასეთი საშუალებების მიღებაზე ის უარს არ ამბობს.

მთავარი აქ ის არის, რომ ხიკსმა ვერ შესძლო საბუთის მსგავსი რამის მოყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა ბანკები და მით უმეტეს საბჭოთა მთავრობა ინგლისის კომპარტიას ფინანსებით ამარაგებდენ. ხიკსი პირიქით, იძულებულია აღიაროს, რომ „კავშირი ბანკებსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის არ იქნა აღმოჩენილი“. რაც შეეხება საბჭოთა ბანკების მოქმედებას, ხიკსს აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მთელი მისი დებულება მხოლოდ ისაა, რომ ცალკე კომუნისტები, რომლებიც ლონდონის საბჭოთა დაწესებულებებში მსახურობენ, დაწესებულებების მეთაურთა თანხმობის გარეშე უცხოეთის ვალიუტას ახურდავებდენ ამ დაწესებულებებში. ხიკსი „ცნობად იღებს“ ბანკების დირექტორების განცხადებას, რომ მათ არაფერი იცოდენ ამ საქმის შესახებ, ე. ი. იძულებულია ამ განცხადებას დაეთანხმოს.

ამგვარად, ხიკსი სასტიკად დამარცხდა. რა შედეგი შეიძლება მოყვეს მთელ ამ ისტორიას? ხიკსი აცხადებს, რომ მას „განზრახული არა აქვს რაიმე ნაბიჯის გადადგმა საბჭოთა ბანკების წინააღმდეგ“. უნდა ვიფიქროთ, რომ გამწვავება ინგლის-საბჭოთა ისედაც გართულებულ ურთიერთობაში არ არის მოსალოდნელი. გამოძიების შედეგები და, რაც მთავარია, ინგლისის საქმიანი ჯგუფების დაინტერესება საბჭოთა კავშირთან ვაჭრობით ამისათვის თითქო საბუთს იძლევა.

მაგრამ ამ დამარცხებას ხიკსები, ცხადია, ვერ შეურიგდებიან. ისინი შემდეგშიაც გააგრძელებენ ამ მიმართულებით „მოღვაწეობას“, რომ დაარწმუნონ როგორც ინგლისის მოსახლეობა, ისე დანარჩენი კაპიტალისტური ქვეყნები იმაში, თითქო საბჭოთა წარმომადგენლები უცხოეთში დამანგრეველ მუშაობას ეწევიან, და ამნაირად მოამზადონ ნიადაგი საბჭოთა კავშირის გარიყვისა და მის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნისათვის. მაგრამ მეთოდები, რომლებსაც შუბლმაგრები ამ მიზნით მიმართავენ, უკვე იმდენად გაბახებულია, რომ არ გეგონოთ მათ ანკესზე ვინმე კიდევ წამოეგოს.

აღსანიშნავია, სოციალ - გამცემლების როლი მთელ ამ კამპანიაში. მაგ., ცნობილი ტომას მოითხოვს „დამნაშავეთა“ პასუხისგებაში მიცემას. მაკდონალდები შეეცდებიან ამ საქმის გამოყენებას კომპარტიის წინააღმდეგ, რომლის ზრდა ნიადაგს აცლის მათ გავლენას მუშათა კლასში. სოციალ-მოღალატენი, რომელნიც მთელი თავისი არსებით დაკავშირებული არიან ბურჟუაზიასთან და ბევრ შემთხვევაში მისგან ღებულობენ სუბსიდიებს, მოინდომებენ სახელის გატეხას კომპარტიისათვის, რომელიც „უცხო“ წყაროებიდან იღებს დახმარებას, თითქოს სამარცხვინო იყოს სხვადასხვა ქვეყნების რევოლიუციონურ ორგანიზაციების სოლიდარობა და ურთიერთ დახმარება. საეჭვოა ასეთი გზით ტომასებმა რაიმე ზიანი მიაყენონ კომპარტიის პრესტიჟს და ხელი შეუშალონ მის გაძლიერებას.

⁂

ინგლისის იმპერიალიზმი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოქმედებს არა მარტო „მამხილებელი“ მეთოდებით და ყალბი დოკუმენტებით. ის ამავე დროს პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო ზეგავლენას ახდენს სხვა ქვეყნებზე ჩვენთან დამოკიდებულების გასართულებლად. ამის გამოხატულებას წარმოადგენს, სხვათა შორის, საბერძნეთის პალატის მიერ ამას წინედ საბერძნეთ - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების უარყოფა.

ასეთი ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1926 წ. ვინაიდან პანგალოსის მთავრობა, რომელიც მაშინ საბერძნეთს ედგა სათავეში, მალე დაეცა, ვერ მოხერხდა ხელშეკრულების რატიფიკაცია პარლამენტში. ამასობაში ინგლისის გავლენა საბერძნეთში გაძლიერდა. კერძოდ აღსანიშნავია, რომ ათინის ახალმა მთავრობამ ლონდონში აიღო სესხი, რომლის მიცემის დროს მას აგრძნობინეს, რომ საბერძნეთის დაახლოება საბჭოთა კავშირთან შეუძლებელს ხდის ინგლისის „მზრუნველობას“ საბერძნეთის მიმართ.

საბერძნეთში ჩაღდება ანტისაბჭოთა კამპანია, ჯერ იყო და ავრცელებდენ ჭორებს, რომ საბჭოთა წარმომადგენლობა თითქო ხელს უწყობს საბერძნეთის კომპარტიის რევოლიუციონურ გადატრიალების მოხდენის საქმეში, კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოიყენეს ერთ დროს გახშირებული ხანძრები საბერძნეთში, რამაც რამოდენიმე თამბაქოს ფაბრიკა მოსპო. ეს ხანძრები კომუნისტების საქმეაო,— აცხადებდა ბურჟუაზია და მან ამასთან დაკავშირებით გააძლიერა რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ. მაგრამ გამოირკვა, რომ ხანძრებს აწყობდენ ფაბრიკების გაკოტრებული მეპატრონენი დასაზღვევ პრემიების აღების მიზნით.

ამავე დროს საბერძნეთის მთავრობამ წამოაყენა დაუშვებელი მოთხოვნა, რომ საბჭოთა კავშირს აენაზღაურებია საბერძნეთის დიპლომატიურ წარმომადგენლების მიერ რევოლიუციის პირველ წლებში დაკარგული ქონება. ამ საკითხის გადაჭრა მან დაუკავშირა სავაჭრო ხელშეკრულების დამტკიცებას.

თვით სავაჭრო ხელშეკრულების შინაარსი საბერძნეთის მესვეურებმა გამოაცხადეს თავისი ქვეყნისათვის საზიანოდ. მოჰყავდათ ცნობები, თითქო ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან საბერძნეთს ზარალს აძლევს. ფაქტები ამას ადასტურებენ. კერძოდ საბერძნეთს დიდი შემოსავალი აქვს თავის გემებით საბჭოთა საქონლის გადაზიდვიდან. საბერძნეთის მთავრობის ამ კამპანიის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მას სურს შეარყიოს ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და საბჭოთა ბაზარზე გზა გაუხსნას თავის ქვეყნის მეტ წილად სამომხმარებლო პროდუქციას.

ასეა თუ ისე, სავაჭრო ხელშეკრულება უარყოფილ იქნა. ეს მოწმობს, რომ საფრანგეთის ეხლანდელი მმართველები ბრმა იარაღს წარმოადგენენ ლონდონის ხელში. გარდა იმისა, რომ ეს საზიფათოა თვით საბერძნეთის მშვიდობიანი არსებობისათვის, ხელშეკრულების უკუგდება უეჭველად დიდი ეკონომიურ ზარალს მიაყენებს საბერძნეთს, რომელიც ისედაც განიცდის სამეურნეო (და ამასთან პოლიტიკურ) კრიზისს. ამ კრიზისის ნიადაგზე გართულებულია შინაური მდგომარეობა, რამაც ადვილად შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ცვლილებები, როცა საბერძნეთი იძულებული გახდება დაადგეს საბჭოთა კავშირთან აღებ-მიცემობის განვითარების და ნორმალურ დამოკიდებულების განმტკიცების გზას.

⁂

წინანდელ მიმოხილვაში ჩვენ შევეხეთ ერთა ლიგის უკანასკნელ სესიის პოზიციას პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტში ლიგაში გაბატონებულ ქვეყნების წარმომადგენლები მთლიანი ფრონტით გამოვიდენ პატარა ლიტვის წინააღმდეგ და მათ აშკარად დაუჭირეს მხარი პოლონელ იმპერიალისტების მტაცებლობას ლიტვის მიმართ. ინგლისის და საფრანგეთის ასეთი შეთანხმებული გამოსვლა ერთი მხრივ აიხსნება პოლონეთში თვითეულ მათგანის მიერ თავისი გავლენის განმტკიცების სურვილით, ხოლო მეორე მხრით, — და ეს მთავარია,— ლიტვის გატეხის გზით აღმოსავლეთ ევროპაში ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის საერთო მისწრაფებით.

მაგრამ იმპერიალისტების ეს თანხმობა მაშინვე დაირღვა, როცა საქმე მათი ურთიერთ ინტერესებს შეეხო. მხედველობაში გვაქვს სენ-გოტარდის ინციდენტი, რომელიც ლიგის საბჭოს ივნისის სესიამ გაარჩია. ეს ინციდენტი, როგორც ვიცით, მდგომარეობს იმაში, რომ აღმოჩენილ იქნა უნგრეთში ფარულად იარაღის გადმოზიდვის ფაქტი. თავის დროზე ლიგის საბჭომ, მცირე ანტანტის მოთხოვნით, გამოყო კომისია ინცინდენტის გამოსარკვევად. კომისიამ არსებითად ვერაფერი გამოარკვია, ვერც ის, თუ ვინ გამოგზავნა იარაღი, ვერც ის, თუ ვისთვის იყო იგი დანიშნული, ვერც დაჭერილ იარაღის მნიშვნელოვან რაოდენობის გაქრობის საკითხი. მცირე ანტანტის და აგრეთვე საფრანგეთის დელეგატებმა სესიაზე გაილაშქრეს კომისიის ასეთ „მუშაობის“ წინააღმდეგ, რომელიც, მათი სიტყვით, ლახვარს სცემს ერთა ლიგის პრესტიჟს. ჩემბერლენმა მოახერხა ამ უკმაყოფილო ელემენტების დამარცხება. სენ-გოტარდის ინციდენტი მიფუჩეჩებულ იქნა. ლიგის საბჭოს სესია მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ავალებს ლიგის გენერალურ მდივანს მზგავს შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩაერიოს საქმეში და მიიღოს ზომები საკითხის სრული გამორკვევისათვის. ამასთან სესია თავის რეზოლიუციაში გამოსთქვამს მწუხარებას, რომ უნგრეთის მთავრობამ თავისი მოქმედებით არ დაუშვა სენ-გოტარდის ინცინდენტის სრული გამორკვევა.

სენ-გოტარდის ინცინდენტი და მისი ასეთი დაბოლოვება ფარდას ხდის იმპერიალისტების ინტერესთა წინააღმდეგობას და მათ შორის არსებულ ძალთა განწყობილებას. იტალია მხარს უჭერს ტრიანონის ხელშეკრულების გადასინჯვას, ე. ი. უნგრეთისათვის იმ ტერიტორიების დაბრუნებას, რომლებიც მას ჩამოერთვა ამ ხელშეკრულებით და რომლებიც განაწილებულია რუმინიასა, ჩეხო-სლოვაკიასა და სამხ.-სლავიას შორის. იტალიას უნგრეთთან სამხედრო კავშირი აქვს დადებული და იგი მას ფარულად აიარაღებს. უნგრეთს ხსენებული ხელშეკრულების ძალით არა აქვს შეიარაღების უფლება. უნგრეთმა უნდა ითამაშოს იარაღის როლი ადრიატიკის ზღვაში და ბალკანეთზე იტალიის გაბატონებისათვის. ამ გზაზე მუსოლინის ეღობებიან სამხრეთ-სლავია, მთელი მცირე ანტანტა და მის ზურგს უკან მდგომი საფრანგეთი. შეიარაღებული უნგრეთი მუქარა იქნება სამხრეთ - სლავიისათვის. ამავე დროს მუსოლინი ცდილობს მცირე ანტანტის დაშლას. ამ მხრივ ერთგვარ შედეგსაც მიაღწია: რუმინია უკვე თითქმის მის გავლენის ქვეშ მოექცა, დაშლა კი მცირე ანტანტის, რომელიც საფრანგეთის პოლიტიკის დასაყრდენია ბალკანეთში, ნიშნავს აქ საფრანგეთის პოზიციების შერყევას იტალიის სასარგებლოდ. ამავე დროს ინგლისიც დაინტერესებულია ევროპაში საფრანგეთის გავლენის შესუსტებით. ამით აიხსნება რომ იტალია და ინგლისი ასე ცდილობდენ სენ-გოტარდის ინცინდენტის მიჩქმალვას. ამითვე აიხსნება, რომ საფრანგეთი ცდილობდა მის გამორკვევას, რომ ემხილა იტალიისა და მისი ხელქვეით უნგრეთის ზრახვები და ხელი შეეშალა ამ ზრახვების განხორციელებისათვის. მაგრამ ვერაფერს გახდა. ინგლისი და საფრანგეთი ამ შემთხვევაში გამარჯვებული გამოვიდენ.

სამხრეთ-ევროპაში ნიადაგი მზადდება, როგორც იქ მოსახლე მცირე სახელმწიფო შეიარაღებული კონფლიქტებისათვის, ისე დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შეხლა-შემოხლისათვის. სენ-გოტარდის ინციდენტი ამ მხრივ საგულისხმოა.

⁂

თუმცა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ზალესკიმ ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე მიაღწია იმპერიალისტების მთლიანი ფრონტის შექმნას ლიტვის წინააღმდეგ, მაგრამ პოლონეთში მაინც უკმაყოფილებას გამოსთქვამენ: რაც არ უნდა იყოს, პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის მოწესრიგება გადადიდო ლიგის საბჭოს სექტემბრის სესიამდე და პოლონეთმა ვერ მოახერხა ლიტვის მიმართ ძალმომრეობის ეხლავე განხორციელება.

ამასთან დაკავშირებით პოლონეთის პრესამ კვლავ დაიწყო კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელსაც სთვლის „დამნაშავედ“ იმაში, რომ ვოლდემარასმა პოლონეთისა და ლიგის საბჭოს წინაშე ქედი არ მოიხარა. ასეთივე აზრი გამოსთქვა ზალესკიმაც: „ლიტვის მთავრობა, სარგებლობს რა მოსკოვის აშკარა დახმარებით, უარს აცხადებს პოლონეთთან უშუალო ურთიერთობის აღდგენაზე“-ო.

ამგვარად, სურთ ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, თითქოს საბჭოთა მთავრობა ლიტვის მმართველ წრეებში აღვივებდეს „აგრესიულ“ ზრახვებს პოლონეთის მიმართ და ხელს უშლიდეს მათ შერიგებას. რა თქმა უნდა ეს ბრალდება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. საბჭოთა მთავრობა უაღრესად დაინტერესებულია მშვიდობიანობის განმტკიცებაში და კერძოდ პოლონეთ-ლიტვის უთანხმოების ლიკვიდაციაში, უთანხმოების, რომელიც სერიოზულ მუქარას წარმოადგენს მშვიდობიანობისათვის. საბჭოთა ხელისუფლება ამ მიმართულებით მუშაობს როგორც ვარშავაში, ისე კოვნოში. ჯერ კიდევ ერთა ლიგის საბჭოს დეკემბრის სესიის წინ, როცა პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა უკიდურესობამდე იყო გართულებული და ომის სუნი ტრიალებდა ჰაერში, ბრიანი იძულებული იყო აღიარებია, რომ რჩევამ თავდაჭერილობის შესახებ, რომელნიც საბჭოთა კავშირი აძლევდა როგორც პოლონეთს, ისე ლიტვას, დიდი როლი ითამაშა მხარეთა შორის მოლაპარაკების დაწყების საქმეში.

ვიმეორებთ, საბჭოთა მთავრობა ყოველნაირად ცდილობს მშვიდობიანად გადაჭრას პოლონეთ-ლიტვის სადაო საკითხები და მათ შორის დამყარდეს ნორმალური დამოკიდებულება. ეს კი შესაძლებელია მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმების და ლიტვის დამოუკიდებლობის ნამდვილად ცნობის ნიადაგზე. საბჭოთა მთავრობა იცავს ამ დამოკიდებულებას, რომელსაც პოლონეთი ემუქრება. ეს არ მოსწონთ პოლონელ იმპერიალისტებს. ამით ისინი თავის მტაცებლურ ზრახვებს აშკარავებენ.

ზალესკი აგრეთვე შეეხო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას: „საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულება შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, მაგრამ ამ დამოკიდებულებას აფერხებს მოსკოვის უნდობლობა და ეკონომიური სისტემების სხვადასხვაობა“-ო. მტკიცება არ უნდა, რომ პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობა სრულებით არ არის ნორმალური, რაც მთლიანად აიხსნება ვარშავის ანტისაბჭოთა პოლიტიკით. უარის თქმა ჩვენთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებაზე, გალაშქრება საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ. ბალტიის ქვეყნებისაგან მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის ცდა, თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების აშკარა მფარველობა,—ყველაფერი ეს, რაც ახასიათებს პოლონეთის მთავრობის პოლიტიკას და მოქმედებას, ნაკლებად ლაპარაკობს საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის არსებობაზე პოლონეთის მხრით. ამის შემდეგ განა „მოსკოვის უნდობლობა“, რომლის შესახებ ზალესკი ლაპარაკობს, განა სავსებით საფუძვლიანი არ არის? ეს უნდობლობა კი არ აფერხებს პოლონეთ-საბჭოთა ნორმალურ ურთიერთობას, არამედ ის მიზეზები, რომლებიც მას იწვევენ. და რომ ზალესკის მართლა სურდეს საბჭოთა კავშირთან კეთილ მეზობლურ დამოკიდებულების დამყარება, ის ამ მიზეზების მოსპობას შეეცდებოდა. ამას კი ჩვენ ვერ ვხედავთ.

⁂

გერმანიის სოციალ-დემოკრატიას შეუსრულდა დიდი ხნის ოცნება: ის სდგება ხელისუფლების სათავეში. მოლაპარაკება მთავრობის შედგენის შესახებ არ დამთავრებულა, მაგრამ აშკარაა, რომ მენშევიკები ფორმალურად ხელმძღვანელ როლს ითამაშებენ ახალ კაბინეტში.

ვამბობთ: ფორმალურად, რადგან სინამდვილეში ისინი არსებითად იქნებიან ბურჟუაზიის ნების ამსრულებელნი. ამიტომაა, რომ ბურჟუაზია სრული დამშვიდებით ხვდება ძალაუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატიის ჩადგომას. მუშათა კლასის სისტემატიური გამცემლობით მან საკმაოდ დაიმსახურა კაპიტალისტების ნდობა.

თავდაპირველად სოციალ-დემოკრატები, მასების თვალის ასახვევად, რაღაც პირობებს უყენებდენ ბურჟუაზიულ პარტიებს თანამშრომლობის განსახორციელებლად. უკანასკნელთა შემოტევის შემდეგ მათ ხელი აიღეს ყოველგვარ პირობების წამოყენებაზე. ამან კი გამოიწვია სახალხო პარტიის (მძიმე მრეწველობის პარტია) და კათოლიკური ცენტრის პრეტენზიების გადიდება; დიდი კოალიციის მთავრობამ გადაჭრით უნდა შეასრულოს ბურჟუაზიულ პარტიების მოთხოვნილებანი,—აცხადებენ ისინი.

ეს ასეც მოხდება, მიუხედავად ცალიერი სიტყვიერებისა, რომელსაც მენშევიკები ალბად მიმართავენ თავის მოღალატეობის დასაფარავად. ამის ნიშნები უკვე სჩანს. რეიხსტაგის პრეზიდიუმის არჩევის დროს სოციალ-დემოკრატების ხმებით გაშავებულ იქნა კომუნისტი და პრეზიდიუმში გაიყვანეს ნაციონალისტი. მენშევიკები აგრეთვე საბოტაჟს ეწევიან პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის მიმართ, რასაც კომპარტია მოითხოვს.

შემდეგში, როცა ახალი მთავრობა შეიქმნება და შეუდგება ყოველდღიურ მუშაობას, უფრო გამოჩნდება, რომ სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიის სამსახურში იმყოფებიან, ამან კი არ შეიძლება არ გამოიწვიოს იმ მუშათა ფენების კლასობრივი გამოფხიზლება, რომელნიც კიდევ მისდევენ მათ, და კომპარტ. გავლენის შემდგომი ზრდა. ჩვენი მოძმე პარტიისათვის არსებობს საკმაოდ ხელსაყრელი პირობები სოციალ-დემოკრატების ბუნების მხილებისა და მასების რევოლიუციონური მობილიზაციისათვის. ამ პირობებს ის სავსებით გამოიყენებს.

ვ. კ—ლი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

უთავბოლო ხარჯები კოოპერაციაში

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია მეორე წელიწადია ეწევა მომჭირნეობას, სცდილობს დირექტივა პარტიის და ხელისუფლების სავსებით შეასრულოს, რათა ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის აღორძინების საშვალებების დაზოგვას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველა შესაძლებლობანი ამ მხრივ ჯერ არ არის ამოწურული. ჯერაც არის ისეთი მოვლენები, რომ აშკარად უაზროდ იხარჯება თანხები. ჩვენ სახეში გვაქვს: 1) პერიფერიის (კოოპერაციის) ცენტრში ხშირი სიარული და 2) პერიფერიის წარმომადგენლობათა ხარჯი თვით თბილისში. ჩვენ ვიცით, რომ სრულიად საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას აერთიანებს მისი ცენტრი ცეკავშირი.

ცეკავშირში არის ორი აპარატი: **სავაჭრო**, რომელიც გენხელშეკრულებებს სდებს წარმოებასთან და ტრანზიტით ანაწილებს საქონელს, რომელსაც ცეკავშირის საწყობში შეუსვლელად ქარხნიდან ადგილებს აწვდის. ეს აიაფებს საქონელს 5-დან—25%-მდე; არის აგრეთვე საკომისიო განყოფილება, რომლის მოვალეობას შეადგენს: 1) პერიფერიის თანხების, (ყოველ დღიური ნავაჭრის, ცენტრში გადმოგზავნილის სახით) კონცენტრაცია, 2) ზრუნვა კრედიტების, მოწესრიგებაზე, 3) ზრუნვა ადგილობრივ ბაზარზე ძირითადი კოოპერატივებისთვის საჭირო საქონლის შეძენისათვის, 4) გამომუშავება პირობების ამ საქონლის შეძენისა იმ დავვარათ, რა გვარადაც ეს ხელსაყრელია, ამა თუ იმა კოოპერატივისთვის, 5) პერიფერიისათვის შეძენილ საქონლის და მისი ანგარიშების თავის დროზე გადაგზავნა, 6) თამასუქების გამოსყიდვა დროზე და სხვა. ერთი სიტყვით საკომისიო განყოფილება მოწოდებულია პერიფერიის ყველა სახის დავალება შეასრულოს ისე რომ, ჩამოსვლა კოოპერატივების წარმომადგენელთა შემცირდეს 80—90%-მდე მაინც.

ამჟამად სავაჭრო განყოფილების მიერ გენხელშეკრულებების საქმე მოწესრიგებულია; ადგილობრივ ბაზარზე კი საკომისიო განყოფილება სავაჭროების ყველა წარმომადგენლებთან შეთანხმებულია კოოპერატივებისთვის ხელსაყრელ პირობებში საქონლის მაწოდების შესახებ, ასე რომ პერიფერიას არა დარჩენია რა, გარდა იმისა, რომ აგზავნოს ყოველ დღიური მისი ნავაჭრი ცეკავშირში ანაბარაზე, იქონიოს საკომისიო განყოფილებაში მზა თამასუქები და უგზავნოს საკომისიო განყოფილებას დავალებები საქონლის შეძენის, ან თამასუქების დახურდავება-გამოსყიდვის შესახებ, და თვეში ერთხელ 2—3 დღით ჩამოვიდეს ერთ ერთ გამგეობის წევრი საერთო მდგომარეობის გასაცნობად. საქმე ასე არის მოგვარებული, მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ ამჟამად? უნდა ითქვას, რომ ყოვლად დაუშვებელ და მიუღებელ მოვლენას. მთელ რიგ კოოპერატივების წარმომადგენლები მუდმივად თბილისში სცხოვრობენ. მთელი რიგი კოოპერატივების გამგეობის თავმჯდომარენი თვეში 25 დღე თბილისში არიან და 5 დღე კი სოფელში. მერე არ იკითხავთ რას აკეთებენ თბილისში? არაფერს, გარდა იმისა, რომ შევლენ საკომისიო განყოფილებაში, მისცემენ მას დავალებას ამა თუ იმ საქონლის შესაძენად, იცდიან სანამ საკომისიო განყოფილება შეიძენს საქონელს, მერე თამასუქზე ხელს მოაწერენ და წავლენ.

წარმოიდგინეთ იქამდე მივიდა საქმე, რომ თავიანთ, თამასუქებსაც არ ადგენენ, არც ამისთვის საჭირო ბლანკებს ყიდულობენ. სხედან და უყურებენ, როდის იყიდის საკომისიო განყოფილება ბლანკებს, როდის შეავსებს ამ ბლანკებს და შემდეგ მოაწერენ ხელს. იბადება კითხვა: რა საჭიროა ამ ხალხის თბილისში, როგორც მუდმივი წარმომადგენლობის ყოლა ან ყოველ კვირას მგზავრობა?

ნუ დაგვავიწყდება, რომ თბილისში იმყოფებიან ისეთი კოოპერატივების წარმომადგენლები, რომელთა ბრუნვა ერთად თვეში 10.000 მანეთს არ აღწევს, ხოლო წარმომადგენელს კი მოზრდილი ჯამაგირი აქვს—120-დან და მეტი და თბილისში დაიარებიან თვეში 15—25 დღე უაქტივესი გამგეობის წევრები — თავმჯდომარენი, რომელნიც მოშორებულნი არიან ადგილობრივ კოოპერატიულ საქმიანობას.

გაუქმებულ უნდა იქნას ყოველგვარი წარმომადგენლობა თბილისში, შემცირებულ იქნას მინიმუმამდე კოოპერატივების წარმომადგენელთა მგზავრობა ცენტრში, სამაგიეროდ გაძლიერებულ იქნას ცეკავშირის სავაჭრო დარგის მუშაობით გეგმიანი შეძენა ქარხნებიდან ტრანზიტით საქონელისა, გაძლიერებულ იქნას საკომისიო განყოფილების მუშაობა თბილისის ბაზარზე, რათა მან შეასრულოს ყველა ის დავალება, რაც საჭიროა პერიფერიისათვის თბილისში. აშკარაა საკომისიო განყოფილება 7—8 კაცის შტატით შეასრულებს ყველა იმას, რისთვისაც დღეს თბილისში ცხოვრობს 8—10 რწმუნებული და ყოველდღიურათ არის პერიფერიიდან 20—25 კაცი.

სად 30—40 კაცის მუდამ დღე თბილისში ცხოვრების ხარჯი და სად 8—10 კაცით მათი ფუნქციების შესრულება. რა უფრო იაფად დაუჯდება საქართველოს კოოპერაციას, ამას დიდი ანგარიში არ სჭირია. მხოლოდ საჭიროა, რომ ეს საკითხი დაჩქარებით მოგვარდეს.

ნარი.

ოთხი დამხრჩვალი ბავშვი ხუთ დღეში

(ლიუქსემბურგი, ბორჩალოს მ.)

ლიუქსემბურგის საავადმყოფოში მსახურობს ბებია ქალი აირაპეტოვი. მართალია აირაპეტოვის ქალს ბებიის თანამდებობა აქვს, მაგრამ ეს სრულიადაც სავალდებულო არაა, რომ თვით აირაპეტოვა ასაკითაც ბებია იყვეს. ასედაც არის. პროფესიით ბებია აირაპეტოვს დიდი მანძილი დარჩენია ჯერ კიდევ ასაკით ბებიაობამდე. ეს პირადათ აირაპეტოვისათვის შეიძლება სასიამოვნო ამბავია, მაგრამ სწორედ ამაშია მთელი უბედურება. აირაპეტოვის ქალი თავის გარეგნობაზე და მოსვენებაზე ზრუნვას უფრო უნდება, ვიდრე ბებია-ქალობას.

შედეგი აქედან კი მეტად სამწუხაროა.

მიმდინარე წლის ხუთ მაისს ლიუქსემბურგის საავადმყოფოში დააწვინეს მელოგინე ქალი სოფელ კაპანახჩიდან. მშობიარობის დროს მორიგეობდა ბებია-ქალი ექიმი აირაპეტოვი. ავადმყოფი გულშემზარავი ხმით ევედრებოდა აირაპეტოვს, რომ ეს უკანასკნელი მას მიშველებოდა. ექიმმა ახლოც არ გაუარა მშობიარეს. დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ ქალმა დამხრჩვალი ბავშვი შობა.

სამი დღის შემდეგ განმეორდა ასეთივე ისტორია. 8 მაისს, როდესაც მორიგეობდა ისევ ექიმი აირაპეტოვი, საავადმყოფოში მოიყვანეს თვით ლიუქსემბურგში მცხოვრები ქალი. ექიმმა არც მას აღმოუჩინა დახმარება. ის გართული იყო თავის ტუალეტით, ის კოხტაობდა და ლამაზობდა. ექიმის ამ მოკაზმვა-კოხტაობაში დაიბადა დამხრჩვალი ბავშვი.

ამავე დღეს, რვა მაისს, ღამით საავადმყოფოში მოიყვანეს მშობიარე ქალი სოფ. ხაჩინიდან. ამ ქალის მშობიარობის დროს აირაპეტოვის ქალს ტკბილად ეძინა. ავადმყოფი ტკივილებისაგან თავზე თმებს იგლეჯდა. დამლაგებელ ქალმა ვერ გაუბედა აირაპეტოვას გაღვიძება. ამ ქალსაც მკვდარი ბავშვი დაებადა.

ეს კიდევ ცოტაა. აი მეოთხე მაგალითიც. გავიდა ორი დღე. ათ მაისს საავადმყოფოში მორიგეობს ისევ ექ. აირაპეტოვი. მოიყვანეს მშობიარე ქალი. აირაპეტოვს ავადმყოფისათვის არ სცალია, აირაპეტოვი გართულია თავის ტუალეტით. დაიბადა ისევ მკვდარი ბავში.

როდესაც აირაპეტოვის ქალს მიუთითეს მშობიარეებისადმი ასეთ უყურადღებობის დაუშვებლობაზე, მან უკმაყოფილოდ განაცხადა: „რა ვქნა, თქვენს ბავშს ჩემი თავი მირჩევნია“-ო.



ამრიგად, სულ ხუთიოდე დღის განმავლობაში ექიმი ქალის დაუდევრობით რამდენიმე მსხვერპლი. შეიძლება ექიმ აირაპეტოვის ქალს თავის თავი ბავშების თავს ურჩევნია. მაგრამ, არა გვგონია, რომ სამაზრო ალმასკომიც ამავე აზრის იყვეს. შეიძლება მან ბავშების თავი არჩიოს ექიმ აირაპეტოვის თავს. ამაში იქვი არავის უნდა ეპარებოდეს. და თუ ეს ასეა, თუ ჩვენ არ გვინდა, რომ ლიუქსემბურგის საავადმყოფოში მსხვერპლს კიდევ მსხვერპლი მოჰყვეს, დამნაშავეს სასტიკი პასუხი უნდა ვაგებინოთ.

ჟანელი.

აქა ამბავი საჩხერისა

ჩვენ ვლაპარაკობთ შორაპნის მაზრის ერთ-ერთ კუთხეში, საჩხერეში მომხდარ ამბავზე. როგორ დაიწყო საქმე—ამას შემდეგ მოგახსენებთ, ხოლო როგორ და რით გათავდა იგი, ამას სარევიზიო კომისიის ოქმის ქვემოთ მოყვანილ ამონაწერიდანაც დაინახავთ:

— ...„ამრიგათ კოოპერატივის ზარალი—გაფლანგვა ა. წ. 1-ლი აპრილისათვის უდრის **4.477 მან. 25 კ.**

ამაში: 1. მოქ. ი. გაფრინდაშვილს—4.168 მ. 85 კ. (პასუხისმგებელი ნოქარია); 2. ა. კურტანიძეს მოანგარიშეს და დრ. მოლარეს ყალბი ორდერით—288 მ. 40 კ., 3. მოლარე ზინა მაჭარაშვილს—320 მან“.

ასეთია სარევიზიო კომისიის დასკვნა.

სად არიან ამჟამად დამნაშავენი?

— ზოგი ზის გამსახლში, ხოლო ზოგი...

მაგრამ სჯობს ისტორია თავიდან დავიწყოთ.

პირველი გაფლანგვა საჩხერის კოოპერატივში ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ მარტში მოხდა.

მეორე გაფლანგვამ სრული ერთი წლით დაიგვიანა.

მესამემ რამდენიმე დღით დაასწრო ერთ წელს, თვე კი მაშინაც მარტი იყო.

ხოლო მეოთხე წელზე მეოთხე გაფლანგვა. ისიც მარტში არის.

რატომ მოხდა ეს? უცნაური კითხვაა.

პირიქით, საკითხავი ისაა, თუ რატომ თითო წლით იგვიანებს ეს გაფლანგვები, როდესაც გამფლანგველთა ინტენსიური „მოღვაწეობისათვის“ ასპარეზი ფართეა და პირობებიც ხელსაყრელი.

არის საჩხერეში თემკომის მდივანი, არის კედლის გაზეთი და რედაქტორი. რედაქტორიც და პარტკომის მდივანიც ერთი და იგივე პიროვნებაა:

— ბაგრატ სახელაშვილი.

მიდის გაზეთში შენიშვნები კოოპერაციის შესახებ.

— სირცხვილია, დაწესებულებას სახელი გაუტყდება, არ გაუშვათ!—ამბობს რედაქტორი სახელაშვილი, ხოლო თემკომის მდივან სახელაშვილს კოოპერატივში მარტო ვინმე გორდაძის ბუხჰალტრათ მოწყობა აინტერესებს და სხვა არაფერი.

იმ გარემოებას, რომ მეოთხეჯერ საჩხერეს კოოპერატივში გაფლანგვა აღმოჩნდა, უნდა ვუმადლოდეთ „ბედნიერ“ შემთხვევას.

— უსახსრობის გამო, დადგენილ იქნა ერთ-ერთი ფილიალი მიეხურათ და აი, როდესაც მის ლიკვიდაციას შეუდგენ, მხოლოდ მაშინ გამოირკვა, რომ კოოპერატივში ბოროტმოქმედებას ჰქონია ადგილი.

— ფილიალის ლიკვიდაცია რომ არა, მაშინ ალბად მეხუთე წლის მარტში შევესწრებოდით მთელი კოოპერატივის ლიკვიდაციას.

გამფლანგველს, როგორც გამოირკვა, არ ჰქონია შემთხვევითი ხასიათი, იგი ორგანიზაციულ სახეს ატარებს და აქ წინასწარ მეთაურობდა დაკავშირებული ბუხჰალტერია სალაროსთან, სალარო-სავაჭროსთან, ხოლო სავაჭრო თანამშრომელთა ჯიბესთან.

მაშ, რაღას აკეთებს გამგეობა?

სავსებით გულდამშვიდებით უცქერის ამ ამბავს!

დაწესებულება—რაღაც საშინაო კერძოდ გადაქცეული.

მამაკაცი თანამშრომელი ასე მიმართავს თანამშრომელ ქალს:

— კუკლა! ქაღალდი მომეცი გენაცვა.

* * *

როგორიღაა საქმე საკრედიტო ამხანაგობაში? აქ—ფლანგვა რევოლიუციონურ დღესასწაულებს მისდევს თან.

— ვიდღესასწაულეთ საჩხერეში 25 თებერვლის შვიდი წლის თავი?

— მაშ, მეშვიდე საიუბილეო გაფლანგვა უნდა იქნეს საჩხერის საკრედიტო ამხანაგობაშიც.

და ასეც არის.

მაგრამ აქ ფლანგვის სისტემა განსხვავდება, აქ სულაც არ ხმარობენ სიტყვა „გაფლანგვას“, ან რა საჭიროა? უკეთესია სთქვათ:

— თავმჯდომარეს „შემოეჭამა“ 100 მანეთი, ნოქარს—დააკლდა 160 მანეთი (ნუ გიკვირთ თანხის სიცოტავე, პროპორცია არ შელახულა, რადგან ნოქარი კვირა-ნახევრის დანიშნულია!), ხოლო ნოქრის ძმას... იმას არაფერი „შემოხარჯვია“ სავაჭროს ფონდში გადაძრომის მეტი.

ერთი სიტყვით კენჭი, რომ ესროლოთ საჩხერეში გამფლანგველს მოხვდება კეფაში.

ეხლა კიდევ ერთი „უმნიშვნელო“ ფაქტის შესახებ.

კომკავშირელ ქალს ა. —ძეს ხსნიან სამსახურიდან კოოპერატივში.

რატომ?

— ალბათ შეთქმულნი არ ენდობიან.

ამას შემდეგ იქმნება ინტრიგა თვით კოოპერატივში ახალგაზრდა ქალის წინააღმდეგ, კოოპერატივის ბუხჰალტერი გორდელაძე, იმისთვის, რომ ქალს სახელი გაუტეხოს, გაუპატიურებას სცდილობს. მეორე დღეს ქალს მილიცია იბარებს, კომკავშირი თავის რიგებიდან ხსნის.

იმის, მაგივრათ, რომ უღარიბესი გლეხის შვილს გამოესარჩლონ და მოძალადე პასუხისგებაში მისცენ, —სჯიან თვით მას.

— შედეგი?

— „დედა, ჩემი სიცოცხლე რაღაა? მაპატიე შენ გენაცვალე“,—სტოვებს ბარათს და თავს იწამლავს.

შემთხვევით მოუსწრებენ და გადაარჩენენ.

ბავშვი არ სცხრება, რეხვენია, მაშ გამოსავალი?

ბუხჰალტერი თავის ადგილზეა (ალბათ უცდიან მორიგ ფლანგვას მომავალი წლის მარტისათვის!), ხოლო დასჯილი ქალი დღესაც აღუდგენელია ადგილზე და... მგონი კომკავშირშიაც.

ჰკითხეთ თემკომის მდივან სახელაშვილს, ვისი მეშვეობით გადაიყვანეს „პრაქტიკიდან“ სამსახურში ცნობილი ვაჭარი ბეგალოვის ქალი!

ვინ მისცა სამსახური თვით ცნობილ ვაჭარ ბეგალოვს?

— ვინ მოაწყო საჩხერის აფთიაქის მოლარეთ თემკომის მდივნის მეუღლე?

ამ კითხვებზე სახელაშვილს უმალ სხვა ვინმე გასცემს დამაკმაყოფილებელ და ამომწურავ პასუხს.

გ. რიონიძე.

ნათლიმამ, მიშველე!

მართალია, ჩვენ ვიბრძვით ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის, უარვყოთ ყველა ძველ, მავნე ტრადიციებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ყოველგვარი ტრადიცია უნდა იყოს უარყოფილი. გიორგი ზახარიჩიც ასე მსჯელობს. იგი ძველი თავადიშვილური ჩამომავლობის კაცია და ძალიან პატივსა სცემს თავისი გვარეულობის ტრადიციას. უწინ, როდესაც გვარის დაბოლოება „ოვით“ უფრო მიზანშეწონილად იყო მიჩნეული, იგი ასე აწერდა ქაღალდებს ხელს: „თავადი გიორგი ზახარიჩ ინჟ. ანდრონიკოვ“. ეხლა დრო შეიცვალა და გიორგი ზახარიჩი ინჟინერ-სპეც ანდრონიკაშვილათ მოინათლა.

გიორგი ზახარიჩს ბევრი ნათლიმამები ყავს. ყველას უყვარს იგი და ყველა უყვარს მას. სცხოვრობდა მყუდროდ და თბილად. მართალია, ცოტა სირემ ჩაუკაკუნა და წელში მოხარა, მაგრამ სამაგიეროდ სპეცსტავკა ახარებდა მის ძველებურ თავადიშვილურ გარეგნობას. ინჟინერი ანდრონიკაშვილი წინედ რკინისგზაზე მსახურობდა. იქ ცოტაოდნად „ხელი შეეშალა“ და ციფრებში „შეცდომა“ მოუვიდა. მას შემთხვევით ვალად დაედო რკინისგზის ფული 4.531 მანეთი კაპეიკებით. ეს თანხა სპეცსტავკიანისათვისაც კი არაა ხელწამოსაკრავი ხურდა და გიორგი ზახარიჩიც დარწმუნდა, რომ უსათუოდ საჭირო იყო მისი გადახდა. მას ამის შესახებ ძალიან „ენერგიულად შთააგონეს“.

— ნათლიმამ, მიშველე! წაიჩურჩულა გიორგი ზახარიჩმა და უცბად მის განკარგულებაში ახალი თანამდებობა აღმოჩნდა. ეს ჩურჩული, რა თქმა უნდა, ნათლიმამის მეტს არავის გაუგონია და შთაბეჭდილებაც ისეთი იყო, რომ გიორგი ზახარიჩი უსათუოდ საჭიროა, თუ გვინდა ახალ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობას კარგი ხელმძღვანელი სპეცი ყავდეს.

რა გააკეთა ინჟ. ანდრონიკაშვილმა ახალ შენებათა კომიტეტში?

პირველ რიგში იგი შეეცადა საქმეების მოგვარებას, ავანსების დარიგების წესით. 1927 4ლის 21 ივნისს მან მიიღო ავანსად 31,186 მანეთი; აქედან გაამართლა შესაფერი ანგარიშების წარმოდგენით 25,065 მ. ხარჯი. ისე რომ 20 სექტემბრისათვის მასზე გაუმართლებელ ხარჯებისათვის ირიცხებოდა—6.120 მან. გაიარა ცოტა ხანმა, და მან, № 1756 ორდერით მიიღო 4.000 მანეთი თბილისის მაუდის ფაბრიკის საამშენებლო სამუშაოთათვის. კიდევ ცოტა ხნის შემდეგ, № 1769 ორდერით მიიღო 5,000 მან. ინგურის ქაღალდის ფაბრიკის სამუშაოთათვის. ამ თანხებიდან ახალშენებათა კომიტეტის მთავარმა ინჟინერმა ანდრონიკაშვილმა გააკეთა ერთი დიდი საქმე: მან გაიხსენა თავისი ძველი დავალიანება რკინისგზის სალაროსადმი, იგრძნო სინდისის ქენჯნა, აიღო და რკინის გზის სალაროს გადაუხადა სრული დავალიანება, რის სამაგიეროდაც მან მიიღო ქვითარი № 4557.

მოითბო ხელი გიორგი ზახარიჩმა. ერთ კომბინაციას მეორე მოყვა, მეორეს მესამე და მესამეს ალბად მეოთხეც მოყვებოდა, მაგრამ მოულოდნელად ინჟ. ანდრონიკაშვილს წარუდგინეს ერთი არასასიამოვნო ბრძანება სამსახურიდან მოხსნის შესახებ.

— ნათლიმამ, მიშველე,— უნდოდა წამოეყვირა მას, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ბეჭზე ნაცნობი მეგობარივით ხელი დაადო და სთხოვა საკანის მოაჯირიან სახლში გაყოლოდა. ეხლა ერთ უბედურებას მეორე დაემატა: დააპატიმრეს და ამას გარდა ისიც აღმოაჩინეს, რომ ამ „შეუდარებელ სპეცს“, „შეხვილიფებული“ ჰქონია 14.000 მანეთზე მეტი თანხა.

— ინჟ. ანდრონიკაშვილს უჭირს, საჭიროა დახმარება... მოყვარეს ხომ ჭირში იცნობენ... მსჯელობდა ასე ერთ-ერთი ნათლიმამა და მიიღო კიდეც ზომები. ანდრონიკაშვილის „საქმემ“ ხელად ფეხები აიდგა და დაიწყო სიარული. საქმის სიარულმა კი თვით 14,000 მანეთის გამფლანგველი კაცი თავისუფალი აღმოაჩინა. სულ ცოტა ხნის შემდეგ გიორგი ზახარიჩ ანდრონიკაშვილმა მიატოვა ჩვენი დედა-ქალაქი და გადასახლდა სოხუმში. იქ კარგი ჰაერიცაა (მას თურმე გულის სისუსტე დასჩემებია), ფიზიკურადაც მომჯობინდება და კარგი სამსახურიც მის განკარგულებაში აღმოჩნდა. მსახურობს ეხლაც გიორგი ზახარიჩი და სულ იმის ფიქრშია, თუ როგორ გადაუხადოს თავის ნათლიმამას ამდენი პატივისცემა. პატივისცემის გადახდაა მთავარი, თორემ 14,000 მანეთის გაფლანგვა აბა რა სახსენებელია.



უბედურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ს. მ. უ. ს. სარევიზიო საინსპექციო განყოფილების მუშაკები ასე არ მსჯელობენ, მათ ანდრონიკაშვილის მთელი მოღვაწეობა დაწვრილებით გამოიძიეს და გამოარკვიეს, რომ ახალშენებათა კომიტეტის ყოფილ ამ უბადლო ხელმძღვანელს მთელი რიგი ცოდვებისა ჰქონია დაშვებული—ქუთაისის ჯგუფის ახალ მშენებლობის სამუშაოებში, სიონის რძის პროდუქტების გადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობაში და სხვ. ეს ყველაფერი იმის გარდა, რომ მას გაფლანგული აქვს 14.000 მანეთზე მეტი თანხა.

ინჟ. ანდრონიკაშვილის საქმეს ს. მ. უ. ს. სარევიზიო საინსპექციო განყოფილებამ მსვლელობა მისცა. იგი პასუხისგებაშია მიცემული, მაგრამ აქ საინტერესოა ერთი დეტალი. ვინ ან რატომ გაანთავისუფლა ეს კაცი პატიმრობიდან, როდესაც სასამართლოს ორგანოების განკარგულებაში ასეთი მასალები მოიპოვებოდა ამ კაცის შესახებ. საჭიროა იუსტიციის კომისარიატმა ამის შესახებ თავისი სიტყვა სთქვას.

გრ. მალანია.

სეხნიას „ჯილდო“

მჭედლიშვილი ჩვენში იშვიათი გვარი არაა. არც გიორგი უნდა იყოს მაინცა და მაინც უცხო სახელი. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ერთსა და იმავე დროს ცხოვრობდეს თუნდაც სხვადასხვა ასაკის რამდენიმე გიორგი მჭედლიშვილი. ასედაც არის. მაგრამ ბუნებაში არ არსებობს სრული მსგავსება. ფორდის ერთ და იმავე საათში გამოსული ორი ავტო რომ ერთმანეთს შეადაროთ, იქაც კი ნახავთ სხვადასხვაობას. ასეთივე სხვადასხვაობა არსებობს გიორგი მჭედლიშვილებს შორისაც. გარდა იმისა, რომ ისინი გარეგნულად და ჩაცმულობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არც მოქცევით და მისწრაფებით ჰგვანან ერთმანეთს. თუ ერთი გიორგი მჭედლიშვილი მხატვარია, მეორე გიორგი მჭედლიშვილი მემანქანეა, თუ ერთი პოეტია, მეორე მეჩექმეა, თუ ერთი გიორგი მჭედლიშვილი მგზავრობს, მეორე გიორგი ამ დროს სამსახურშია და შრომისაგან ოფლში იწურება, თუ ერთი ავაზაკობს, მეორე საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებს და ასე ამნაირად. ასეთია, მოგეხსენებათ, ჩვენი ცხოვრება.

შეიძლება კაცი ვისიმე სეხნია იყო, მაგრამ შენი სახელისა და გვარის მოზიარეზე პასუხი არ აგო. მაგრამ ასე არ მსჯელობენ ჩვენი კანონების გამტარებელი ორგანოების ზოგიერთი მუშაკები. საკმარისია ერთმა გიორგი მჭედლიშვილმა კაცი მოჰკლას, რომ მეორე გიორგი მჭედლიშვილმა ციხეში თავი ამოჰყოს. ჩვენ ვლაპარაკობთ თბილისის მილიციის მეშვიდე რაიონის მუშაკებზე.

მოხდა ისე, რომ უბილეთოთ მგზავრობის მოყვარულმა ერთ-ერთ გიორგი მჭედლიშვილმა გაისეირნა თბილისიდან კახეთის რკინის გზით. უბილეთო მგზავრი დააჯარიმეს. მას ჯიბეზე ფული არ აღმოაჩნდა. შეადგინეს ოქმი, ჩასწერეს უბილეთო მგზავრის სახელი და გვარი. გიორგი მჭედლიშვილმა რევიზორს მადლობის ნიშნად თავი დაუკრა და გამოემშვიდობა. საქმეს „კანონიერი“ მსვლელობა მიეცა. იარა ოქმმა კანონიერი გზით, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა მივიდა თბილისის მილიციის მეშვიდე უბანში. აქ გადაშალეს საქმე, ამოიკითხეს დაჯარიმებულის გვარი და სახელი და გაუგზავნეს გიორგი მჭედლიშვილს ბინაზე მილიციელი უწყებით ხელში ჯარიმის გადახდის შესახებ. ეს იყო უკვე რვა ივნისს.

მართალია გიორგი მჭედლიშვილი მგზავრობის მოყვარული კაცია, მაგრამ მას არც ისე სუსტი მახსოვრობა აქვს, რომ სამ აპრილს მომხდარი ფაქტი 8 ივნისს გულიდან გადავარდნოდა. პირიქით, გიორგიმ გაიხსენა, რომ 3 აპრილი გაზაფხულისათვის უჩვეულო სიცხიანი დღე იყო, რომ მას ამ რიცხვში მუშაობაში სირბილისაგან ოფლი წურწურით გადასდიოდა. მაშინვე აიღო თავის დაწესებულებიდან მოწმობა იმის შესახებ, რომ იმ დღეს გიორგი მჭედლიშვილი თბილისში იყო და სამსახურს ასრულებდა. საკითხი მგონი გამორკვეულია, აქ გაუგებრობას აქვს ადგილი. გიორგი მჭედლიშვილი არ არის გიორგი მჭედლიშვილი. ხანდისხან, როგორც ვიცით, ასეც ხდება ხოლმე.

ნამდვილი უბილეთო მგზავრი გიორგი მჭედლიშვილი კი სადღაც მიიმალა. მაგრამ მეშვიდე რაიონის მილიციას ასე ადვილად ვერ შეაცდენთ. უწყება დაწერილია გიორგი მჭედლიშვილის სახელზე, შენ ხარ გიორგი მჭედლიშვილი, კეთილ ინებე და გადაიხადე ჯარიმა.

არც დაწესებულების მოწმობამ, არც თვით გიორგი მჭედლიშვილის რწმუნებამ, არც ფიცმა, არც მუდარამ არ გასჭრა მილიციაზე. საქმე მივიდა ავეჯეულობის აწერაზე და აიწერა კიდეც გიორგი მჭედლიშვილის ავეჯი. ახლო მომავალში საჯარო ვაჭრობაც დაინიშნება ამ ნივთებზე. მეშვიდე უბნის მილიციამ თავისი ვალი მოიხადა. გიორგი მჭედლიშვილი უკვე დასჭედეს და ეხლა მან ამტკიცოს, რომ აქლემია და არა ცხენი.

ასე დააჯილდოვა გიორგი მჭედლიშვილი მეშვიდე უბნის მილიციის წყალობით მისმა უცნობ სეხნიამ გიორგი მჭედლიშვილმა. მეშვიდე რაიონის სეხნიებო, ფხიზლად იყავით!

ნალი.

ბორჯომელი ინდუსტრიალიზატორები

რატომღაც ხშირად ასე ხდება, როცა ვისმე ეტყვიან, შენ სახელზე დეპეშაა მოსულიო, სანამ ის მას წაიკითხავს, თავისი დაემართება. ეს ალბათ იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ ჯერობით დეპეშას მხოლოდ უკიდურეს გაჭირვების დროს თუ მიმართავენ. საზოგადოთ დეპეშა—სიკვდილის ან მძიმე ავადმყოფობის მაუწყებლადაა მიჩნეული.

მაგრამ ყველგან ასე არ არის. მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელმაც უკვე გადალახა ეს ცრუ მორწმუნეობა, რომელიც ფეხდაფეხ მისდევს ტექნიკის განვითარებას. ეს ხალხი აღარ სცნობს ფოსტას, არ სცნობს მატარებელს. ეს ყველაფერი მათთვის ჩვენი უკულტურობის, ეკონომიური ჩამორჩენილობის ატრიბუტებია. დადგა დრო, როცა ორთქლმავალი და გემები მუზეუმებში უნდა გადავიტანოთ, გზა აეროპლანს, გზა ტელეგრაფს!

ასეთი ულტრაინდუსტრიალურად მოაზროვნე ხალხი ცხოვრობს, როგორც, გგონიათ, თქვენ, სად? როერის ოლქში, ყოფილ კრუპის და ფორდის წარმოებებში? მანჩესტერში ან კიდევ სხვა ამის მსგავს ადგილებში? არა. საქმე იმაშია, რომ ისტორიას უყვარს კურიოზები და ამ კურიოზის შედეგია, რომ ეს აზრი დაიბადა ბორჯომის ტრანსპორტო კანტორის ორ კედელს შუა პეტროსიანცისა და მუმლაძის თავში. არ ვიცით, რა ზებუნებრივ ძალამ შთაუნერგა ამ ხალხს ეს განათლებული აზრი, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი უკვე პრაქტიკულადაც შეუდგნენ თავიანთი „პროგრესიულ“ იდეების განხორციელებას. თბილისში რომ მუმლაძისა და პეტროსიანცის ნაცნობმეგობრებმა დაამსხვრიონ, ცხვირის მოწმენდასაც ვერ მოასწრებენ, ისე მოაგებებს მათ ტელეგრაფი „ღვთის წყალობას“ ბორჯომის სატრანსპორტო კანტორიდან. ასე სწრაფათ უყვარს ცხოვრება პეტროსიანცს და მუმლაძეს.

ამ თვისებასთან ერთად, მეტად განვითარებული აქვს ამ ორ ყმაწვილს ყნოსვა. ეს, ასე ვთქვათ, მათი ბუნებრივი ჯილდოა. აქ ტელეგრაფი და სხვა ტექნიკური მოწყობილობა საჭირო აღარაა. პეტროსიანცი და მუმლაძე ბათომიდანაც კი მოისუნებენ ცუდ სუნელობას მათი მგრძნობიარე ნესტოები, ვერ ითმენენ მყრალ სუნს შორეულ მანძილზეც კი. ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ ამ ხალხის ტრაგედია, თუ სიბინძურე გაჩნდა იმ ტერიტორიაზე, სადაც მათ მუშაობა უხდებათ. გულქვა უნდა იყო კაცი, რომ მათი მდგომარეობა ვერ გაიგო. ბორჯომში კი სწორეთ ასეთი უბედურება მოხდა.

რას იზამდა ასეთ შემთხვევაში განვითარებულ ტექნიკის მოტრფიალე ხალხი, როგორიცაა პეტროსიანცი, და მუმლაძე? რა ზომას მიმართავდა. თქვენ იტყვით ,ალბათ, რომ შეეცდებოდნენ ბორჯომში გაჩენილ სიბინძურის ადგილობრივ ძალებით მოსპობას. ტყუილი აზრია. ეს ძველი, დახავსებული მეთოდია რისთვის არსებობს ტელეგრაფი, რას აკეთებს ცენტრი, ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, ყველა ეს ტექნიკური ადმინისტრატიული და კულტურული დაწესებულებანი, თუ მათ თვალის დახამხამებაში არ მოსპეს ბორჯომში შემჩნეული სიბინძურე?

ბორჯომელი ინდუსტრიალიზატორები ფიცხლავ სწერენ ტელეგრამას:

„თბილისი, ოთხი მისამართი რკინის გზის სამმართველოს, ახალი გაზეთ კომუნისტის მუშას და ზარია ვოსტოკას რედაქციებს.

ბორჯომის საქონლის სადგური და მისი მიდამო მოცულია აშმორებული სიბინძურით წერტილი... ამ სიბინძურით იზიანება მოსამსახურე წერტილი სურათი ისეთ სახეს ღებულობს რომ საქონლის სადგურის მახლობლად მუშაობა შეუძლებელი ხდება. წერტილი გაცნობებთ რა ყოველივე ამას გთხოვთ იქნეს ფიცხელი განკარგულება რა დაუყოვნებელი მიექცეს ყურადღება ამ ყოვლად დაუშვებელ მოვლენებს...

სატრანსპორტო კანტორის რწმუნებული პეტროსიანცი და მუმლაძე.

სისუფთავისათვის ბრძოლა დიდათ მისაწონი საქმეა. ამდაგვარად კარგია სანიტარულ პირობების დაცვა ბორჯომის საქონლის სადგურზე, სადაც პეტროსიანცი და მუმლაძე მუშაობს, მაგრამ რას შუაშია აქ ისეთი საშუალება, როგორსაც მათ მიმართეს? ის ხარჯი, რომელიც ამ დეპეშას მოუნდა და „სიბინძურით მოშხამულ“ პეტროსიანცისა და მუმლაძის ხელი [illegible], ადგილობრივ ორგანოების საქმეში ჩარევა საკმარისი იყო იმისათვის რომ ბორჯომის საქონლის სადგური მყრალ სუნელებისაგან „განწმენდილიყო“.

მაგრამ რას იზამ კაცი, თუ ინდუსტრიალიზაციის შიში შეგვიჩნდა და მოსვენებას არ გვაძლევს!

„დაიღუპოს ქვეყანა- გაუმარჯოს კანონიერ გას“



დაიღუპოს ქვეყანა, ოღონდ კანონიერებამ კი გაიმარჯვოსო. ასე ამბობდნენ კანონიერების თავგამოდებული დამცველი რომაელი იურისტები. მათთვის კანონზე მაღალი კანონი არ არსებობდა. ქვეყანა—კანონისათვის და არა კანონი ქვეყნისათვის. ეს, უბრალო ენაზე იმას ნიშნავს, ხალხმა რომ სთქვას, დაიხოცოს ადამიანები, ოღონდ ჩექმები კი ნუ მოისპობა, ან პროვიზორმა რომ განაცხადოს, ოღონდ წამლები იყვეს და ადამიანები მთლად გადაშენებულიყოს. შეიძლება ამგვარ „ვულგარულ“ შედარებისათვის ზოგიერთი „წმინდა იუსტიციის“ მოტრფიალემ საყვედურიც შემოგვითვალოს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამგვარი იუსტიციის მომხრენი ჩვენს პირობებში კიდევ მოიძებნებოდეს.

რაც უნდა იყოს ამ შეხედულების წარმომშობი რომის იმპერია რაღაც 17—18 საუკუნეა ისტორიას ჩაბარდა, რაც უნდა იყოს მას შემდეგ ბევრი რამ გამოიცვალა, ადამიანებმა ორთქლისა და ელექტრონის მანქანები შემოიღეს, ჰაერში ფრენა დაიწყეს, მავთულიანი ტელეგრაფი გაიჩინეს და უკვე მოასწრეს მისი უმავთულო ტელეგრაფით შეცვლა და სხვადასხვა. რა გასაკვირია, რომ ასეთ პირობებში რომის „ბრძნული“ ანდაზაც იუსტიციის შესახებ მარტო ლამაზ გამოთქმად დარჩა, რომელსაც ზოგიერთები მხოლოდ იმისათვის ხმარობენ, რომ თავისი ზედმეტი სწავლულობით სხვებთან თავი მოიწონონ. იხტიოზავრებიც კი, თუ კი ვინმე მათი მსგავსი ჩვენს დროში სადმე მოიძებნება, ვფიქრობთ, რომ გაიზიარებს ძველი რომაელი იურისტების დებულებას.

მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, გულუბრყვილობა ყოფილა ასე მსჯელობა. არის თურმე ჩვენს დროში და ისიც ისეთ კულტურულ ცენტრში, როგორიცაა თბილისი, და ისეთ პატივსაცემ დაწესებულებაში, როგორიცაა რკინის გზა, ხალხი, რომელიც ძველი რომის ფილოსოფიიდან შორს არ წასულა. ამ ფილოსოფიას ძლიერი ნავთსაყუდელი უპოვია რკინის გზის იურიდიულ განყოფილებაში. ზის არხეინად ის აქ მოკალათებულ იურისტების თავში და შესაფერ პრაქტიკულ ნაყოფსაც იძლევა რკინის გზას.

აიღეთ უბრალო მაგალითი. 1925 წლის დეკემბერში რკინის გზის რწმუნებულმა აღძრა სამოქალაქო სარჩელი მეორე რაიონის სახალხო სასამართლოში საქართველოს სატყეო მრეწველობის მიმართ, რომელსაც უნდა გადაეხადა რკინის გზისათვის 920 მანეთი. ამ საქმის გარშემო დანიშნული იყო ექსპერტიზა, რომელმაც სცნო, რომ რკინის გზის პრეტენზიები სატყეო მრეწველობისადმი უსაფუძვლოა. რკ. გზის იურისტები ამან არ დააკმაყოფილა. ისინი განმეორებით მოითხოვენ ექსპერტიზის დანიშვნას. სასამართლო აკმაყოფილებს ამ თხოვნას. მეორე ექსპერტიზაც იმავე დასკვნამდე მიდის, რომელამდიც მივიდა პირველი ექსპერტიზის ხარჯები 229 მანეთი სასამართლომ რკ. გზას შეაწერა.

მაგრამ საქმე ამით, ხომ არ გათავებულა. რკინის გზის წარმომადგენლის წყალობით სასამართლოს სხდომა მრავალჯერ გადაიდო და იმდენად გაჭიანურდა, რომ 1925 წლის დეკემბრიდან 1928 წლის მარტამდე მოიტანა. ეს კიდევ არაფერი. რა უყოთ, რკინის გზის იურისტები სცდილობდნენ, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ, დაეცვათ თავისი წარმოების ინტერესები. მათ მადლობის მეტი, აბა რა ეთქმის? მაგრამ აქ საჭიროა ცოტაოდენი განმარტება. საქმე იმაშია, რომ დაწესებულებამ, რომელსაც სამი წლის განმავლობაში არ ეშვებოდა რკინის გზის იურიდიული განყოფილება, როგორც მევალეს, ჯერ კიდევ 1926 წელში თქვენი და ჩვენი ჭირი წაიღო. საქართველოს სატყეო მრეწველობა გაუქმებულ იქნა მან „მიიძინა“ არა წყნარად, არამედ ერთი ამბით და ვაებით. გაზეთებში „ნეკროლოგებიც“ დაიწერა ამ დაწესებულების უდროოდ გარდაცვალების შესახებ, სათანადო პუბლიკაცია იყო, სადაც სატყეო მრეწველობის სალიკვიდაციო კომისია თვითონ მოუწოდებდა ყველა კრედიტორებს, მოდით, წაიღეთ, რაც გერგებათ, თორემ შემდეგ გვიანღა იქნება თითზე კბენაო.

არ ვიცით ამ დროს რას აკეთებდა რკინის გზის იურიდიულ განყოფილებაში მომუშავე რვა კაცი. ბუზები რკინის გზის სამმართველოში და მით უფრო ერთ განყოფილებაში არც იმდენი იქნება, რომ რვა დახელოვნებულ იურისტი მათზე ნადირობას მოანდომოდა, სხვა რამ სანადირო კი, მოგეხსენებათ, ამ დაწესებულებაში არაფერია. არც იმის თქმა შეიძლება, რომ იურიდიულ განყოფილებამ არ იცოდა სატყეო მრეწველობის აღსასრულის მოახლოების შესახებ, იცოდა და ძალიან კარგადაც. მას სატყეო განყოფილების ფულებიც კი ჰქონდა თავის განკარგულებაში, 920 მანეთზე გაცილებით მეტი, რაოდენობით, მას მიწერ-მოწერაც კი ჰქონდა სალიკვიდაციო კომისიასთან. ლიკვიდაცია უკვე ჩატარდა, მიუხედავად ამისა, საქმე სასამართლოში მაინც ირჩეოდა, საექსპერტო კომისიები მაინც ინიშნებოდა, რკინის გზის რწმუნებული მაინც ფაჩა-ფუჩობდა. როცა 1928 წლის მარტში სასამართლომ მას მოაგონა, რომ თქვენი მოპასუხე კარგა ხანია საიქიოს განისვენებსო, რწმუნებული ამან დიდათ არ შეაშფოთა. ოღონდ კანონიერებამ გაიმარჯვოს და 920 მანეთი ექსპერტიზის 224 მანეთის მიმატებით რა საკითხავია.

სასამართლომ საქმე მოსპო, ხოლო 229 მანეთი ექსპერტიზის ხარჯები რკინის გზას მიაწერა.

საინტერესოა ვიცოდეთ, რა საბუთით წარუდგენს რკინის გზის მართველობას იურიდიული განყოფილება 229 მანეთის ხარჯს? ფილოსოფიური გამართლება ამ თანხას უეჭველად აქვს (დაიღუპოს სატყეო მრეწველობა, ოღონდ რკინის გზის პრეტენზიები სამართლიანად იქნას ცნობილი), რაც შეეხება პრაქტიკულ გამართლებას, ამაზე სიტყვა თვით რკ. გზის სამმართველოს ეკუთვნის.

მაგრამ აქ ხომ მარტო 229 მანეთის საკითხი არ სდგას! საჭიროა იმის სერიოზულად შემოწმება, რა ხალხი ზის იურიდიულ განყოფილებაში იქ შეიძლება 229 მანეთზე ბევრათ უფრო მეტი საყურადღებო რომ აღმოჩნდეს.

შანდანი.

მოძალადე ადმინისტრატორი

(საპონ - ზეთის ტრესტი)

ისაკ მურადოვი ამჟამად დიდი კაცი გახლავთ—ის არის საპონზეთის ტრესტის გამგის მოადგილე. რასაკვირველია ეს თანამდებობა მას ხელს არ უშლის თითქმის ყოველ საღამოობით ილოთოს და შემდეგ მასზე დაქვემდებარებულ ფაბრიკა-ქარხნის მუშა ქალებზე ინადიროს. თუმცა არც სხვებს აკლებს ხელს.

ისაკ მურადოვი, როგორც ღვინის და ქალების მოყვარული, ცნობილი იყო მანამდე, ვიდრე ის გახდებოდა ზემოხსენებული ტრესტის გამგის მოადგილე, მაგრამ რაც ის გახდა ამ თანამდებობის კაცი, მას შემდეგ უმატა ლოთობას და ქალებზე განავარდებას.

შაბათს, 2 ივნისს, ღამის 2 საათზე ისაკ მურადოვი ღვინით გალეშილი ბინაში მიუვარდა საპონ-ზეთის ქარხნის მუშა ქალს შუშანიკა მნაცაკანოვს. უბრახუნა ოთახის კარებს და ფანჯრებს, მანამ, სანამ მთელი სახლის მცხოვრებლებს არ გამოეღვიძათ და ძალით არ გააგდეს დაუპატიჟებელი სტუმარი—იქიდან.

ასეთი შემთხვევა პირველი არ არის ხშირი შემთხვევაა, როცა ის ღამით მთვრალი მოდის ქარხანაში აწუხებს და შეურაცხყოფას აყენებს მუშა ქალებს; ერთისაკენ მოსახვევად მიიწევა, მეორისაკენ საკოცნელად და სხვა.

„ურჩ“ ქალებს აშინებს სამსახურიდან მოხსნით და უფრო ცუდ სამუშაოზე გადაყვანით.

საჭიროა ამ გარყვნილ ადმინისტრატორისათვის მაგარი ლაგამის ამოდება.

მუშების ჯგუფი.

ამბროლაურელი დონჟუანი

(რაჭა)

„თავის ქება კიტრიანდაო, კიტრი კაპეიკადაო“. ასე ამბობს ხალხური თქმულება. მაგრამ კარგა ხანია კიტრის ფასი კაპეიკს გასცდა. ალბათ ამან წაათამამა ამბროლაურის საავადმყოფოს გამგე სანდრო ფანჯავიძე, სპეციალობით ქირურგი, რომელმაც მთელ რაიონს ტრაბახობით ყური გამოუჭედა. თუ გინდათ თვალი გაახილოთ, ნამდვილათ დაინახოთ ვისზე ტრიალობს ეს ქვეყანა, ვინ არის ის, რომელზედაც ამოდის და ჩადის მზე, ვინ არის დედამიწის ჭიპი, ყური ათხოვეთ ერთი საათით სანდრო ფანჯავიძის ლაპარაკს.

ყოფილა საქართველოში, ორი ქირურგი: მუხაძე და ფანჯავიძე. მუხაძეს თქვენ, რასაკვირველია, იცნობთ. ფანჯავიძე—ქირურგი მართალია პირველად გესმით, მაგრამ რა ქნას ფანჯავიძემ, თუ თქვენ ისე ჩამორჩით ცხოვრებას, რომ თანამედროვე მედიცინის შუქურ-ვარსკვლავებსაც ვერ იცნობთ. ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი უკულტურობის ბრალია.

სინამდვილე კი ასეთია: ამბროლაურში ზის ჩვენი დროის ჯანიოზი, სანდრო ფანჯავიძე, რომელიც ერთი ხელის შეხებით კურნავს სნეულებს და დავრდომილებს. მაგრამ ერთი განზრახ აქვს ამბროლაურელ ჯანიოზს. მას თავიდანვე დაეტყო მიდრეკილება ლამაზ ავადმყოფ ქალებისადმი. შესანიშნავი პრაქტიკა მიიღო ფანჯავიძემ ასეთ კატეგორიის ავადმყოფთა მკურნალობაში.

შევა მასთან გასასინჯათ ავადმყოფი ქალი. ექიმი მას ჯერ გასინჯავს და შემდეგ, თუ პაციენტი თვალში დაუჯდა, ასეთ საუბარს ჩამოუგდებს: ვინ არის შენი ქმარი, რამდენი წლის გათხოვდი, ეგრე ქორფამ რატომ დაუჩქარე გათხოვებას, როგორ გივლის ქმარი?

როცა ცნობის მოყვარე ექიმი მიიღებს პასუხს ამ კითხვებზე, შესაფერის შენიშვნებს მისცემს ავადმყოფს. თუ, მაგალითად, ავადმყოფი ქალის ქმარი მჭედელია ან მეთორნე, ასეთები კი რაჭიდან ბევრნი არიან, სანდრო წარბებს შეჭმუხნის, გულის სიღრმიდან ნაღვლიანად ამოიოხრებს და იტყვის: აფსუს, აფსუს, შენი პატრონი მეფურნე იყვეს, ამაზე მეტი ცოდვა კიდევ გაგონილაო!

ამგვარი რეპლიკებით ძლიერ გაითქვა სახელი სანდრო ფანჯავიძემ. დღეს „ბავშმაც კი იცის, ვინ არის სანდრო“. არის გლეხებში ერთი მითქმა-მოთქმა ზურგს უკან და სიცილ-ხარხარი მოურიდებლადაც.

მაგრამ სანდროს ეს არ აღონებს. ვინც რა უნდა სთქვას, სანდრო მაინც „ფქვავს“. ქირურგის სახელი მან სამართლიანად დაიმსახურა. მოგეხსენებათ, ყოველ დარგს სპეციალისტებს შორის არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვედარგების სპეციალისტები. ქირურგიაშიც არის ასეთი „ქვედარგები“, ვის კიდურების ოპერაცია ეხერხება, ვის შინაგან ნაწილების, ვის თავის ორგანოების და სხვა. სანდრო ფანჯავიძესაც აქვს ასეთი ვიწრო სპეციალობა. ის შეუდარებელი ოსტატია გლეხების ჯიბის ოპერაციის დარგში. მაგალითად, ამას წინად დადიოდა ავადმყოფთან ახალ სოფელში, რომელიც ერთი ვერსითაც არ არის დაშორებული ამბროლაურს და თითო მისვლაში თუმანს ღებულობდა. სხვაგანაც ასე იქცევა.

კინაღამ დაგვავიწყდა. სანდროს მეტად ეხერხება აგრეთვე გაწყობილ სუფრის ოპერაციაც. მივა ავადმყოფთან, გასამრჯელოს აიღებს, თანვე გამოსისინდება, მეორე დღეს კი გამოდის ამბროლაურში და ტრაბახობს: ავადმყოფი ვნახე, კარგადაც ვიქეიფე. დიდებული რძალი ყოლიათ ი ოჯახქორებს, შველივით ქალი დაგვტრიალებდა თავსაო.

ქალებისადმი ტრფიალება მეტად იტაცებს დონჟუან სანდროს. ტრაბახობის სენიც ნაწილობრივ აქედან წარმოსდგება. რა უშველის ამ საქმეს ჩვენ არ ვიცით. ისევ სანდრო ფანჯავიძემ უნდა გამონახოს ამ კითხვაზე პასუხი.

ფჩარაძე.

ვისია ავტო № 34

ავტომანქანით ბოროტად სარგებლობის სენს ბევრად უშველა იმ რადიკალურმა ზომებმა, რომელსაც სათანადო ორგანოები მიმართავენ ასეთ მოქმედებაში დამნაშავე პირთა წინააღმდეგ. მაგრამ ეს მავნე ჩვეულება ჯერ კიდევ საბოლოოდ აღმოფხვრილი არაა. გარდა იმისა, რომ სხვადასხვა „ლეგალური“ საშუალებებით ავტომობილები ხშირად დაჰქროლავენ კერძო საქმეებზე ან უბრალო დროის მოსაკლავად, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა აშკარათ და მოურიდებლად სარგებლობენ სასეირნოთ ავტომობილებით, თითქოს იმას, ვინც ამას სჩადის, უნდა სთქვას, რომ ის ყოველივე ვალდებულებაზე მაღლა დგას, რომ რაც სხვისთვის აკრძალულია, მისთვის ნებადართულია.

ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი კვირას, მიმდინარე წლის 27 მაისს, საღამოს შვიდ საათზე ტროცკის ქუჩაზე. აქ ჩაიქროლა ავტომანქანა № 34. შიგ ისხდა ერთი საეჭვო გარეგნობის ახალგაზრდა კაცი ორი კოხტად მორთული ქალიშვილით. ავტომობილი ისე იყო გახვრილი მტვერში, როგორც ბეღლის თაგვი ფქვილში. ეტყობოდა დიდი მანძილი ჰქონდა გავლილი.

ვინ იყო ეს კომპანია ამ კვირა დღეს, ასე თავგამოდებით რომ მიაქროლებდა ავტომობილს, რა სასწრაფო და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმე ჰქონდათ მათ დაკისრებული, საიდან მოდიოდნენ ისინი და სად მიდიოდნენ? ყველა ეს კითხვები ძალაუნებურად აღიძვრება კაცს, როდესაც ასეთ თავგასულობის სურათს ხედავს.

ჩვენ ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს დაგვაინტერესა. დავედევნეთ საქმეს. გავიგეთ, რომ მანქანა № 34 არც თუ ისე დიდი მანძილი გაუვლია ამ დღეს, ასე სულ ასიოდე ვერსი, „ავერ“ ასულა მანგლისში და ისევ უკან ჩამოცინცილებულა.

ჩვენ განზრახ არ ვასახელებთ იმ დაწესებულებას, რომელსაც ეკუთვნის მანქანა № 34. ვფიქრობთ, მისი მოძებნა არც თუ ისე გაუძნელდება ინსპექციის ორგანოებს.

დამნაშავისა და დაწესებულების სახელს მკითხველი, ალბათ, ინსპექციის დადგენილებაში გაეცნობა. ჩვენც დაუცდით ამ დადგენილებას.

ზარი.

მუშგლეხინისაგან

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ და ც. ს. კ. პრეზიდიუმმა ამა წლის მაისის 22 განიხილა ამხ. სიმონგულოვის განცხადება, სადაც იგი განათლების სახ. კომისრის მოადგილის ამხ. მარიამ ორახელაშვილის შესახებ შემდეგს ჩიოდა:

„მე რამოდენიმეჯერ სამსახურის საათებში წავედი განათლების კომისარიატში ამხ. ორახელაშვილის სანახავათ, ერთი საქმის გამო. მასთან პირველად მივედი 21 აპრილს, მაგრამ არ იყო იქ. მევედი 23 აპრილს, დავიცადე მოსაცდელ ოთახში, მაგრამ ის მეორე კარებიდან გასულიყო. მესამეთ მივედი 24 აპრილს, ამხ. ორახელაშვილი მუშაობდა თავის კაბინეტში. მეკარეს ვსთხოვე, რომ შევეშვი, რადგან მასთან მხოლოდ კომისარიატის თანამშრომელი იყო და სხვ. არავინ. მეკარემ არ შემიშვა, შევიდა თითონ და მოახსენა—„სამხედრო უწყებიდან არის ვიღაც და თქვენი ნახვა უნდაო“. მეკარე გამობრუნდა და გამომიცხადა, ასე მითხრა:—„არავინ შემოუშვაო და მეც ვერ შეგიშვებო“. მე განათლების სახ. კომისარიატში მისული ვიყავი საქ. ერთერთ ჩამორჩენილ კუთხეში სკოლის აშენების საქმეზე და მისი გაგება ძლიერ მეინტერესებოდა, რადგან მეც ამ სკოლის საამშენებლო კომიტეტის წევრი ვარ. ამას გარდა ყოველკვირაში მომდიოდა სოფლიდან ამხანაგებისაგან წერილი, რომ მეცნობებია მათთვის ცაკის შუამდგომლობის შედეგები.

შემდეგ დღეებში კვლავ მივედი ამხ. ორახელაშვილთან და ვარჩიე დაცდა. დავიცადე ნახევარ საათზე მეტი, ბოლოს, როდესაც განთავისუფლდა ამხ. ორახელაშვილი, მეკარემ მოისურვა მასთან კაბინეტში შესვლა და ჩემი გაშვებისათვის ნებართვის გამოთხოვა. გაიღო მან კარები, შევიდა და შევხედე რა, რომ ამხ. ორახელაშვილი ამდგარიყო ზეზე და გამოდიოდა გარეთ, მე მას კარებში გამოსვლამდე ვსთხოვე რამოდენიმე წუთი დაეთმო ჩემთვის ერთი საკითხის გამოსარკვევად. მან გაჯავრებით უარი მითხრა და დაუმატა: „მე ხომ მეკარის საშუალებით გითხარით, რომ არავის ვღებულობ, არ მცალიან, ბევრი საქმეები მაქვს და ვერ მოგისმენთო“. მე მას უთხარი, რომ მოსული ვარ მასთან მესამეთ, ისიც არა პირად საქმეზე ,არამედ საზოგადოზე და ვსთხოვე ერთი წუთით ყურადღება. მან უარი მითხრა. მეტი გზა აღარ იყო; წამოვედი უკან; მხოლოდ ძლიერ შეურაცხყოფილი და აღშფოთებულიც ამხ. ორახელაშვილის ასეთი საქციელის გამო“... და სხვა.

ც. ს. კ. პრეზიდიუმმა და მ. გ. ინსპ. სახ. კომისარიატის კოლეგიამ, გაეცნო აგრეთვე ამხ. მარიამ ორახელაშვილის მიერ წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებას ამ საკითხის შესახებ, გამოიტანა შემდეგი დასკვნა: ამხ. სიმონგულოვის განცხადების ზემოთ მოყვანილი ადგილი ჩაითვალოს დამტკიცებულად.

რაც შეეხება ამხ. მარიამ ორახელაშვილის მიერ წარმოდგენილ განმარტებას, სადაც ერთ ერთ მთავარ მიზეზად მოყვანილია მისი ზედმეტად მუშაობით დატვირთვის გამო მოუცლელობა, ც. ს. კომისიის პრეზიდიუმი და მ. გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგია აღიარებს, რომ ამხ. მარიამ ორახელაშვილს (რაც მასალებიდან ნათლად სჩანს) შეეძლო მესამედ მის სანახავად სამსახურის საქმეზე მოსულ ამხ. სიმონგულოვისათვის დაეთმო რამოდენიმე წუთი.

მომავალში მსგავსი მოვლენის აღმოფხვრის მიზნით ც. ს. კ. პრეზიდიუმი და მ. გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგია წინადადებას აძლევს ამხ. მარიამ ორახელაშვილს გადაუხვევლად და სისწორით გაატაროს ცხოვრებაში მ. გ. ინსპ. სახ. კომისარიატის ცირკულიარი დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ მოთხოვნილების მიღების წესების თაობაზე, რომელიც გამოქვეყნებული იყო ადგილობრივ გაზეთებში.

საქ. კომპარტიის (ბ) ც. ს. კ. პრეზიდიუმი და მ. გ. ინსპ. სახ. კომისარიატის კოლეგია.

ჩვენი ნაკლოვანებანი და საქ. კომპარტიის ამოცანები

ამხ. მ. კახიანის საბოლოო სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმზე 14 ივნისს

ამხანაგებო, ჩემს მოხსენებაში მე ვცდილობდი ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიმეპყრო ჩვენს ნაკლოვანებებზე, გამოეაშკარავებინა ეს ნაკლოვანებანი, რომ გამოგვენახა გზა მათ აღმოსაფხვრელად. ეხლა, მას შემდეგ, როცა გამართულ კამათში 30 ამხანაგებზე მეტმა მიიღო მონაწილეობა, სავსებით ცხადია, რომ ეს მიდგომა უეჭველად სწორი იყო. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ კამათმა ნათელჰყო ჩვენი ორგანიზაციების გარკვეული ზრდა. იმ 3—4 გამოსვლის გამოკლებით, რომლებიც შეუგნებლობის ან გაუგებრობის გამო ერთგვარი დისონანსის ხასიათს ატარებდნენ, კამათმა დაადასტურა, რომ ჩვენს ორგანიზაციებს აქვთ ნათელი წარმოდგენა არსებულ ნაკლზე და მისი გამოსწორების მტკიცე სურვილი,—ეს კი—უმთავრესია.

ასეთია ის ძირითადი დასკვნა, რომელიც თავისთავად გამომდინარეობს ამ კამათიდან.

ეხლა ნება მიბოძეთ გადავიდე კამათში აღძრულ ცალკე საკითხებზე და დამატებით გავაშუქო ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და სამეურნეო ცხოვრების საერთო მდგომარეობის სურათი.

სამრეწველო აღმშენებლობის საკითხები

დავიწყებ სამეურნეო საკითხებიდან. ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ სამეურნეო დარგში ჩვენ ბევრი ნაკლი გვაქვს. მე მგონია, რომ ამ გარემოებას ყველაზე მეტად უნდა ჩაეფიქრებია ისინი, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდენ ჩვენს სამეურნეო ცხოვრებას, რომლებიც იმ ინდუსტრიალიზაციის რაინდებია, რომელსაც ჩვენ ვანხორციელებთ.

მაგრამ სამწუხაროდ უნდა განვაცხადო, რომ ამხ. ავაქოვის გამოსვლა არ ამართლებს ამ მოსაზრებას, მოუსმინეთ რა სთქვა მან:

ისევ თვითკრიტიკის შესახებ

„უნდა ითქვას, რომ ამ თვითკრიტიკაში ან კრიტიკაში ადგილი აქვს გარკვეულ ნაკლს“.

ამრიგად, ამხ. ავაქოვი ლაპარაკობს არა თავის ნაკლზე, არამედ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაკლზე.

„ერთი მხრით აუცილებელია ლაპარაკი იმაზე, რაც იცი,—გვარიგებს ამხ. ავაქოვი,—კარგია იცოდე შენი კრიტიკის საგანი, ხოლო მეორე მხრით არ კმარა ამა თუ იმ ნაკლის ფოტოგრაფიული აღწერა, არამედ საჭიროა გამოსავალის მონახვა და ამ ნაკლის მიზეზების დასახელება“.

თურმე, ავაქოვს გარდა, ჩვენ, ცოდვილ ხალხს, არაფერი არ გვცოდნია სამეურნეო დარგში, სამწუხარო გაუგებრობაა.

მოითხოვს რა გამოსავალზე მითითებას, შეიძლება ამხ. ავაქოვმა თვითონ გამონახა რაიმე გამოსავალი? არაფერი ამის მსგავსი. ის მხოლოდ ასეთი აღმოჩენით კმაყოფილდება:

„მთავარი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ თვითკრიტიკის დროს არავინ არ მიუთითებს იმ ღონისძიებებზე, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ნაკლის აღმოფხვრა, არავის მოუსაზრებია, თუ როგორ შეიძლება მისი აღმოფხვრა“.

გამოდის, რომ ჩვენ ეს არავის არ მოგვისაზრებია და ამიტომ სულ ერთ და იმავეს ვლაპარაკობთ. მაგრამ განა ჩვენთვის სასიამოვნოა, როცა სულ ერთ და იმავეს ვიმეორებთ და ვხედავთ, რომ არ ღებულობენ ზომებს ნაკლის აღმოსაფხვრელად? მარელისის შესახებ მე ვილაპარაკე საქართველოს კომპარტიის მეხუთე ყრილობაზე, შემდეგ ამის შესახებ ილაპარაკა ამხ. ქართველიშვილმა. რატომ ყოველივე ეს არაა აღმოფხვრილი, რატომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო არ ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ დაგვანახვოს ნამდვილი სურათი იმისა, რაც იქ ხდება? მე უკვე ვსთქვი, რომ ჩვენში არაჩვეულებრივი ნელი ტემპით სწარმოებს არა მარტო ნაკლის გამოაშკარავება, არამედ მისი აღმოფხვრაც. და აი, იმის ნაცვლად, რომ მიიღონ ზომები ნაკლის თავიდან ასაცილებლად, აქ ასეთი სიტყვებით გამოდიან, ეს არ ვარგა.

უნდა განვამტკიცოთ გეგმიანობა

აქ ილაპარაკეს მთელ რიგ ტრესტებზე და პირველ რიგში ყბად აღებულ სატყეო ტრესტზე, რომლის ყველა წარმოება ზარალობს: ზარალობს მარელისის ფაბრიკა, ზარალობს ბორჯომის საკასრე ქარხანა, ზარალობს შამგონის ქარხანა. რას ლაპარაკობენ მეურნეობის ხელმძღვანელები? ისინი ლაპარაკობენ: „თქვენ გგონიათ, რომ სატყეო ტრესტში არ ვარგა ხალხი? არა,—ეს ხდება იმიტომ, რომ არ კმარა ფული“.

აი, ახსნა! ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ფული არა გვაქვს. მარტო სატყეო ტრესტი კი არაა უფულო. მაგრამ ფული გამოყენებულ უნდა იქნეს ისე, როგორც საჭიროა. ფულით რას გააწყობ, თუ ასეული ათასები იფლანგება უთავბოლოდ. მარელისის ფაბრიკამ წაგვართვა 200.000 მან. და ამდენს კიდევ წაგვართმევს. გამოდის რაღაც „საზარალო ოპერაცია“. გამოდის ასე—მოგვეცით ფული და ჩვენ მას საზარალო საქმეს მოვახმართ. აქ არავითარი ფული არ იკმარებს.

ვფიქრობ მაინც, რომ აქ საქმე მარტო ფულზე კი არა, არამედ ადამიანებზეცაა დამოკიდებული, საჭიროა ამ ადამიანების ისეთი გადაჯგუფება, რომ მაქსიმალური ეფექტი მივიღოთ. არ არიან მართალი ის ამხანაგები, რომლებიც ყველა ნაკლს იმით ხსნიან, რომ საქართველო შიშველი ქვეყანა იყო, რომ ჩვენ ცოტა გვყავს ისეთი ხალხი, რომელსაც საწარმოო გამოცდილება აქვს. მართალია, ჩვენ არა გვაქვს ისეთი გამოცდილება, როგორიც რუსეთის მსხვილ ინდუსტრიალურ რაიონებში აქვთ, მაგრამ 7 წლის მუშაობის შემდეგ მაინც შეიძლებოდა რაიმეს შესწავლა. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ეს ასე არაა და ჩვენ ბევრი ზედმეტი ხარჯების გაღება მოგვიხდება ამ მასალის შესწავლისათვის. დროა ეს ზედმეტი ხარჯები მოისპოს.

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ვერ დაუშვებენ, რომ შემდეგშიაც ფლანგავდენ სახელმწიფო თანხებს.

სწორედ ასე სდგას საკითხი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

არც ისე დიდი ხანია, რაც გამოქვეყნდა საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება მშენებლობის საქმის მოწყობის შესახებ მრეწველობისა და ელექტროფიკაციის დარგში. ამ დადგენილებაში მოცემულია მთელი რიგი მითითებანი, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს საქმე. მთავარია ის, რომ საჭიროა გეგმიანობა და გეგმების თავის დროზე წარდგენა. მიმდინარე წელს ს.მ.უ.ს. უნდა შეეცადოს, რომ არა უგვიანეს 15 ივლისისა წარმოადგინოს თავისი გეგმები, ხოლო 15 აგვისტოსათვის ისინი დამტკიცებულ უნდა იქნეს. სხვანაირად მუშაობა არ შეიძლება, სხვანაირად ჩვენ გავაგრძელებთ უგეგმო მუშაობას.

მეტი სიფხიზლე

მე ვფიქრობ, რომ ამ დადგენილების შემდეგ, რომელიც ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს ეხება, ჩვენი სამეურნეო მუშაკები ცოტა ამოძრავდებიან.

ვნახოთ შემდეგ, როგორია სხვა ჩვენი ტრესტების სურათი. საქმე ვერაა რიგზე არა მარტო სატყეო ტრესტში, არამედ სამთო ტრესტშიაც. ჩვენი დაუდევრობისა და უყურადღებობის გამო და უმთავრესად ელიაძისა და სხვ. მავნებელ მუშაობის გამო, რასაც ჩვენ ვერ დაუპირდაპირეთ სათანადო სიფხიზლე, ტყიბულში რამდენჯერმე გაჩნდა ხანძარი, რასაც შედეგათ მოჰყვა მრავალ მილიონ ფუთი ქვანახშირის დაღუპვა; ზარალი რამდენიმე მილიონ საბჭოთა მანეთს უდრის.

ჩვენ მაგრად უნდა ჩავჭიდოთ ხელი ყოველ ფაბრიკას, ყოველ ქარხანას, ყოველ ახალ მშენებლობას, ვინაიდან ინდუსტრიალიზაცია საქართველოსათვის, რომელსაც თითქმის არ ჰქონდა საკუთარი მრეწველობა, უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს. რევოლიუციამდე საქართველოში მართლაც არაფერი ყოფილა ან და ძალიან ცოტა იყო. ეს მართალია. მაგრამ აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ამჟამად ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ დიდი სიფრთხილე სამრეწველო მშენებლობის ფრონტზე.

ეხლა ჩვენი მშენებლობის შესახებ საერთოდ. ამხ. აგლაძემ სთქვა, რომ ახალი მშენებლობის დარგში განვითარებულია მოიჯარადრეობა, თუმცა უნდა ითქვას, რომ სამშენი— ჩვენი მთავარი საამშენებლო ორგანიზაცია, დამაკმაყოფილებლად ასრულებს თავის მუშაობას. იმ დროს, როცა ჩვენ ვმსჯელობთ საამშენებლო ინდექსის შემცირებაზე და ამ საქმეში მეტი გეგმიანობის შეტანაზე, ამ დროს თურმე ჩვენ ხელიდან გვისხლტება მშენებლობის მნიშვნელოვანი პროცენტი და ის მოიჯარადრეების ხელში გადადის. და უნდა ითქვას, რომ ეს ხდება ჩვენი ორგანიზაციების მეოხებით. ზოგჯერ ძალიან ძნელია სამეურნეო მუშაკის დარწმუნება იმაში, რომ მან მშენებლობა აწარმოოს სახელმწიფო ორგანიზაციის საშუალებით. ზოგიერთ სამეურნეო მუშაკებს ახასიათებს რაღაც განსაკუთრებული სიყვარული მოიჯარადრეებისადმი, რომელიც ძალიან კარგ პირობებს აყენებს, მაგრამ შემდეგ აღარ ასრულებს მათ; მას ვერაფერს ველარ მოუხერხებთ, რადგან ის თავს გაკოტრებულად აცხადებს. ასე მოუვიდა, მაგალითად, საქართველოს წყალთა მეურნეობას. წყალთა მეურნეობის წინანდელ ხელმძღვანელს არ უნდოდა სამშენისათვის მიეცა სამუშაო და მისცა ვილაც კერძო მოიჯარადრე ხაწზენს. ამ საქმეში ჩვენ დიდი ფული ვიზარალეთ. (ადგილიდან: 80.000 მან.) საჭიროა ამ საქმის გამოსწორება. ვერასოდეს ვერ მიაღწევთ თქვენ საამშენებლო ინდექსის შემცირებას, თუ ყველაფერს გააკეთებთ არა საბჭოთა, არამედ კერძო მოიჯარადრის ხელით, რომელიც არაა დაინტერესებული ჩვენი აღმშენებლობით.

სავსებით მართალი იყო ამხ. აგლაძე, როცა მან აღნიშნა, რომ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გაჰყავს სარწყავი არხები, მაგრამ შემდეგში სრულებით არ ზრუნავს მათზე. შედეგად გამოდის ის, რომ ერთი ხელით ის აშრობს ჭაობებს, ხოლო მეორეთი აჭაობიანებს ადგილებს, რაც იწვევს მალარიის გავრცელებას. ეს კი, ამხანაგებო, მეტად მნიშვნელოვანი საკითხია არა მარტო მედიცინის თვალსაზრისით, არამედ ქვეყნის საწარმოო ძალთა თვალსაზრისითაც, ვინაიდან მალარია, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში, ასუსტებს მოსახლეობის შრომის უნარიანობას. ამ საკითხით დაინტერესებული უნდა იყვეს არა მარტო წყალთა მეურნეობის სამმართველო, არამედ სხვა ჩვენი ორგანოებიც— პირველ რიგში საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი. მალარია დიდი უბედურებაა საქართველოსათვის და მასთან ბრძოლისაკენ უნდა იქნეს მიმართული ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება. მაგრამ ამის შესახებ ბევრი არაფერი გვესმის თვით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისაგანაც კი.

ამ ცოტა ხნის წინად გამოქვეყნდა ექ. ნაზარეტიანის მეტად საინტერესო წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ათას მცხოვრებზე მოდის 92 მალარიით დაავადმყოფებული.

მალარია სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი აღმშენებლობისათვის და მასთან ბრძოლა არის ერთ-ერთი წინასწარი პირობა როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, ისე კულტურულ რევოლიუციისათვის.

საბინაო აღმშენებლობის დეფექტები

ორიოდე სიტყვა „ქართულ“ სტილზე, რომელიც რატომღაც მოეწონა ამხ. აგლაძეს (სიცილი) და რომელიც, მის აზრით, შეიძლება მისაღები გავხადოთ. მე ვფიქრობ, რომ „ქართული“, ხოლო ფაქტიურად საეკლესიო სტილი, არ ეგუება საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენ თვის არ არის საჭირო სიბნელე და სივიწროვე, ჩვენ გვინდა სინათლე და სივრცე. ამიტომ სავსებით სამართლიანად აგინებდა ერთი მუშა ტრამვაელების სახლებს, რომლებიც აგებულია რაღაც კოშკისა თუ საპატიმროს მაგვარად.

ეხლა გადავიდეთ საკითხზე, რომელიც სავსებით დროულად იქნა წამოყენებული ჩვენ საბინაო მშენებლობასთან დაკავშირებით—საკითხზე საიჯარო-საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა მუშაობის შესახებ.

ამხ. მონტინმა მეტად საქმიანი სიტყვა წარმოსთქვა. მართალია ზოგიერთებმა მის გამოსვლას შეხედეს ისე, რომ თითქოს ის წვრილმანებზე ლაპარაკობდა. მაგრამ ეს არ არის წვრილმანები. საქართველოს პირობებში ამ საკითხს მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა; სწორედ საქართველოში, სადაც ჩვენ აქამდის ვერ მოვაწესრიგეთ საბინაო საკითხი. ეხლა, როცა ჩვენ კერძო მეპატრონეებს ვართმევთ სახლებს, საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ეს სახლები საიმედო ხელში გადავიდეს. ეხლანდელ კოოპერატიულ საბინაო ამხანაგობებში ჩვეულებრივათ არავითარი კომუნისტური გავლენა არ არსებობს. ხშირად საქმეს ხელმძღვანელობს არა საბჭოთა ხალხი, ხოლო ამ სახლებში მცხოვრები კომუნისტები გულხელდაკრეფილი არიან. მაშინ, როცა ყოველი სახლი უნდა გახდეს ერთგვარი კომუნისტური ციხე-სიმაგრე.

ამხ. მონტინმა სწორად დასვა საკითხი. და ჩვენმა თბილისის ორგანიზაციამ ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს.

მეტი გარკვეულობა სოფლად მუშაობაში

რაც შეეხება კოლმეურნეობათა მშენებლობის საკითხს, მე ვფიქრობ, რომ ეხლა იმის თქმა, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეთ ჩვენ, სახელდობრ როგორი კოლმეურნეობები უნდა ვაშენოთ, ნაადრევი იქნებოდა, ვინაიდან ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, როგორც საჭიროა. ამჟამად არ შეიძლება ისეთი წინადადებების შემოტანა, როგორიც წამოაყენეს ზოგიერთ ამხანაგებმა. ეს ამხანაგები ეყრდნობიან კოლმეურნეობათა სრულიად საკავშირო ყრილობის დადგენილებებს და, გვირჩევენ კოლმეურნეობათა წესით ჩავაგოთ პურის დიდი ფაბრიკები, რომლებიც დაამზადებენ ასეულ მილიონ ფუთ მარცვლეულს. ჩვენ ამას ვერ ვიზამთ ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ამისათვის არა გვაქვს მიწის საკმაო სივრცე.

როგორ უნდა ეწყობოდეს კოლმეურნეობა

ხომ შემთხვევითი არ არის ის, რომ ჩვენი კოლექტიური მეურნეობანი აღმოცენდენ ტეხნიკურ - კულტურების ნიადაგზე. ცხოვრებამ დაგვანახვა და დაგვანახვებს, რა მიმართულებით უნდა წავიდეს კოლმეურნეობათა განვითარება. რასაკვირველია, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებში, ჩვენ შეგვიძლია უფრო ფართედ განვავითაროთ მარცვლეულის კულტურები. მაგრამ როგორც არ უნდა იყვეს, საკითხს სჭირდება საფუძვლიანად დამუშავება. არ კმარა ერთი-ორჯერ გასეირნება საქართველოს ზოგიერთ რაიონებში, ხოლო შემდეგ აქ წინადადებით გამოსვლა; საჭიროა საკითხის დეტალურად დამუშავება და არა ნაჩქარევი პროექტების წამოყენება. ათჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერი.

აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ჩვენ კოლმეურნეობათა სახით გვაქვს ცრუკოლმეურნეობანი,, რომ კულაკები მიძვრებიან კოლმეურნეობებში. ეს ეჭვს გარეშეა. როცა კულაკი ხედავს, რომ ყველაფერი ეძლევა კოლმეურნეობებს, ის მზადაა გამოიყენოს ყველა გზები კოლმეურნეობაში შესაძვრენად. ეს მისი ბუნებაა. წააგლიჯოს რამე საბჭოთა ხელისუფლებას და ამავე დროს არაფერი არ მისცეს მას— ეს მისი მიზანია. ამას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა ცრუკოლმეურნეობათა მოსპობა და კოლმეურნეობების გაწმენდა კულაკისაგან. ჩვენში ჩატარდა კოლმეურნეობათა გამოკვლევა, მაგრამ არ შეიძლება, რომ ის დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორებმა წარმოგვიდგინეს ჩვენ ცნობა, რომ არის ამდენი და ამდენი კოლმეურნეობა და ამით გათავდა საქმე. რა ხდება ამ კოლმეურნეობებში ჩვენ არ ვიცით. საჭიროა უფრო დეტალური და საფუძვლიანი შემოწმება. ეს ამოცანა ჯერ არ არის შესრულებული.

სოფლად მუშაობის შესახებ მე უნდა აღვნიშნო, რომ ამ პლენუმზე არავის უთქვამს, როგორც წინად ამბობდენ, რომ ჩვენში კულაკები არ არის, რომ არ არის ღარიბი გლეხები, რომ ზედმეტია მათი ორგანიზაციულად შეკავშირება და სხვ. ეს უკვე მიღწევაა.

მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ მიღწეულია გარკვეული და მტკიცე ხაზი. არის კიდევ გადახრები, არის საკითხის უცოდინარობა და ამას ვხედავთ არა მარტო საქართველოში, არამედ ცენტრშიაც. აი მაგალითად, მოსკოვის „კოოპერატივნაია ჟიზნ“-ის ორი ივნისის ნომერი. აქ არის წერილი სათაურით: „სოციალისტურ აღმართზე“ და ამ წერილში კულაკის შესახებ ვკითხულობთ: „ის არ იზრდება, არამედ პირიქით“. როგორ მოგწონთ ეს „პირიქით“. ყველანი ამბობენ, რომ კულაკი იზრდება, ვიღაც კოოპერატორი კი გვეუბნება, რომ ეს ასე არაა, რომ ხდება „პირიქით“. აქ საჭიროა მეტი გარკვეულობა.

კლასიური ბრძოლა ჩვენში

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ადგილი აქვს კულაკების გამოცოცხლებას და ამის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოფლად არ იზრდება სოციალისტური სექტორი. რასაკვირველია, სოციალისტური სექტორი იზრდება და იზრდება უფრო სწრაფად, ვინემ კულაკი. მაგრამ, იმ განწყობილებას, რომელიც საკმაოდ ვერ აფასებს კულაკის ზრდას, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ. ასე უნდოდა ამხ. სვანიძეს დაესვა საკითხი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მან ცოტათი გადახარა ჯოხი და მეტად „გაარღმავა“ საკითხი. ამხ. სვანიძემ განაცხადა:

„თბილისის მაზრაში ერთ უჯრედში სწარმოებს კლასობრივი ბრძოლის ნამდვილი პროცესი, როცა კომუნისტების ერთი ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობენ შეძლებულნი, ატარებს კულაკურ ხაზს, ხოლო მეორე ატარებს ღარიბ გლეხობის ხაზს. მათ შორის სწარმოებს ბრძოლა და საქმე თითქმის მუშტი - კრივამდის მიდის. ადგილი აქვს აშკარა კლასობრივი ბრძოლის ასეთ შემთხვევებს“.

ნუ დაივიწყებთ, ამხანაგებო „სწარმოებს კლასობრივი ბრძოლის პროცესი“. ეს ხომ გაუგებრობაა. დიახ, მართალია, სწარმოებს კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ ეს ხომ სწარმოებს ჩვენს ქვეყანაში და არა უჯრედში. (სიცილი). ამხანაგო სვანიძე, აქ არის პატარა განსხვავება. (სვანიძე: „მე ეს მესმის“), ხოლო თუ გესმით, მაშინ არ შეიძლება ასე ლაპარაკი. რასაკვირველია, კლასობრივი ბრძოლა, რომელიც სწარმოებს ჩვენს ქვეყანაში, გამოხატულობას ჰპოვებს აგრეთვე პარტიაში. პარტიაშიაც გვხდება ელემენტები, რომლებიც, ასე ვსთქვათ, ნებით თუ უნებლიეთ კულაკის და ნეპმანის საყვირს წარმოადგენენ. თბილისში მაგალითად, როცა დაისვა საკითხი სახლების ჩამორთმევის შესახებ, ზოგიერთები არ დაეთანხმენ ამას, მაგრამ აქედან არ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ „უჯრედებში სწარმოებს აშკარა კლასობრივი ბრძოლის პროცესი“. ეს, ეჭვს გარეშე, პოლიტიკური შეცდომაა, რომელიც უნდა უარვყოთ. ხოლო იმ დებულებას, რომელიც წამოაყენა ამხ. სვანიძემ, ის მიჰყავს იქამდე, რომ იგონებს უსტრიალოვს, რომელიც ამბობდა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა კულაკების გულებზე აელვარდება წითელი დროშის ორდენები. მართალია, ამხ. სვანიძემ დაუმატა, რომ ეს უსტრიალოვის ფანტაზიაა, მაგრამ ამის მოგონებაც ზედმეტი იყო იმიტომ, რომ ვერავითარი უსტრიალოვის აჩრდილი ჩვენ ვერ შეგვაშინებს. არავითარი კულაკები წითელი დროშის ორდენით ჩვენში არ იქნება.

მაშასადამე ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ჩვენს ქვეყანაში სწარმოებს კლასიური ბრძოლა; ეს ბრძოლა თავის გამოხატულებას ჰპოულობს ჩვენი უჯრედების, განსაკუთრებით სოფლის უჯრედების ზოგიერთი ელემენტების მერყეობაში, ამას უნდა გამოუცხადოთ ბრძოლა, ასეთი ელემენტები უნდა გამოვრიცხოთ პარტიიდან, მაგრამ არ უნდა გავაკეთოთ შემცდარი პანიკური დასკვნები. აი, ყოველივე ის, რაც მინდოდა მეთქვა ამ საკითხზე.

მეტი საქმიანი კრიტიკა

პროფკავშირთა მუშაობის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ კარგად მოიქცა ამხ. ყურულაშვილი, როცა გამოვიდა აქ ჩემს დასახმარებლად და აღნიშნა, თუ როგორი ნაკლოვანებანი გვაქვს პროფკავშირთა მუშაობაში და როგორ უნდა გამოვასწოროთ ისინი. სხვა პროფესიონალისტების ხმები კი ამ პლენუმზე გაისმოდა საკმაოდ მკრთალად და სუსტად. ჩემის აზრით, პროფესიონალისტებს გაცილებით მეტი შეეძლოთ ეცნობებიათ პლენუმისათვის, ვიდრე აცნობეს. ჩვენ კავშირების ხელმძღვანელებს ვთხოვეთ გამოეთქვათ თავისი თვალსაზრისი და პასუხად მივიღეთ: „რაღა უნდა ვსთქვათ, როცა თქვენ ყველაფერი სთქვით; ჩვენ აღარაფერი გვაქვს დასამატებელი“-ო. ეს არაფრად არ ვარგა. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ მოიკოჭლებს მასიური მუშაობა, რომ იგი თითქმის არ სწარმოებს პროფკავშირებში, რომ ზოგიერთ კავშირებში ადგილი აქვს გაფლანგვას, და ამის შემდეგ არ გვეუბნებიან, თუ რატომ ხდება ეს, როგორი ზომებია საჭირო გაჯანსაღებისათვის,—ეს არაფრად არ ვარგა. ყოველივე ეს უნდა აეხსნათ პლენუმისათვის, რომ ამხანაგებს გაეცნოთ პროფკავშირების ნამდვილი მდგომარეობა. ეს იყო პროფესიონალისტების მოვალეობა, რომელიც მათ არ შეასრულეს.

ავიღოთ ამხ. ხვედელიძის სიტყვა. მან ილაპარაკა ბევრ რამეზე და სთქვა, რომ ეკონომმუშაობა მოისუსტებსო, და კარგია, რომ ამხ. კახიანი ჩავიდა ტყიბულში და ჭიათურაში და ამით მდგომარეობა გამოასწორაო. ტყუილად აფასებთ ასე გადაჭარბებულათ ჩვენი და ცალკე პიროვნებების ჩასვლას პროვინციაში. თქვენ უნდა სთქვათ, თუ რატომ მოისუსტებს თქვენი მუშაობა, და არ მიგვითითეთ იმაზე, რომ ამა თუ იმ ამხანაგს შეუძლია გაემგზავროს ადგილობრივ და გამოასწოროს მდგომარეობა.

ეს ძალიან ადვილი ახსნა-განმარტებაა, მაგრამ 1928 წელში ხელი უნდა ავიღოთ ასეთ ახსნაზე. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენ სამეურნეო ფრონტზე დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს, მაგრამ ვინ გამოასწორებს ამ ნაკლოვანებებს, თუ კომუნიზმის სკოლები, როგორიცაა პროფკავშირები არ აღზრდიან იმ კადრებს, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ წავსწიოთ წინ ჩვენი მრეწველობა? აი როგორ უნდა დავსვათ საკითხი! პროფკავშირების პირდაპირი ამოცანაა ჩააბას მშენებლობის საქმეში მუშათა ფართო მასები, დააწესოს მასების კონტროლი ქვევიდან მთელ მშენებლობაზე. აი, ამაზე უნდა მიგექციათ ყურადღება და საჭირო არ იყო ზოგადი ფრაზები იმის შესახებ, რომ თქვენ შეგიძლიათ კიდევ ჩამოსთვალოთ დეფექტები პროფორგანოების მუშაობაში. ეს ჩვენც ვიცით, თქვენ დაგვისახელეთ ის ზომები, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას ამ დეფექტების გამოსასწორებლად. ამის შესახებ არავის არაფერი უთქვამს, გარდა ამხ. ყურულაშვილისა.

პურის საკითხი

რამოდენიმე სიტყვა პურის შესახებ. ზოგიერთმა ამხანაგმა აქ ამხ. საკიანს უსაყვედურა პანიკიორობა. ეს საყვედური სავსებით უსაფუძვლოა. ამხ. საკიანმა სწორად აღნიშნა, რომ ჩვენ მუშაობა გვიხდება მძიმე პირობებში, რომ პურის საკითხი კვლავ მძიმე მდგომარეობაშია დღემდე. ჩვენ მართალია, მომხმარებელი ქვეყანა ვართ და პურს სხვა რაიონებიდან ვიღებთ, ცენტრის იმედიც იქონიე, მაგრამ ხელიც განძრიე.

და ჩვენ ცოტა უნდა ავმოძრავდეთ, რომ მიღებული პური მაინც გავანაწილოთ როგორც რიგია. ჩვენ კი ზოგჯერ ვერ ვანაწილებთ პურს სათანადოთ; პურს ვძლევთ წვრილ ქალაქებს, მსხვილ მუშათა ცენტრების საზიანოდ, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნენ უზრუნველყოფილი პურით.

თუ თქვენ პანიკაში სდებთ ბრალს ამხ. საკიანს, თქვენ პანიკაში ვერ დასდებთ ბრალს ამხ. სტალინს, რომელმაც პურის ფრონტზე დაშვებული შეცდომების აღნიშვნის დროს სთქვა, რომ ჩვენ ძალიან ბევრ პურს ვძლევთ სხვადასხვა წვრილ ქალაქებსო.

„უეჭველია,—სთქვა მან,—რომ აქ ერთგვარი უარყოფითი როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ ჩვენმა სავაჭრო ორგანიზაციებმა იკისრეს ზედმეტი მოვალეობა—პურის მიწოდება მთელი რიგი წვრილი და საშუალო ქალაქებისათვის, რასაც არ შეეძლო არ შეემცირებია სახელმწიფოს პურის მარაგი“.

ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ პურის დამზადებას საქართველოს შიგნით, ამიერ-კავკასიის შიგნით პატარა ქალაქების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მაზრებსა და ოლქებში უნდა დავძებნოთ, იქნებ სადმე მოვნახოთ ხორბალი ან სიმინდი. მაგრამ როცა ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა პურის დამზადება გადაეცა კოოპერაციისათვის, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის კოოპერაციამ უარი განაცხადეს ამაზე და სთქვეს: „ეს ჩვენი საქმე არ არის“-ო. ასეთი პასუხი არ შეეფერება კოოპერაციას. დროა თვალები გავახილოთ, გავიგოთ და შევიგნოთ მძიმე მდგომარეობა. პურის საკითხი ამჟამად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხია ყველა პარტორგანიზაციებისათვის.

მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ

გადავდივარ იდეოლოგიური ხასიათის საკითხებზე.

რასაკვირველია, მართალი არ არიან ისინი, ვინც ამბობს, თითქოს ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევდით იდეოლოგიის საკითხებს, ან თუ ვაქცევდით, მხოლოდ ერთი შემთხვევიდან მეორე შემთხვევამდე. ამ ამხანაგებმა ალბად ვერ შენიშნეს, რომ ჯერ კიდევ კულტურული რევოლიუციის ლოზუნგის გამოცხადებამდე ჩვენ ყოველ პარტიულ ყრილობაზე, ყოველ კონფერენციაზე, ცეკას ყოველ პლენუმზე ვსვამდით იდეოლოგიური ფრონტის საკითხს. ჩვენ ბრალსაც კი გვდებენ თეატრალურ და ლიტერატურულ გადახრაში.

ბრალის დადება ცენტრალური კომიტეტისათვის იმაში, რომ თითქოს ჩვენ ამ საკითხებს არ ვსვამდით, უსაფუძვლოა, მაგრამ რაც შეეხება იმ საკითხს, თუ როგორი მდგომარეობაა იდეოლოგიურ ფრონტზე, მე უნდა ვსთქვა, რომ ეს მდგომარეობა ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. ჩვენ ვხვდებით ძლიერ წინააღმდეგობას უმთავრესად ინტელიგენციის შოვინისტურად განწყობილი ფენების მხრივ და მზად უნდა ვიყოთ საბრძოლველად, უნდა გავლესოთ ჩვენი კომუნისტური იარაღი ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული გავლენის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ლიტერატურაში.

აქ, ლიტერატურულ ფრონტზე აუცილებელია სათანადო დონეზე დავაყენოთ კომუნისტური კრიტიკა და სათანადოდ მოვამზადოთ პროლეტარული მწერლები. ბევრი სთვლის თავს პროლეტარულ მწერლად. მაგრამ ცოტა გაეგებათ კულტურის საკითხებში. აქ ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მათ ისწავლონ და ისწავლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ წავლენ წინ. ეხლა ზოგიერთი პროლეტარული მწერალი მოსკოვში გაემგზავრა. იქ ძალიან თბილად შეხვდნენ.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მოსკოვის პირობები კარგად იმოქმედებს მათზე.

მე მესმის, რა თქმა უნდა, საქართველოს პროლეტარული მწერლის მდგომარეობა, რომელიც ფაბრიკის მილებზე გაჰყვირის, მაგრამ მხოლოდ მარელისს ხედავს.

ზოგიერთი კრიტიკოსების შესახებ უნდა ითქვას, რომ უმჯობესი იქნებოდა, რომ ისინი თავს დაანებებდნენ პირადი ანგარიშების გასწორებას და წერას ისეთ საგანზე, რომელსაც არ იცნობენ, უფრო მეტს ისწავლიდნენ და მარქსისტულ კრიტიკას გამოიყენებდნენ ყოველგვარ რეაქციონურ მიმართულების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჩვენი სასკოლო მუშაობის შესახებ

ეხლა ჩვენი სასკოლო მუშაობის შესახებ. ამხ. კანდელაკმა აქ მოიყვანა ციფრები, რომლებიც ახასიათებენ კულტურული ფრონტის მდგომარეობას სასკოლო დარგში. თუ ამ ციფრების მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოდის რომ სკოლებში საკმაო გავლენით სარგებლობს კომუნისტური პარტია და კომკავშირი. მაგალითად, პედაგოგიური ტეხნიკუმების 3.368 მოწაფიდან 54 პროც. კომკავშირელია, სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმებში—35 პრ. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმებში—24,5 პროც. ამრიგად საჭირო ბირთვი თითქოს უკვე არსებობს. პარტიისა და კომკავშირის ამოცანაა—გააფართოონ ეს ბირთვი და გააძლიერონ თავისი გავლენა სკოლებში.

მოწაფეთა სოციალური შემადგენლობის დარგში ციფრები არაა იმდენად სანუგეშო. პედაგოგიურ ტეხნიკუმებში გლეხების შვილები არიან 559; მუშების შვილები—140, მოსამსახურეთა შვილები—145, სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებში: გლეხების შვილები—871, მუშების შვილები—174, მოსამსახურეთა—149; ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში: გლეხების შვილები—228, მუშების შვილები—291, მოსამსახურეთა შვილები—288. თუ თქვენ მოსამსახურეებს მიუმატებთ გლეხებს, დაინახავთ, რომ მუშები, მათთან შედარებით, ძალიან ცოტაა. ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ.

შემდეგ საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს იმ მომენტს, რომელიც საკავშირო აგიტპროპთათბირმა აღნიშნა, სახელდობრ: რაც უფრო მაღალია სასწავლო წელი, მით უფრო ნაკლებია მუშათა შვილების პროცენტი. ეს საერთო მოვლენაა მთელ საბჭოთა კავშირში. ამხ. კრინიცკიმ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მოსკოვის მეორე საფეხურის სკოლებში პირველ სასწავლო წელში მუშები იყო 19.600, ხოლო დანარჩენები—12.500, მე-7 წელიწადში მუშები იყო 3.100, დანარჩენები—7.700, მე-9 წელიწადში, როცა სკოლა ინტელიგენციის და მთავრებულ კადრებს უშვებს, მუშები იყო 715 კაცი, დანარჩენები კი—2.656. ამ დინამიკის განხილვას ჩვენი განათლების სახალხო კომისარიატი არ აქცევს ყურადღებას და ამაშია სწორედ მისი დიდი ნაკლი.

პედაგოგიური შემადგენლობის მხრით საქმე ვერაა კარგათ. ავიღოთ თბილისის სახალხო განათლების განყოფილება. 1927—28 წ. თურმე აქ მხოლოდ 6 პროც. კომუნისტი-პედაგოგებია. საჭიროა ყურადღება მიექცეს კომუნისტ პედაგოგების აღზრდას და მათ დაგზავნას შესაფერ სკოლებში. თუ ჩვენ მხოლოდ სკოლების რაოდენობას გამოვეკიდებით და საკუთარი პედაგოგები არ გვეყოლება,—ეს ვერაფერ კარგ ნაყოფს გამოიღებს.

როგორც რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატის, ისე საერთოდ ყველა განათლების სახ. კომისარიატების ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ისინი თავის დროზე არ აქცევენ ყურადღებას საფრთხეს. განათლების სახალხო კომისარიატები ძალიან ბევრს მუშაობენ სასკოლო მშენებლობის საკითხებზე, მაგრამ არ აქცევენ ყურადღებას საკითხს, თუ საითკენ მიდიან ჩვენი სკოლები, როგორია მათი სოციალურ-კლასობრივი მიმართულება. ამიტომ ისინი ამის შესახებ არ გაჰკივიან და საჭიროა პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციების ღონისძიებები, რათა მათ აიძულონ განათლების სახალხო კომისარიატები ცოტა გამოფხიზლდენ. ეს საერთო მოვლენა აღნიშნა ამხ. კრინიცკიმ, რომელმაც სთქვა:

„საჭიროა აღინიშნოს საშიში ფაქტი: სკოლაში ბურჟუაზიულ ელემენტების უდავოდ გამოცოცხლებისა და ჩვენი პროლეტარული პოზიციების სისუსტის საკითხს პრესაში და კრებებზე აყენებს არა განათლების სახ. კომისარიატი, არამედ კომკავშირის და პარტიული ორგანიზაციები. ამავე დროს უწინარეს ყოვლისა განათლების სახალხო კომისარიატის მოვალეობას შეადგენს წამოაყენოს საკითხი სკოლის ნაკლსა და შეცდომებზე“.

ამხანაგებო, ჩვენ მოვითხოვთ, რომ საფრთხეს ყველაზე უწინ ყურადღება მიაქციოს იმან, ვინც განაგებს ამა თუ იმ ორგანოს. შენ განაგებ ხომ ამ საქმეს, ამიტომ პირველად შენ ხარ მოვალე აღნიშნო ყველა ის სისაძაგლე, გადახრები და გაუგებრობა, რომელნიც შენ შეამჩნიე და არ უნდა უცადო იმას, რომ შენ მიგითითებენ ამ ნაკლზე.

აქ ამხ. მზარეულიშვილმა და სხვებმა დროულად წამოაყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ კულტურული რევოლიუციის საქმე უნდა დაუახლოვოთ ქვედა ფენებს, მუშებს. ავიღოთ ჩვენი კლუბები, კინოები, თეატრები, ე. ი. ჩვენი ძირითადი პოზიციები იდეოლოგიურ ფრონტზე. ჩვენ ვერ ვხედავთ აქ გარდატეხას მუშებთან დაახლოვების მხრით. ამავე დროს კი საჭიროა მაყურებელ მუშის და საბჭოთა წიგნების მკითხველ მუშების შექმნა.

ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ცოტად თუ ბევრად კულტურული ქვეყანაა, მაგრამ დღეს ჩვენმა სტატისტიკოსმა ამხ. რუხაძემ იმედი გამიცრუა. თურმე სტატისტიკა ისეთი რამ ყოფილა, რომელსაც ყველაფრის აყირავება შეუძლია (სიცილი). წინად ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქართველოში თითქმის ყველაზე უფრო გავრცელებულია წერა-კითხვა, მაგრამ ირკვევა რომ ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ ამ რწმენაზე. ჩვენ დღესაც უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ უმაღლეს მატერიებს,—აქაო და ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტები უნდა არსებობდესო, აუცილებლად 10.000 სტუდენტი უნდა გვყავდესო, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს რესპუბლიკას ხეირიან რესპუბლიკად არ ჩათვლიანო. მაგრამ ჩვენ მცირე ყურადღებას ვაქცევთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ქვედა ფენებში. ვღებულობთ მოულოდნელ სურათს: საქართველოში წერა-კითხვის მცოდნეა სულ 43 პროც., ბელორუსიაში—48 პროც., ხოლო რუსეთის ევროპიულ ნაწილში—52 პროც. მაშასადამე, ჩვენ ამ ფრონტზე უკან ჩამოვრჩენილვართ, რაც მეტად სამწუხარო ფაქტია. ჩვენმა დაწესებულებებმა მეტი ენერგიით უნდა მოჰკიდონ ხელი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

უმაღლესი სასწავლებელი

ამხ. ტოროშელიძემ წამოაყენა მთელი რიგი საკითხები ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის შესახებ, ის სავსებით მართალი იყო, როცა მან აღნიშნა, რომ ჩვენი სტუდენტების რაოდენობა დიდია, მაგრამ მათი კულტურული დონე და მატერიალური მდგომარეობა მეტად არადამაკმაყოფილებელია. „უმჯობესია ცოტა და კარგი“. მაშინ ჩვენ სტიპენდიანტთა პროცენტის გადიდებას მაინც შევსძლებთ. იმ დროს, როცა რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში სტიპენდიანტთა რიცხვი თითქმის 40 პროც. აღწევს, ჩვენში კი ეს რიცხვი მხოლოდ 6—7 პროც. უდრის. ამიტომ ჩვენი სტუდენტობა არაჩვეულებრივად მძიმე მდგომარეობაშია. ჩვენი სტუდენტები ნახევრად მშიერები არიან, [illegible], უბინაოდ და უფულოდ. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ ასეთი სტუდენტების თავში არაფერი შედის და მას არ შეუძლია სთქვას რამდენ კაპეიკს შეადგენს 3 მეათედი მანეთი. მშიერი კუჭით ციფრს ვერ გამოიანგარიშებ. საჭიროა სტიპენდიანტთა რიცხვის გადიდება უმაღლეს სასწავლებლებში, განსაკუთრებით მუშფაკებში, რომლებიც პროლეტარული სტუდენტობის კადრებს იძლევიან. განსაკუთრებით უნდა დავეხმაროთ მუშფაკელებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ მივიღებთ პროლეტარულ ინტელიგენციას.

ორი სიტყვა კერძო პირთა ინიციატივის შესახებ სახალხო განათლების დარგში. ეს საკითხიც აღძრა ამხ. ტოროშელიძემ. მან, მაგალითად, მოიყვანა საბუჰჰალტერო და სხვა კურსები. კერძო პირები, ამ კურსებზე, პირველი, მისდევენ მოგებას, და მეორე, ახალგაზრდობის აღზრდას კი არ ეწევიან, არამედ გარყვნას. ამას არ უნდა ექნეს ადგილი.

ამხ. ტოროშელიძემ აღძრა აგრეთვე კერძო პირთა ინიციატივის საკითხი კულტურულ ფრონტზე. ჩვენ კერძო ინიციატივა უნდა განვდევნოთ ამ დარგიდან. თუ ჩვენ ეკონომიკაში უშვებთ, რომ ზოგიერთი პოზიციები განსაზღვრულ დრომდე დარჩეს კერძო პირის ხელში, იდეოლოგიის დარგში არც ერთი ნაბიჯი, არც ერთი მტკაველი მიწა არ უნდა დაუთმოთ კერძო პირს (ტაში).

ეხლა მასწავლებლების შესახებ უმაღლეს სკოლებში. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ მარქსისტულად გამობრძმედილი ხალხი იქ ძალიან ცოტაა. ამიტომ უნდა მიექცეს ყურადღება მასწავლებელთა ახალი კადრების შექმნას უმაღლესი სკოლისათვის წითელი პროფესურის ინსტიტუტისა და კომაკადემიის საშუალებით. საკმაო არ არის, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში მხოლოდ რექტორი იყოს კომუნისტი, საჭიროა, რომ ყველა მბრძანებელი მაღლობები დაჭერილი იყოს მარქსისტ კომუნისტების მიერ, ხოლო შოვინისტურად და ნაციონალისტურად განწყობილი პროფესორებისაგან თანდათან განვთავისუფლდეთ. საბჭოთა ხელისუფლების მე-8 წელში სახელმწიფო უნივერსიტეტში აღარ უნდა იყოს განსაკუთრებული პირობები.

„განსაკუთრებული პირობების“ შესახებ

ეხლა შევეხები ჩვენს მუშაობას ეროვნულ უმცირესობათა და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის, ამასთანავე გზადაგზა შევჩერდები ეგრედწოდებულ „განსაკუთრებულ პირობებზე“, რომელიც ასე მოეწონა ამხ. ლაკობას. წინასწარ შევნიშნავ, რომ ნაციონალური საკითხის მხრივ ჩვენ დიდი საცდელი მინდორი გვაქვს არა მარტო ამიერ-კავკასიის მასშტაბით, არამედ საქართველოს მასშტაბითაც, რომელიც სხვადასხვა ეროვნული შემადგენლობის რესპუბლიკების ფედერაციას წარმოადგენს. ამიტომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დროს ჩვენ ვხვდებით რთულ პირობებს, რომლებიც მოითხოვს სისწორით, მოფიქრებით მიდგომას საკითხისადმი განვითარების ყოველ საფეხურზე. და აი, ამხანაგებო, უნდა აღინიშნოს ეხლა, რომ ჩვენ საშინლად ჩამოვრჩით ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის დარგში. თუ ავიღებთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას, ჩვენ მივიღებთ ასეთ სურათს: ქართველთა შორის წერა-კითხვის მცოდნეა—45,8 პროც., სომხებს შორის 46 პროც., თურქებს შორის— 5,5 პროც., აფხაზებს შორის—12,7 პროც., ოსებს შორის—14 პროც. ამ მხრივ საჭიროა ერთგვარი გარდატეხა. ეს გარდატეხა იწყება იმ გადაწყვეტილებით, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო კოეფიციენტის გადასინჯვის შესახებ ბიუჯეტის შედგენის დარგში. საჭიროა მხოლოდ ამ მნიშვნელოვანი დადგენილების შესრულება. ბიუჯეტის შედგენის დროს უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ დაუკმაყოფილებელი არ დარჩეს ნაციონალური უმცირესობათა და ავტონომიური რესპუბლიკების ინტერესები, ვინაიდან აქ უკეთესია ზედმეტი მივსცეთ, გადავაყოლოთ, ვიდრე, დავაკლოთ.

მაგრამ ნათქვამიდან სრულებითაც არ უნდა გამოვიყვანოთ არასწორი დასკვნა მუშაობის „განსაკუთრებული პირობების“ შესახებ ავტონომიურ რესპუბლიკების შიგნით, როგორც ამას სჩადიან ზოგიერთი ამხანაგები.

ოხუნჯობა პოლიტიკურ საკითხებში

ამასთან დაკავშირებით მე მინდა ვილაპარაკო ამხ. ლაკობას გამოსვლის შესახებ. ამხ. ლაკობა—წარმომადგენელია დიდი ავტონომიური ერთეულის, რომლის ცხოვრებას [illegible] ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამხ. ლაკობამ თავის სიტყვაში ირონიულად შენიშნა, რომ აფხაზეთს ყურადღების მხრივ აქვს 5 პლიუსით, რომ ცეკას არც ერთი პლენუმი არ შემდგარა, რომელზედაც ხშირად არ ყოფილიყო ლაპარაკი აფხაზეთის შესახებო, თუ ჩვენ გვაინტერესებს ეს საკითხი, მხოლოდ და მხოლოდ იმ ერთად ერთი სურვილის გამო, რომ გამოსწორებულ იქნას ის ნაკლოვანებანი, რომლებსაც აფხაზეთში აქვს ადგილი და ჩვენი ბრალი არ არის, თუ ეს ნაკლოვანებანი დღემდე არ არის გამოსწორებული. ამხ. ლაკობამ უნდა შეიგნოს თვითკრიტიკის მთელი მნიშვნელობა და არ ილაპარაკოს ასეთი რამეები. ამხ. ლაკობამ აღიარა, რომ შეიძლება ლაპარაკმა გამიტაცოს და ბევრი ისეთი რამ ვსთქვა, რის გამოც ხვალ შეიძლება ვინანოო. მე ვფიქრობ, რომ ამხ. ლაკობა მართლაც გაიტაცა ლაპარაკმა და დღეს შეიძლება ამას ნანობს. აფხაზეთის სასამართლოს შესახებ, რომელზედაც მე ვილაპარაკე ჩემს მოხსენებაში, ამხ. ლაკობამ განაცხადა, რომ სასამართლოს შეიძლება გამოაქვს სწორი დადგენილება და შეიძლება არაო. შეიძლება ნისლი იყოს და შეიძლება არა! უნდა ვსთქვა რომ ასეთი ოხუნჯობა სერიოზულ პოლიტიკურ საკითხში არ შეიძლება დაშვებული იქნას. ჩვენ გვიყვარს ხუმრობა, ჩვენ გვინდა მეტი სიცოცხლე, მხიარულობა შევიტანოთ ჩვენს მუშაობაში, მაგრამ ყოველთვის არ შეიძლება ხუმრობა სერიოზულ პოლიტიკურ საკითხში. არ შეიძლება აგრეთვე ფონს გასვლა აფხაზეთის ცოცხალი სინამდვილის განსაკუთრებულ პირობებზე დაყრდნობით (ლაკობა: მე ეგ არ მითქვამს!) მოიცადეთ, მე წავიკითხავ თქვენი სიტყვის სტენოგრამას.

„უკან დახევა ბოლშევიკური პრინციპებისაგან, პარტიის პრინციპებისაგან „ადგილობრივი პირობების“ ფორმულით, ფორმულით—„გაუწიეთ ანგარიში ადგილობრივ პირობებს“, არ შეიძლება. მაგრამ არ შეიძლება აგრეთვე ცოცხალი სინამდვილის გამარტივება“.

თურმე ჩვენ, ცოდვილნი, ვამარტივებთ ცოცხალ სინამდვილეს, არ გვინდა შევიგნოთ ამ სინამდვილის პირობები. რაში მდგომარეობს ეს „განსაკუთრებული პირობები?“.

ამხ. ლაკობა დიდ სამსახურს გაუწევდა პარტიას, რომ იგი შეითვისებდეს ყველა იმ დირექტივებს, რომლებიც მას ეძლევა. ნაწილობრივ იგი ემორჩილება ამ დირექტივებს, მაგრამ მაინც უხვევს. არის შემთხვევა, როცა ცეკას მდივნებს რამოდენიმე საათი უხდებათ ამხ. ლაკობას რწმუნება.

მტკიცედ მბრძანებელ მაღლობებზე

როცა აფხაზეთში ჩავიდა ინსტრუქტორი, მოინდომა სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიწვევა პარტიულ კომიტეტში, მას უთხრეს: „დაძახებით კი დაუძახებთ, მაგრამ უხერხული არ იქნება, რომ ყველა უპარტიოები მოვიდნენ“-ო. აღმოჩნდა, რომ თუ დაუძახებ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, მოვლენ უპარტიოები, ვინაიდან იქ უპარტიოები სხედან, სახვაჭრობაში—უპარტიოებია, ბანკში—უპარტიოებია, ერთი სიტყვით, ყველგან უპარტიოებია. რასაკვირველია მეტი ღონე არ იყო, ინსტრუქტორს უნდა ეთქვა: „რას იზამ, რახან თქვენ ასეთი „განსაკუთრებული პირობები“ გაქვთ, ნულარ მოვიწვევთ“-ო (სიცილი).

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა მბრძანებელი მაღლობები ეჭიროს კომუნისტებს, რომლებსაც შეგვეძლება მოვსთხოვოთ პარტიული ხაზის სისწორით გატარება. და ეს საჭიროა არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელ საქართველოში. ამხ. ლაკობა ხუმრობს: „ცოცხალი სინამდვილეა, რომ ცოტა ყრუ ვარ, ინებეთ და გაუწიეთ ანგარიში ჩემს სიყრუეს“-ო. სავსებით ვეთანხმები, რომ ამხ. ლაკობას ფიზიკურ სიყრუეს უნდა გაუწიოთ ანგარიში, მაგრამ ამხ. ლაკობას ვსთხოვ ერთ რამეს: ფიზიკური სიყრუის გარდა პოლიტიკური სიყრუე არ იქნას გამოჩენილი მუშურ გლეხური მასების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების მიმართ, პარტიული მოთხოვნილებების მიმართ (სიცილი ტაში).

არ შეიძლება ბრალი დავსდოთ ამხ. ლაკობას იმაში, რომ იგი არ ასრულებდა პარტიულ გადაწყვეტილებებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი ამ გადაწყვეტილებებს ნელი ტემპით ასრულებდა, ასე რომ, რბილად რომ გამოვთქვათ, საკითხი სდგას ტემპის აჩქარების შესახებ.

რამოდენიმე სიტყვა რევოლიუციონური კანონიერების განხორციელების შესახებ. მე შემეძლო გამომექვეყნებია კიდევ მთელი რიგი სისაძაგლენი, მაგრამ არ არის საჭირო, ვინაიდან ბოლოსდაბოლოს ეს არაფერს არ მოგვცემს მაგრამ თქმა იმისა, რომ ეს არის უბრალო „სტილისტიკა“, ეს ახსნა არ არის, როცა მოძალადეს ამართლებენ ქურდს, სისხლის სამართლის დამნაშავეს ამართლებენ და ამას სჩადის სასამართლოს უზენაესი კოლეგია, რომელიც კომუნისტებისაგან შესდგება, ეს უკვე „სტილისტიკა“ აღარ არის, და თუ ეს სტილისტიკაა, ისეთია, რომელსაც შეეხება ფრანგული ანდაზა: „სტილი—ეს ადამიანია“. თუ თქვენ ასეთი ცუდი სტილი გაქვთ, მაშასადამე ცუდი ბოლშევიკები სხედან უზენაეს კოლეგიაში.

როგორ არ უნდა გვესმოდეს „თვითკრიტიკა“

საჭიროდ მიმაჩნია ვსთქვა იმის შესახებაც, თუ როგორ ესმის ამხ. ლაკობას თვითკრიტიკა.

ამხ. ლაკობა ამბობს:

„თვითკრიტიკა ტერორის ქვეშ, არაფერს არ მოგვცემს. თუ ის ამგვარად ჩატარდება, არც ერთი მუშაკი ადგილობრივ არ მოისურვებს გასწიოს თვითკრიტიკა“-ო. როგორ მოგწონთ ეს? ასე არ შეიძლება გავიგოთ თვითკრიტიკა. არავითარ ტერორს ადგილი არ აქვს, არავის არ სურს ტერორის ქვეშ დააყენოს ვინმე. მხოლოდ არის სურვილი იმისა, რომ გამოსწორებულ იქნას ნაკლოვანებანი.

ამხ. ლაკობა გვეკითხება: „გვენდობით თუ არა“-ო? ამხანაგებო, ასე საკითხი არ სდგას და არც შეიძლება იდგეს. ამხ. ლაკობა თვითონ ცეკას წევრია და უნდა გაატაროს ის პოლიტიკა, რომელსაც ცეკა ატარებს. მის კითხვაზე მე უპასუხებ: „ჩვენ გენდობით, მაგრამ თქვენი შეცდომები გვინდა გამოვასწოროთ“. შეგიძლია სთქვათ რამე ამის წინააღმდეგ? მე ვფიქრობ, რომ არა.

„განსაკუთრებული“ კანონიერება

ნება მომეცით გადავიდე ამხ. გ. სტურუას სიტყვაზე.

ამხ. სტურუამ დაიწყო იმით, რომ „კახიანი თავის მოხსენებაში ერთგვარ წინააღმდეგობაში ჩავარდა“-ო. მე ძალიან ყურადღებით ვადევნებდი თვალს იმას, თუ როგორი წინააღმდეგობებს აღმოაჩენდა იგი. თურმე ჩემი წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ ცოტა წავიკითხე. ლენინის თხზულებიდან იმის შესახებ, რომ „კანონი ყველასათვის ერთგვარი უნდა იყოს“. სტურუა ღრმა აზროვნად განმარტავს, რომ „ჩვენ მარქსისტები დღემდე ვმსჯელობდით ასე, რომ ყოველ კონკრეტიულ პირობებში ერთი და იგივე კანონი შეიძლება სხვადასხვა გვარად იქნას ათვისებული, ამა თუ იმ ადგილის კულტურული დონის მიხედვით“-ო.

მე ვფიქრობ, რომ ამ სიბრძნეში ძალიან ცოტა არის მარქსიზმი და ლენინიზმი, ვინაიდან სწორედ ლენინი ამბობდა, რომ კანონიერება ერთგვარი უნდა იყოს მთელი რუსეთისათვისო (ეხლა კი ის იტყოდა—კანონიერება საერთო საკავშირო ხასიათის უნდა იყოსო), ჩვენ კი ეხლანდელ ეტაპზე მართლაც იმდენად გავიზარდეთ, რომ შეგვიძლია ვიქონიოთ ასეთი „ფუფუნება“, რომ კანონის მთლიანი ნორმა დავაწესოთ. სტურუას მიხედვით კი გამოდის, რომ შეიძლება განსაკუთრებული კანონები გვქონდეს—ოზურგეთის, გორის, აფხაზეთის, ოსეთის, აჭარისტანის და სხვ.

ლენინიზმის ამგვარად გაგება შეუძლებელია. ამხ. სტურუა, უეჭველია, სცდება, როცა არკვევს იმას, თუ რაში მდგომარეობს მთავარი საფრთხე. სწორედ ეხლანდელი მდგომარეობა მოითხოვს, რომ საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის და საერთოდ ამიერ-კავკასიის კანონები დაუახლოვოთ საერთო საკავშირო ნორმებს. აფხაზეთი, აჭარისტანი და ოსეთიც თავის მხრით უნდა შეეცადონ დაუახლოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სათანადო ნორმებს. ეს აუცილებელია, უამისოდ ჩვენ ვერ ავაშენებთ სოციალიზმს; ეს ისევე საჭიროა როგორც სახალხო მეურნეობის მთლიანი გეგმა, ურომლისოდაც შეუძლებელია სოციალიზმის შენება.

მოვამზადოთ კადრები

შემდეგ, ჩვენი კადრების საკითხი.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენი მრეწველობის მდგომარეობაზე, ჩვენი სასოფლო მეურნეობის მდგომარეობაზე, კოლმეურნეობათა განვითარებაზე, იდეოლოგიურ ფრონტზე და პროფკავშირთა მუშაობაზე,—ყველგან ვეხეჩებით ერთსა და იმავე ძირითად საკითხს—კადრების საკითხს, ისეთი კადრების შექმნისა, ისეთი ხალხის აღზრდის საკითხს, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ნაყოფიერ მუშაობას ყველა ფრონტებზე. ეს საკითხი მეტად სერიოზული საკითხია. ამხ. ლენინი ამბობდა, რომ უმთავრესი საკითხია—ხალხის შერჩევა. თუ ეს სწორი იყო მაშინ, ეს ეხლა მით უფრო სწორია და მით უფრო საჭიროა. ცხოვრება არ იცდის, ის წინ მიდის და ის ვადი', არავითარ გადიდებას არ სცნობს. ჩვენ ვიმყოფებით საერთაშორისო კაპიტალისტურ გარემოცვაში, ჩვენს შიგნით თავს იჩენენ დამზიანებლები, იზრდებიან კულაკები, ნეპმანები და თუ ჩვენ არ აღვიჭურვებით სათანადო იარაღით, ჩვენ გამარჯვების ნაცვლად დავმარცხდებით. ასეთი პირობები აუცილებლად აყენებს ჩვენს წინაშე კადრების საკითხს.

ყოველი კომუნისტი უნდა დაფიქრდეს ამაზე, განსაკუთრებით საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის იმ დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელიც შახტის საქმის გამო იქნა მიღებული. შახტის საქმე მოწმობს რომ საერთაშორისო და შინაური ბურჟუაზია ზოგიერთი აქაური ინტელიგენტ-საბოტაჟნიკების დახმარებით კონტრრევოლიუციონურ მუშაობას ეწეოდა ჩვენი ქვეყნის შიგნით. ლენინმა თავის დროზე სთქვა, რომ აუცილებელია კომუნიზმის შენება არა მარტო კომუნისტების ხელებით, არამედ სხვა ძალების გამოყენებითაც, ძველი მემკვიდრეობის გამოყენებითაც. ეხლა, 1928 წელში, ეხლანდელი პირობების მიხედვით ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სპეციალისტები, მაგრამ უნდ აგანვდევნოთ საბოტაჟნიკ-სპეციალისტები, უნდა წავახალისოთ ნამდვილი საბჭ. ინჟინრები და ფართედ მივსცეთ გზა ახალგაზრდა სპეცებს.

შახტის საქმეს პროცესზე ესწრება რამოდენიმე ათეული ბურჟუაზიული ჟურნალისტი. აქ მე მაქვს გერმანელი ბურჟუაზიული კორესპონდენტის შეფერის ერთი ძალიან დამახასიათებელი ამონაწერი:

„შახტის პროცესზე,—სწერს იგი,—დღემდე მიღწეულია მხოლოდ ის, რომ ბრალდებულთა აღიარების მიხედვით დამტკიცებულია ბრალდების ზოგადი თეზისი რომლის თანახმად არსებობდა საბოტაჟი, ამა თუ იმ სახით; დონეცის აუზის მრავალი ინჟინერის მხრივ“.

ამგვარად, ამხანაგებო, ბურჟუაზიული კორესპონდენტისათვისაც კი დამტკიცებულია, რომ საბოტაჟს მართლაც ჰქონდა ადგილი ინჟინერთა ჯგუფის მხრივ, რომლებიც გეგმაშეწონილად და სისტემატიურად ეწეოდნენ საზიანო მუშაობას. ასეთი საბოტაჟნიკები აუცილებლად უნდა მოვიშოროთ თავიდან, რითაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ბრალდებულთა შორის არის ტყიბულის ინჟინერი ელიაძე, რომელიც სცდილობს ცილი დასწამოს ყველა სპეციალისტებს, მაგრამ ის ამას ვერ შესძლებს. ჩვენ არ შეგვიძლია ხელაღებით მოვიშოროთ ყველა სპეცები, ისეთი სპეცები, როგორიც არის, მაგალითად ჩვენი ამხ. ქიქინაძე და მელიქ-ფაშაევი, რომლებიც აშენებდნენ ზაჰესს და რომლებიც ეხლა აშენებენ რიონჰესს, ჩვენ მათ ვაფასებდით და მომავალშიაც დავაფასებთ. მაგრამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დავაწინაუროთ რაც შეიძლება მეტი კომუნისტები, რაც შეიძლება უფრო მეტად მიენდოს მათ მბრძანებელი მაღლობები. ამ საკითხში ამხ. სტურუა დიდ შეცდომას უშვებს. ის ამბობს (ვკითხულობ სტენოგრამით):

„აფხაზეთში თამბაქოს ფაბრიკის სათავეში იდგა კომუნისტი, მაგრამ ამ ფაბრიკის საქმე მაინც ცუდად წავიდა; და რომ ამ ფაბრიკის სათავეში მდგარიყო უპარტიო, ამას აუცილებლად მიაწერდენ იმას, რომ უპარტიო საზიანო მუშაობას ეწევა“. (ხმაურობა. თავმჯდომარე ზარს რეკავს).

თქვენ ხედავთ, რომ აუდიტორიამ ვერ მოითმინა და საჭირო გახდა თავმჯდომარის ზარი. ამხ. სტურუას მიხედვით გამოდის, რომ როცა საზიანო მუშაობის შესახებ ვლაპარაკობთ, რაღაც საფრთხობელა გვეჩვენება. განა ეს მართალია? უნდა დაუკვირდე შახტის პროცესს, უნდა შეხედო მას პირისპირ და მაშინ ნათელი გახდება, რომ დონბასში მართლაც ჰქონდა ადგილი უსაძაგლეს საზიანო მუშაობას, იმის გამო, რომ ადგილობრივი პარტიული და პროფორგანიზაციები გულგრილად ეპყრობოდნენ იმ მუშების წინადადებებსა და საჩივრებს, რომლებსაც თავგანწირულად და არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში მიჰყავდათ წინ მრეწველობა.

შახტის საქმის ერთ ერთი გაკვეთილია რაც შეიძლება მეტი კომუნისტები უნდა დავაწინაუროთ და რაც შეიძლება მეტი ნდობით უნდა მოვეპყრათ მათ ასეთი ფრაზებით კი: „ეს რომ სპეციალისტი ყოფილიყო, მას დამაზიანებლობაში დასდებდნენ ბრალსო“, სრულიად უადგილოა. ასეთი ტონი ჩვენ სრულებით არ შეგვეფერება. ეხლა, შახტის პროცესის შემდეგ, აშკარა უნდა იყოს, რომ მბრძანებელ სამეურნეო სიმაღლეებზე ჩვენ ისეთი მუშაკები უნდა გვყავდეს, რომლებსაც ვენდობით, რომლებიც აღფრთოვანებული არიან საბჭოთა ხელისუფლების და ოქტომბრის რევოლიუციის ენთუზიაზმით (ტაში).

თუ აფხაზეთში საკმაო არ არიან კომუნისტები, უნდა მოვიყვანოთ ისინი საქართველოს სხვა რაიონებიდან, თუ საქართველოშიაც არ არიან საკმაო, რუსეთიდან უნდა მოვიყვანოთ.

მეტი პასუხისმგებლობა მუშაობაში

ამასთან ერთად, რათა სათანადოდ განვავითაროთ მეურნეობა, უნდა აღვზარდოთ სამეურნეო მუშაკები, ვასწავლოთ მათ სამართლიანად სთქვა ამხ. ანდრეევმა თავის შესანიშნავ სიტყვაში რკინის გზელთა ყრილობაზე: სამეურნეო მუშაკი, მიმოზა ხომ არ არის, რომ ხელი ახლო და დასჭკნესო. ჩვენ მოვკიდებთ ხელს სამეურნეო მუშაკებს და მოვთხოვთ მათ, რომ მეტი ყურადღებით ადევნონ თვალყური თავიანთ საქმეს და არ დაკმაყოფილდნენ წარდგენილ ქაღალდებზე ბეჭდის დასმით.

ამხ. გიორგი სტურუა ამბობს, რომ ადგილი არ უნდა ჰქონდეს უნდობლობას ხელაღებ ყველა სპეციალისტების მიმართო, ეს მართალია. მაგრამ ამხანაგო სტურუა, არც ის ვარგა, რომ ხელაღებ ვენდოთ ყველა სპეციალისტებს. უნდა ვარჩევდეთ და ვაფასებდეთ უკეთესებს. სხვანაირად არაფერი გამოგვივა.

მეურნეობის დარგში ჩვენი კადრების აღზრდისა და შექმნის პრობლემა უაღრესად აქტუალურია საქართველოს პირობებში. აქ მართლაც საჭირო იქნება ძირითადი გარდატეხის მიღწევა ყველა დარგებში. და სანამ ამ ნაბიჯს გადავდგამდეთ, მტკიცედ უნდა შევითვისოთ ლენინური გეზი.

გადავდივარ იმ დეფექტებზე, რომლებიც გვაქვს ჩვენ საბჭოთა აღმშენებლობის დარგში. თურმე „სტილისტიკას“ ადგილი ჰქონია არა მარტო აფხაზეთის სასამართლოში; თურმე ყოვლად უვარგის „სტილისტიკას“, სამწუხაროდ ადგილი აქვს ჩვენშიაც, საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატში და თბილისის სახალხო სასამართლოებში.

გავსწმინდოთ დაწესებულებები ნაგავისაგან

გუშინ თქვენ წაიკითხავდით გაზეთებში, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოებში აღმოჩენილია 28 ათასი მანეთის გაფლანგვა. იუსტიციის სახალხო კომისარიატი, რომლის დანიშნულებას მფლანგველებთან ბრძოლა შეადგენს, გულდამშვიდებით მუშაობდა, ხელს აწერდა უწყისებს და ვერ შეამჩნია გაფლანგვა თავის ცხვირის წინ.

„რაბოჩაია პრავდა“ ამის შესახებ სწერს:

„ფლანგვის, მტაცებლობის და უკანონო ხარჯების საერთო თანხა იუსტიციის სახალხო კომისარიატსა და უკვე გამოკვლეულ სახალხო სასამართლოებში შეადგენს 28.258 მანეთს. მთელი ამ სამწუხარო ისტორიიდან მოსჩანს ერთი საერთო მოვლენა. ყველა საფინანსო საქმეების წარმოება მინდობილი ჰქონდა ცალკე პირებს, რომლებსაც არავინ ანგარიშს არ სთხოვდა, რომლებსაც კონტროლს არავინ არ უწევდა“.

რას გვეუბნება ეს ფაქტი? იმას, რომ ჩვენ კიდევ საკმაოდ კულტუროსანი ვერ ვართ, ჯერ კიდევ ვერ გვაქვს შეძენილი საკმაო გამოცდილება მართვა - გამგეობის საქმეში, თავის დროზე ვერ ვამჩნევთ ასეთ ბოროტმოქმედებას. ასეთი ამბები, როგორც სჩანს, ხდება არა მარტო იუსტიციის სახალხო კომისარიატში, არამედ სხვა სახალხო კომისარიატებშიაც, მათ შორის ისეთებშიაც, რომელთა დანიშნულებას შეადგენს კონტროლი გაუწიონ ჩვენს სახალხო მეურნეობას, სახალხო ფინანსებს და სხვ.

რკინის ცოცხით უნდა გამოვგავოთ ყველა ჩვენი დაწესებულებები, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი და დავეხმაროთ სათანადო მუშაკებს თავიდან მოიშორონ დაწესებულებებში მოკალათებული სიბინძურე; მხოლოდ ამის შემდეგ შევსძლებთ ჩვენი მუშაობის გულდამშვიდებით გაგრძელებას.

ულმობელი თვითკრიტიკის გზით

საკითხების უკანასკნელი ჯგუფი ეხება პარტმუშაობას. შევჩერდები ერთ გაუგებრობაზე. თავის გამოსვლაში მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების გამგე ამხ. ვარო ჯაფარიძემ სთქვა, რომ, ჯერ-ერთი:

„თვითკრიტიკა — ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ, როდესაც ფაქტები მახინჯდება; ეს ფასს უკარგავს თვითკრიტიკის პრინციპსო“. ეს პირველი ბრალდება.

მეორე ბრალდება: „ამხ. კახიანი, როდესაც აფასებდა მუშა და გლეხ ქალთა ცენტრალური განყოფილების მუშაობას, სამწუხაროდ ძლიერ დაუსაბუთებლად ლაპარაკობდა, რაც, ჩემის აზრით, აიხსნება მით, რომ ის არ იცნობს ფაქტიურ მდგომარეობას, არც ცენტრში, და არც ადგილებზეო“.

მესამე ბრალდება: „მე მგონია, რომ ამხ. კახიანის გამოსვლა ვერ იყო სავსებით სერიოზულიო“.

აი ის სამი ბრალდება, რომლებსაც მიყენებს მე ამხ. ჯაფარიძე. ის ნაწყენია იმ შეფასებით, რომელიც მისცა ქალთა შორის მომუშავე განყოფილებას მომხსენებელმა ცეკას სახელით. მისი სიტყვით გამოდის, თითქოს ჩვენ პასუხს არ ვაგებთ განყოფილების მუშაობისათვის. მე არ მინდა იმის თქმა, რომ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების მუშაობაში ადგილი არა აქვს გაუმჯობესებას. გაუმჯობესება არის, მაგრამ, როდესაც დეფექტებს შევეხე, მე ვთქვი, რომ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების მუშაობა მოისუსტებს, და რომ საჭიროა მუშაობაში უფრო ძლიერ ჩავაბათ მუშა და გლეხი ქალები, მოჯამაგირე და ღარიბი ქალები. ამხ. ჯაფარიძეს საწყენად დაურჩა ის, რაც მე ვთქვი ფოქსტროტის მოცეკვავე ქალებზე. მაგრამ მე ხომ ბრალი არ დამიდევს ქალთა შორის მომუშავე განყოფილებისათვის, თითქოს ის ფოქსტროტს ცეკვავდეს. ფაქტიურად მე არაფერი ახალი არ მითქვამს. ჯერ კიდევ კომკავშირის ყრილობაზე ამხ. ბუხარინმა სთქვა:

„უცუდესი ტიპის ბურჟუაზიულ ნიმუშებისათვის მაიმუნური მიმბაძველობა (ფერ-უმარილიდან და ფოქსტროტებიდან სპეციფიურ ლიტერატურამდე) „ყოფა - ცხოვრების“ დარგში; ფაციფუცით და უთავბოლოდ მუშაობა; მედიდური უვიცობა, რომელიც იფარება დაზეპირებული შაბლონური ფრაზებით, ფრაზებით, რომლებიც, საუკეთესო ლოზუნგებსაც კი ფასს უკარგავს; სუსტად განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა; მასების მოთხოვნილებებისადმი ალღოს აღების უნარის სისუსტე — განა ყოველივე ამ წყლულებს კიდევ არა აქვს გადგმული ფესვი ჩვენს რიგებში? ეს კი ხელს უწყობს ჩვენს კლასობრივ მტერს, რომელმაც ზოგიერთი რამ შეისწავლა ჩვენი რევოლიუციის მსვლელობაში“.

გავაძლიეროთ ქალთა მასიური მუშაობა

რატომ შეიძლება ამისი თქმა კომკავშირის ყრილობაზე და არ შეიძლება ცეკას პლენუმზე?

ამხ. ჯაფარიძის გამოსვლას მე ვხსნი მით, რომ მას ვერ გაუგია თვითკრიტიკის ლოზუნგი, შემდეგ მით, რომ მან ვერ გაიგო ნათქვამი, არ შეეკითხა მომხსენებელს და თავისი სიტყვა გაუგებრობაზე ააგო.

მე ვფიქრობ, რომ ქალთა შორის მუშაობა გაძლიერებული უნდა იქნეს რომ ქალთა ორგანიზაციებში უფრო გადაჭრით უნდა იქნენ ჩაბმული ახალი კადრები. ცეკას ქალთა შორის მომუშავე განყოფილების მთელი მუშაობის განმავლობაში ჩვენ ვერ შევსძელით თბილისის ქალთა განყოფილების სათავეში დაგვეყენებია მუშა - ქალი. მაზრებშიაც ძლიერ ცოტა გვყავს დაწინაურებული მუშა და გლეხი ქალები. თუ ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ მით, რომ თბილისის ყველა რაიონებში მდივნებად მუშები სხედან და, რომ თბილისის კომიტეტის მდივანი — მუშაა, თუ კომკავშირის ორგანოებშიაც მუშებს ვაწინაურებთ, რატომ არ შეგვიძლია ასეთივე მოთხოვნილება წავუყენოთ ქალთა განყოფილებასაც. რატომ შეიძლება მამაკაცების დაწინაურება და ქალების კი არა. მე ვფიქრობ, რომ ქალთა შორის მუშაობაში საჭიროა მუშა - ქალების უფრო ძლიერ დაწინაურება. ამის მიღება საწყენად შეიძლება მხოლოდ აღელვების დროს.

პარტაპარატის რაციონალიზაცია

ეხლა ცეკას აპარატის შესახებ, ბევრმა ილაპარაკა ამაზე, მაგრამ საკმაოდ კი არა. საჭირო იყო უფრო ძლიერი კრიტიკა, შეიძლებოდა ბევრი ისეთი ფაქტების მოყვანა, რომლებიც ამტკიცებს საქმის არარაციონალურად დაყენებას. მაგალითად ხდება ხოლმე, რომ საორგანიზაციო განყოფილება სწერს ცირკულიარს, ხოლო მეორე დღეს ამ ცირკულიარს მისდევს სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების ცირკულიარი იმავე თემაზე, მხოლოდ სხვა ვარიაციით. გამოდის არევ-დარევა. ჩვენ ვმართავთ დაუსრულებელ მსჯელობას და ხელ-ახლა მსჯელობას. ამა თუ იმ თათბირის მიერ წამოყენებული რეზოლიუციები ჩვეულებრივად 15 წუთში იწერება, მაშინ, როდესაც ოცჯერ მაინცაა საჭირო ამ რეზოლიუციების გადასწორება, რომ ისინი უფრო გარკვეული გამოდიოდეს. საჭიროა შედარებით მეტი დრო მოხმარდეს რეზოლიუციის შედგენას, და ნაკლები ყოველგვარ სხდომებს. სხდომები, კოლეგიები, თათბირები და სხვა, — ჩვენ ზომაზე მეტი გვაქვს ამ საკითხის მოგვარება ჩვენ ვერ მოგვიხერხებია არა მარტო პარტმუშაობის დარგში, არამედ ჩვენი მუშაობის ყველა სხვა დარგებშიაც. ერთსა და იმავე საკითხზე ოცი სხდომა იმართება.

მე გავიგონე ერთი მოხდენილი ანეკდოტი, რომელიღაც სოფელში ვიღაც იაკინთეს ჩვეულებად ჰქონდა, რომ 12 საათზე ზარს დარეკდა და ხალხს შეჰყრიდა. გლეხები მოდიოდნენ და კითხულობდნენ — რაშია საქმეო. იაკინთე ეკითხებოდა მათ—ხომ არაფერს ჩივით, რა გესაჭიროებათ, ხომ არავინ გაწუხებთო. ასე იქცეოდა ის ერთხელ — ორჯერ —სამჯერ—ათჯერ—თერთმეტჯერ. უკანასკნელად, როდესაც მან შეჰყარა გლეხები და ჰკითხა მათ, რა გესაჭიროებათო, გლეხებმა უპასუხეს: „ყველაფერი რიგზეა, იაკინთე, მაგრამ ყველაზე უფრო შენ გვაბეზრებ თავს, ისე კი არაფერი არ გვესაჭიროებაო“. (სიცილი).

ხომ არ მოგვდის ჩვენ ზოგჯერ იაკინთესებური ისტორია, თუნდაც მაგალითად უკანასკნელი თესვის კამპანიის დროს, როდესაც ჩვენ ვფაციფუცობდით, ღამის 12 საათზე ვგზავნიდით ტელეფონოგრამებს მაზრებში, მოვითხოვდით ყოველგვარ ცნობებს, ბევრს დავპირდით გლეხებს და ცოტა კი შევუსრულეთ.

ამ ცოტა ხნის წინად ცეკაში განხილულ იქნა აპარატის რაციონალიზაციის საკითხი. გამოტანილ იქნა მთელი რიგი წინადადებები, დაისახა მუშაობის განსაზღვრული გეგმა. მხოლოდ საჭიროა, რომ ჩვენმა სამაზრო ორგანიზაციებმაც ამ გეგმის მიხედვით შეადგინონ თავისი გეგმები.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად დიდი ნაკლი — ნაკლი ცეკას დადგენილებათა შესრულების შემოწმების საქმეში. ჩვენ გამოგვაქვს დადგენილებები ამა თუ იმ საკითხებზე, გამოგვაქვს კარგი რეზოლიუციები, მაგრამ ეს რეზოლიუციები ქვედა საფეხურებამდე ვერ აღწევს.

ოზურგეთის მაზრაში, როდესაც სურების უჯრედის წევრებს ჰკითხეს, ცნობთ თუ არა ცეკას დადგენილებას ოზურგეთის ორგანიზაციის მუშაობის შესახებო, მათ ვერაფერი სთქვეს, ვინაიდან სურებში ამაზე არაფერი იცოდნენ.

ან მეორე მაგალითი: ამ ცოტა ხნის წინად მე ჭიათურაში ვიყავი. შევდივარ პარტიულ კომიტეტში და ვეკითხები მდივანს, — ტარდება თუ არა ცხოვრებაში ცეკას რეზოლიუცია, რომელიც მარტშია გამოტანილი. მდივანმა ცოტა უხერხულად იგრძნო თავი, მაგრამ სიმართლის თქმა ამჯობინა და მიპასუხა, რომ ამ რეზოლიუციის დამუშავებას ჯერ კიდევ არ შევდგომივართო. როგორ მოგწონთ ეს? მოდის დადგენილება, მდივანი მას კითხულობს და შემდეგ, როგორც სჩანს ინახავს შკაფში, თუ არის ეს შკაფი, თუ არა და— ჯიბეში იდებს. შედეგად გამოდის „დაკარგული ბარათი“. ასეთი წესი არაფრად არ ვარგა. რეზოლიუცია იმიტომ იწერება, რომ ის სათანადოდ უნდა იქნეს დამუშავებული და გატარდეს ცხოვრებაში. რა დემოკრატიაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ სამაზრო კომიტეტის მდივანი ცეკას დადგენილებას არ აცნობებს უჯრედს, პარტიულ მასას. ხომ არ შეუძლია ცენტრალურ კომიტეტს, რომ თავისი რეზოლიუციები პარტიის თვითეულ წევრს ცალკე მიაწოდოს. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები უნდა აღწევდნენ მასებამდე, ამ მასებთან ერთად პარტიულმა კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ სათანადო ღონისძიებები და შემდეგ კი წარმოადგინონ მოხსენება, თუ რა გაკეთდა ამ საკითხზე. აქ ორი აზრის არსებობა შეუძლებელია.

ვიმუშაოთ ბოლშევიკურად

დასასრულ—თვითკრიტიკის შესახებ. აქვს თუ არა ჩვენში ადგილი თვითკრიტიკას ქვევიდან, თუ ის მარტო ზევიდან მოდის. მე მგონია, რომ ჩვენში ეხლა იწყება თვითკრიტიკის ტალღა ქვევიდან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ისე ამოძრავდა, როგორც საჭიროა. უჯრედების ბიუროების გადარჩევის დროს თბილისის ორგანიზაციაში ეს თვითკრიტიკის ტალღა ქვევიდან საკმაოდ მკაფიოდ გამოჩნდა. მე გადმომცეს, რომ ბათომში, როდესაც ჩვენ ბრძოლა გამოვუცხადეთ კონტრაბანდისტურ იარას, ამოძრავდნენ ყველა ზედა საფეხურებშიაც და ქვევითაც. უნდა გავაფართოოთ, გავაღრმავოთ თვითკრიტიკა, უნდა გავავრცელოთ ის ყველა ჩვენს პარტორგანიზაციებში. ეს ყველგან შეიძლება გაკეთდეს, თუ საკმაო იქნება ბოლშევიკური სიმტკიცე და ინტერესი ამ საქმისადმი. უნდა შევიგნოთ, რომ თვითკრიტიკა დროებითი ლოზუნგი კი არ არის, რომელიც გამოგონილია მასების დასამშვიდებლად, არამედ მასიური მოქმედების მებრძოლი ლოზუნგი, რომელიც ცხოვრებაში უნდა ტარდებოდეს. თუ ჩვენ ასე დავიწყებთ მუშაობას, ბოლშევიკურად რევოლიუციონურად, დაუნდობელი თვითკრიტიკის საფუძველზე, ჩვენ შევსძლებთ დასახული მიზნების განხორციელებას.

მე ძლიერ მსურს მთელ პლენუმთან ერთად, რომ ჩვენ ყოველი ექვსი თვის შემდეგ აღარ გვჭირდებოდეს ლაპარაკი მხოლოდ დეფექტებზე, და მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ პლენუმზე ჩვენ ლაპარაკი გვექნება მიღწევებზე, ჩვენი საბჭოთა საქართველოს დაწინაურებაზე სოციალიზმის გზით. (ტაში).

როგორ უნდა გატარდეს საგზაო ბეგარა ა.-კავკასიაში

(ს.კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის რეზოლუცია)

მოისმინა რა მოხსენება საგზაო ბეგარის შესახებ ა.-კ. ს.ფ.ს.რ. რესპუბლიკაში, საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი აღნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევდენ საგზაო ბეგარის გატარებას და საგზაო ბეგარის იდეის პოპულიარიზაციას მშრომელი მასის ფართო ფენებში, სუსტია საორგანიზაციო ღონისძიებები (ა.-კ. ს.ფ.ს.რ. ბევრ მაზრაში არაა საგზაო სამეულები), ცენტრალური ორგანოები საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევენ ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს, მუშაობა არაა საკმაოდ ეფექტიანი და მოკლებულია გეგმიანობას, საგზაო მშენებლობა, რომელიც ბეგარის წესით სწარმოებს, არაა უზრუნველყოფილი საჭირო ტექნიკური ზედამხედველობით, საწარმოო იარაღებით და სხვა.

ყოველივე ზემო ნათქვამის გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ საგზაო ბეგარას უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიისათვის, საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიულ კომიტეტებს მაქსიმალური ყურადღება მიაქციონ საგზაო ბეგარის წარმატებით განვითარებას, რისთვისაც პრაქტიკულად აუცილებელია:

1. ფართო საეგიტაციო და ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარება მშრომელ მოსახლეობაში საგზაო ბეგარის მნიშვნელობაზე და ამ საკითხის შესახებ არსებულ კანონმდებლობაზე ჩვენს სინამდვილეში.

2. საჭიროა რესპუბლიკანურ და ამიერ-კავკასიის პრესამ ფართოდ გააშუქოს საგზაო ბეგარასთან დაკავშირებული საკითხები.

3. საგზაო მშენებლობისა და საგზაო ბეგარის მნიშვნელობის პოპულიარიზაციის მიზნით სოფლის სამკითხველოებში, კლუბებში, სოფლის ყრილობებზე, საბჭოებსა და აღმასკომებში უნდა მოეწყოს შესაფერი მოხსენებები და საუბრების კითხვა. ამ საქმეში ჩაბმულ უნდა იქნენ ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს საინჟინერო-ტექნიკური ძალები.

4. პარტიულმა კომიტეტებმა სისტემატიურად უნდა მოისმინონ ადგილობრივ ტრანსპორტების რესპუბლიკანური სამმართველოების, უბნების უფროსების და საგზაო სამეულების მოხსენებები საგზაო მშენებლობის მდგომარეობის და განსაკუთრებით საგზაო ბეგარის გატარების შედეგების შესახებ.

5. დამთავრდეს რესპუბლიკანურ და სამაზრო საგზაო სამეულების ჩამოყალიბება და დაევალოს მათ საგზაო შრომითი ბეგარის ორგანიზაცია და გატარება.

6. პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობის გეგმაში უნდა შეტანილ იქნას საგზაო მშენებლობისა და საგზაო ბეგარის შესწავლისა და გატარების საკითხები.

7. კომკავშირის ორგანიზაციები მაქსიმალურად უნდა ჩაებან საგზაო ბეგარის გასატარებლად წარმოებულ საეგიტაციო - განმარტებითი და პრაქტიკულ მუშაობაში.

8. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საგზაო ბეგარის გატარება შაბათობის მოწყობის სახით, რათა გეგმიანი საგზაო ბეგარა არ გადაიქცეს შემთხვევითი საზოგადო სამუშაოდ, აგრეთვე არ შეიძლება საგზაო ბეგარის ხარჯზე სხვა რაიმე საზოგადო-სახარჯებლო კამპანიის გატარება, გარდა საგზაო მშენებლობისა.

9. პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ საგზაო სამეულებს საგზაო ბეგარის მოწყობასა და გატარებაში. საკავშირო კომპარტიის (ბ) და ს.ლ.კ.კ. წევრებმა სამუშაოზე გასვლისა და მისი შესრულების მხრივ მაგალითი უნდა მისცენ მოსახლეობას საგზაო ბეგარის მოხდის საქმეში.

10. პარტიულმა ორგანიზაციებმა კონკურსის მოწყობით საუკეთესო საბჭოებზე, აღმასკომებზე, სამაზრო საგზაო სამეულებზე და პარტიულ და კომკავშირის უჯრედებზე საგზაო მშენებლობასა და საგზაო ბეგარის გატარებაში, განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშაობის ნაყოფიერების ზრდას, მუშაობაში გეგმიანობის შეტანას და საგზაო ბეგარის წესით წარმოებულ მუშაობის უზრუნველყოფას საჭირო ტექნიკური ზედამხედველობით და საწარმოო იარაღებით.

11. მუშაობაში დეფექტების აღმოფხვრის მიზნით, პარტიულმა კომიტეტებმა სისტემატიურად უნდა შეისწავლონ, აღრიცხონ და შეამოწმონ ადგილებზე შრომის ბეგარის წესით წარმოებული მუშაობა და შრომის ბეგარის გატარების პრაქტიკა.

12. საგზაო ბეგარის გატარების შედეგების განსახილველად, გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესადგენად და მთელი მუშაობების გამოსარკვევად საჭიროა სამაზრო აღმასკომებისა და ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოების წარმომადგენელთა თათბირების პერიოდულად მოწვევა, ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ადგილობრივ აღმასკომებს ეგზავნებოდეს ინსტრუქციები შრომის ბეგარის გატარების, პროგრამებისა და პროექტების შედგენის და მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე.

13. პარტიულმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ ზომები პარტიული გავლენის გასაძლიერებლად ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ორგანოებში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობის გასაღრმავებლად საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკთა შორის.

14. საგზაო მშენებლობის გაფართოებასთან დაკავშირებით, აუცილებელია პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება როგორც უპარტიოებიდან, ისე, განსაკუთრებით, კომუნისტებიდან საჭირო ტექნიკურ მუშაკებისა და კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლად და გადასამზადებლად (გზის ტექნიკოსების, მემანქანეების, კვალიფიციური მუშების და სხ. ახალი კადრის მომზადება).

15. საგზაო მშენებლობის წარმატებით განვითარებისა და საგზაო ბეგარის გატარების მიზნით, 1928-29 წ. ახალი ბიუჯეტის შედგენის დროს ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ გაითვალისწინოს შესაფერი საშუალებები ტექნიკური მუშაკებისა და კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლად და საჭირო მანქანებისა, მოწყობილობისა და სხვა სახის საწარმოო იარაღების შესაძენათ.

საქართველოს ცაკში

ამნისტიის შემფარდებელ კომისიის სხდომა

გუშინ, საღამოს 6 საათზე შესდგა საქართველოს ცაკთან არსებულ კერძო ამნისტიის შემფარდებელ კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა 26 საქმე. მათ შორის: შუამდგომლობა სასჯელის პატიების შესახებ ძმების ზაქიმ და ჰამიდ სოფიევებისა, რომლებსაც ბრალდება ბორჩალოს მაზრაში მოქ. ხალილოვის მოკვლა. ბრალდებულებს სასამართლოს მიერ მისჯილი აქვთ ათ-ათი წლით პატიმრობა.

კომისიამ დაადგინა: ძმ. სოფიევებზე ამნისტია არ იქნეს გავრცელებული და სასამართლოს დადგენილება დარჩეს ძალაში.

კომისიამ აგრეთვე უშედეგოთ დასტოვა მოქ. გეგეჭკორის, ვ. კანდელაკის და სხვ. შუამდგომლობა მათზე ამნისტიის გავრცელების შესახებ. აღნიშნულ პირთ ბრალდება რესტორან „სოციალიზმში“ მოქ. მეტრეველზე თავდასხმა, რისთვისაც მათ სასამართლოს მიერ მისჯილი აქვს ორ-ორი წლით პატიმრობა.

რუბენ ლებრომელს, რომელსაც ბრალდება სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ფულის გაფლანგვა, კომისიამ პატიმრობა შეუმცირა 2 წლამდე.

შემდეგ კომისიამ განიხილა 4 ხვანის— მცირეწლოვან გოშტელიანის და ონიანის და ძმებ ქურდიანების საქმე.

მათ ბრალდებათ დახმარების გაწევა აფანასიევისათვის, რომელმაც ქუთაისში გაძარცვის მიზნით ამოწყვიტა მესროპიანის ოჯახი; გოშტელიანს და ონიანს მისჯილი ჰქონდათ ექვს-ექვსი წლით დაპატიმრება, ხოლო ძმებ ქურდიანებს ათ-ათით.

კომისიამ მცირეწლოვან გოშტელიანს და ონიანს სასჯელი გაუნახევრა. ბრალდებულ ქურდიანების მიმართ განაჩენი დასტოვა უცვლელად.

კომისიამ აგრეთვე უშედეგოთ დასტოვა ჭიათურაში მცხოვრებ მიხეილ ბარათაშვილის და ლეჟავას შუამდგომლობა. მათ ბრალდებათ შრომის დაცვის კანონების დარღვევა, რისთვისაც თვითეულ მათგანს მისჯილი აქვს 500 მანეთი ჯარიმა. კომისიამ დადგენილებანი დასამტკიცებლად წარუდგინა ცაკის პრეზიდიუმს.

კოოპერაციის საპაიო კამპანია

მუშკოოპის მიტინგი - გამოძახება

მუშკოოპის მიტინგ-გამოძახების საერთო საქალაქო კრების ჩამტარებელი ცენტრალური საქალაქო კომისია აცხადებს ყველა უჯრედების ბიუროების, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების, კოოპერატიულ კომისიების, ეკონომკომისიების, ქალთა კომისიების და ახ. ლ. კ. კ. აქტივის საყურადღებოთ, რომ სამშაბათს, 19 ივნისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში შესდგება ამხ. მ. კახიანის მოხსენება კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ; კრება მოწვეულია საპაიო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით.

სამხედრო-სამოსწავლო ლაშქრობა

გუშინ, 16 ივნისს, დაიწყო თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო-სამოსწავლო ლაშქრობა.

ლაშქრობაში მონაწილე ახალგაზრდობამ საღამოს 5 საათზე მოიყარა თავი ა.-კ. ქვეითი სკოლის ეზოში. აქ მოლაშქრენი დაყოფილ იქნენ ათეულებად და ასეულებად. სულ შესდგა 3 ათასეული. შემდეგ მოლაშქრეებს დაურიგდა თოფები და სხვა საჭირო ნივთები. მოლაშქრეთა მთელი შემადგენლობა დაიყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილია „წითლები“, რომლებიც აწარმოებენ შეტევას, მეორე ნაწილია „ლურჯები“, რომლებმაც უნდა მოიგერიონ „წითლების“ თავდასხმა და იერიში.

ლაშქრობა იწარმოებს კოჯორ-წარკისის მიდამოებში.

ლაშქრობას ხელმძღვანელობს ა.-კ. ქვეითა სკოლის მეთაურთა შემადგენლობა. ლაშქრობის მთავარი ხელმძღვანელია სკოლის უფროსი ამხ. კლემენტიევი.

პოლიტიკური მუშაობის წარმოება ლაშქრობის დროს დავალებული აქვს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციას.

გუშინვე, საღამოს 7 საათზე მოლაშქრენი გავიდნენ თბილისიდან კოჯორის მიმართულებით.

ვის ჩამოერთვა სახლები

გაბაევს და ტატიკიანს (კოროლენკოს ქ. № 14), მირიანაშვილს (ვასილის შესახვევი № 7), მიხეილ რაბინოვიჩს (რეუტოვის და ანდრ. კუთხ. № 20—2), დაწელიას და გასპარიანს (კალინინის ქ. № 25), თავდგირიძეს (მე-2-ე თუმანოვის № 2), მელიქოვს (გრიბოედოვის №2), ეტმეჭიანცს და ამბარცუმიანს (გლდანის ქუჩა № 20), გიორგი ჩილინგაროვს (პლეხანოვის პროსპ. № 67), ვასილ ეგიაზაროვს (პლეხ. პრ. № 59), მორჩილაძეს და კერესელიძეს (გლდანის ქ. № 5), გოფაძეს (ფოთის ქ. № 22), ტაბუროვსკის (გლდანის ქუჩა № 7).

—:—

საჭირო შესწორება. გუშინდელ სიაში შეცდომით არის შეტანილი ვარდენ კაკაბაძე, რომელსაც საკუთარი სახლი არ აქვს და არც ჰქონია.

ქუთაისი

(ტელეფონით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

საგლეხო სესხის ტირაჟი

16 ივნისს სატირაჟო კომისიის სხდომას დაესწრო თემებიდან ჩამოსული დიდძალი გლეხობა და აგრეთვე წითელ - არმიელები. სხდომაზე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია შემდეგმა ფაქტმა: ქვიტირიდან ჩამოსულ გლეხთა ექსკურსიის ერთმა მონაწილემ კუჭუხიძემ მოიგო 50 მანეთი, რომელიც იქვე მიიღო (მოგება ხვდა ობლიგაციას № 201.816).

ორი დღის განმავლობაში გათამაშების ადგილზე შრომის შემნახველმა სალარომ გაყიდა სესხის 400 ობლიგაცია. მოთხოვნილება ობლიგაციებზე დიდია, მაგრამ შეუძლებელი ხდება მისი დაკმაყოფილება, რადგან ცენტრიდან გამოთხოვნილი დამატებითი ობლიგაციები ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

16 ივნისის საღამოს სხდომამდე გათამაშებულ იქნა 950 ორმოცდაათ მანეთიანი ობლიგაცია. 16 ივნისის საღამოს სხდომაზე დაიწყო ასმანეთიან მოგებათა გათამაშება. 17 ივნისს საღამოს გაიმართება სატირაჟო კომისიის საზეიმო სხდომა მაზრებიდან ჩამოსულ გლეხთა დელეგაციების, მუშა - მოსამსახურეთა და წითელარმიელთა მონაწილეობით. სხდომაზე გათამაშებული იქნება 500 და 1000 მანეთიანი მოგებანი, რის შემდეგ ტირაჟი დასრულდება.

მეაბრეშუმეობა მაზრაში

— ქუთაისის მაზრის სხვადასხვა რაიონებში აბრეშუმის ჭიის განვითარება მეხუთე ასაკამდე არ დაბრკოლებულა, მოსალოდნელი იყო პარკის დიდი მოსავალი. მაგრამ უკანასკნელი დღეების წვიმებმა ცუდი გავლენა იქონია ჭიის განვითარებაზე. ნოტიო და ცივი ამინდი ხელს უშლის ჭიის კვებას და აბრკოლებს მის ნორმალურ განვითარებას. თუ ამინდობა გაგრძელდა, აქა-იქ შემჩნეული დაავადება ჭიისა მასიურ ხასიათს მიიღებს.

— ქუთაისის საგრენაჟო სადგურის მართველთან ერთად თქვენმა თანამშრომელმა დაათვალიერა ქუთაისის ახლო მდებარე მეაბრეშუმეობის რაიონები (მაღლაკის თემი და სხვა). აბრეშუმის ჭია იშვიათად მოვლილია. თითოეული სოფელი დაყოფილია რაიონებად. რაიონებს მიჩენილი ჰყავთ ცალკე ინსტრუქტორები, რომლებიც რჩევა - დარიგებას აძლევენ გლეხებს და ხელმძღვანელობას უწევენ მათ ჭიის მოვლაში. გლეხები მეტად კმაყოფილი არიან ასეთი დახმარებით და მადლობას უცხადებენ ინსტრუქტორებს, რომლებსაც „ჭიის ექიმებს“ უწოდებენ. გლეხობა სჩივის მხოლოდ გამუდმებულ წვიმებზე, რომელიც ხელს უშლის ჭიის ნორმალურად განვითარებას. სულ რამდენიმე დღეზეა დამოკიდებული პარკის ბედი: თუ 3-4 დღეში ათბა, საშუალოზე უკეთესი მოსავალი უზრუნველყოფილია.

— წელს აბრეშუმის ტრესტს მაზრის ოთხ რაიონში დარიგებული ქონდა ინკუბაციის წესით (ხელოვნურად გამოყვანილი) ჭიები, რომლებიც სავსებით ნორმალურად ვითარდება და კარგ იმედებს იძლევა. გლეხობა ძლიერ დაინტერესდა ამგვარი წესით გამოყვანილმა ჭიებმა და მოითხოვს, რომ მათ მომავალში ასეთი ჭიები დაურიგონ. ინტერესი ინკუბაციით გამოყვანილ ჭიებისათვის იმდენად დიდია, რომ თუ აბრეშუმის ტრესტმა დროზე არ მიიღო შესაფერი ზომები, მომავალ წელში იგი ვერ შესძლებს გლეხობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ასეთ ჭიებზე.

— გლეხობისა და ინსტრუქტორების აზრიც ასეთი არის, რომ თუ რაიმემ ხელი არ შეუშალა, თითოეულ კოლოფ თესლიდან მიღებული იქნება ოთხი ფუთი პარკი, რაც შარშანდელ რაოდენობას აღემატება.

— წელს მეაბრეშუმეთა უმეტეს ნაწილს, თითქმის 70 პროცენტზე მეტს, ტრესტის მიერ ადგილობრივ დამზადებული თესლი ქონდა დამზადებული.

— აბრეშუმის პარკის მიღება ერთ კვირაში დაიწყება.

სამაზრო აღმასკომის პლენუმი

23 ივნისს დილის 10 საათზე შესდგება ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმი.

დამწვარ სახლების დაზღვევის ფული

სამაზრო აღმასკომმა სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ხანძრის დროს დამწვარ შენობების თანხა განაღდებულ იქნეს, როგორც ქალაქის, ისე კერძო შენობებისათვის.

სახელის გამოცვლა ქუჩებისათვის

სამაზრო აღმასკომის დადგენილებით პოლიტსამმართველოს არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად ძველი თბილისის ქუჩას ეწოდა ამხ. ძერჟინსკის სახელი, ხოლო მაქსიმ გორკის 35 წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად სოფლის ქუჩას ეწოდა მაქსიმ გორკის სახელი.

მორიგი გამარჯვება აღმშენებლობის ფრონტზე

ჰიდრო-ელსადგურის ამუშავება ახალქალაქში

ს.მ.უ.ს საელექტროფიკაციო განყოფილებაში ახალქალაქიდან მიღებულია დეპეშა, რომლითაც იტყობინებიან, რომ 15 ივნისს მოხდა ახალქალაქში ახლად დამთავრებული ჰიდრო-ელსადგურის საცდელი ამუშავება. სადგურში დადგმულია ლენინგრადის ქარხნებში დამზადებული ახალი ტურბო-გენერატორი, რომელიც მეორე დღეა უკვე მუშაობს.

ახალქალაქის ჰიდრო-ელსადგურის ხელახალი მოწყობა დაწყებულ იქნა გასული წლის აგვისტოში. უწინ იმავე ადგილას აგებული იყო 80 ძალიანი ჰიდრო-სადგური, რომელიც დაინგრა 1918 წელს. სადგურის მოწყობილობა ნაწილობრივ დაიტაცეს, ხოლო ნაწილობრივ დაამტვრიეს. გასულ წელს ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობით, სმუს. საელექტროფიკაციო განყოფილებამ ითავა სადგურის აღდგენა და მისი გაფართოება. სადგურში სულ დადგმული იქნა ორი 120 ცხ. ძალიანი ტურბინა. პირველი ტურბინის დადგმა უკვე დამთავრდა და იგი ამჟამად მუშაობს. მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში დადგმული იქნება მეორე ტურბინაც.

ელექტრო-სადგური სინათლეს მიაწოდებს ქალ. ახალქალაქს და მახლობელ სოფლებს. სადგურის ხელახალი აღდგენა სულ დაჯდება 50.000 მანეთამდე.

სადგურის გამოსაცდელათ და მისაღებათ გამოყოფილია სპეციალისტთა კომისია.

ა.-კავკასიის სას.-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომსაბჭომ დაამტკიცა ა.-კ. სახკომსაბჭოს კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის ძირითად დებულებათა შესახებ.

დებულების მიხედვით, „ამიერ-კავკასიის სოფლის კავშირი“ („ზაკსელსოიუზ“) მიზნად ისახავს: ამიერ-კავკასიის სას.-სამ. კოოპერაციის იდეურ-ორგანიზაციული, სამეურნეო და გეგმიანი ხელმძღვანელობის განხორციელებას, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სას.-სამ. კოოპერატ. ორგანიზაციების გაერთიანებას, რათა გაერთიანებული ძალღონით და შეთანხმებული მუშაობით უზრუნველყოფილი იქნას მათი განვითარება და განმტკიცება; მათის საშუალებით სამიწათმოქმედო კულტურათა გაუმჯობესებულ ზომების ჩატარებას; სას.-მეურნეობის პროდუქტების დამზადებას, გადამუშავებას და გასაღებას; სოფლის მეურნეობის მომარაგებას საწარმოო საშუალებებით და სხვა ისეთ ღონისძიებათა ჩატარებას, რომლებიც მიმართული იქნება სასოფლო მეურნეობის განვითარება-აყვავებისაკენ.

ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის ცენტრმა უნდა ითავოს ა.-კ. სას.-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენლობა უმაღლეს ორგანოების წინაშე, უნდა დაიცვას სას.-სამ. კოოპერაციის უფლებრივი ინტერესები და გაბას კავშირი მოკავშირე რესპუბლიკების კოოპერატიულ ორგანიზაციებთან; უნდა აწარმოოს საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციები საქონლით, რომელიც დანიშნულია სასოფლო მეურნეობისათვის და თვით სასოფლო მეურნეობის პროდუქციით. ხელი უნდა შეუწყოს თავის წევრებს ინდუსტრიალურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა მოწყობაში და სხვ.

„ა.-კ. სოფლის კავშირი“-ს დამაარსებლები არიან საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სას.-სამ. კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრები.

ახალი ცენტრის მატერიალური ბაზის ძირითადი წყარო იქნება გრძელვადიანი სესხი, რომელიც „ა.-კ. სოფლის კავშირს“ მიეცემა 250-300 ათასი მანეთის რაოდენობით, დამაარსებელთა საპაიო გადასახადი და იმ ორგანიზაციათა ძირითადი თანხები, რომელთა ფუნქციებიც გადაეცემა „ა.-კ. სოფლის კავშირს“ მაგ. (ზაკსელმაში).

„ა.-კ. სოფლის კავშირის“ მოსაწყობად გამოყოფილი იქნება საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში უნდა შეიმუშაოს „ა.-კ. სოფლის კავშირის“ წესდება, და განსაზღვროს, თუ რა ფუნქციები უნდა დაევალოს მას.

მთელი მუშაობა „ა.-კ. სოფლის კავშირის“-ს მოსაწყობათ უნდა სწარმოებდეს იმ ვარაუდით, რომ ორგანიზაციამ მუშაობა დაიწყოს 1 ოქტომბრისათვის.

ღონისძიებები მეცხვარეობის განსავითარებლად საქართველოში

საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭო საქართველოს მეცხვარეობას აკუთვნებს საკავშირო მნიშვნელობას. ამის გამო საქართველოში მეცხვარეობის განსავითარებლად შრომისა და თავდაცვის საბჭომ შეიმუშავა ცალკე გეგმა, რომლის მიხედვით საქ. მიწად-მოქ. კომისარიატი ამჟამად აწარმოებს სათანადო მუშაობას.

საქართველოში ითვლება ორი მილიონი სული ცხვარი, რომელიც იძლევა 200.000 ფუთ მატყლს.

ადგილობრივი ჯიშის ცხვარი მეტად ამტანია და მაგარი აგებულობის, რაც საუკეთესო პირობას წარმოადგენს მათი (ჯიშის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით უკვე დაწყებულია ცდები ადგილობრივი ცხვრების ჯიშის გასაუმჯობესებლად სახალხო მამულ „უდაბნო-ში“, სადაც არის თუშური ჯიშის 7.000 ცხვარი და ამის მესამედი მერინოსის ჯიშის ცხვრებია.

გარდა ამისა, მიწსახკომის ზოოტექნიკურ სადგურს მოწყობილი აქვს საცდელი ფერმა, სადაც სწარმოებს ადგილობრივ ცხვრების ჯიშის გაუმჯობესება ინგლისურ საუკეთესო ჯიშის ცხვრებთან შეჯვარებით. ადგილობრივ ჯიშების გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტის სასწავლო მეურნეობის მამულში დაარსებულია საცდელი პუნქტი, რომელიც მოწყობილია განსვენებულ დოცენტ ჯ. იოსელიანის თაოსნობით. ამ პუნქტში მესამე წელიწადია, რაც სწარმოებს მეცნიერული ცდები და დაკვირვებები ადგილობრივ ცხვრების ჯიშის გასაუმჯობესებლად.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად საქ. მიწად - მოქ. სახ. კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს კიდევ უფრო გააძლიეროს ადგილობრივ ცხვრების ჯიშის გაუმჯობესების საქმე და მოაწყოს ახალი საცდელი პუნქტები ცალკე მეცხვარე გლეხების ცხვრების ჯიშის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით მიმდინარე წელს განზრახულია გადადებული იქნეს 86.000 მანეთი. გარდა ამისა უცხოეთში საუკეთესო ჯიშის სანაშენე ცხვრების შესაძენად, შესაფერი მუშაობის დაუბრკოლებლად საწარმოებლად და მეცხვარეობის კოლექტიურ საფუძვლებზე ჩამოსაყალიბებლად გამოთხოვილია 245.070 მან.

გარდა ამისა, განზრახულია მომავალ წლიდან ზოოტექნიკურ ცენტრალური სადგურის მუშაობის გასაფართოებლად გადაიდოს 23.000 მან.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აგრეთვე მეცხვარეობის ინსტრუქტორ - სპეციალისტების მომზადების და საძოვრების მოწესრიგების საქმეს.

სასოფლო-მეურნეობის საკრედიტო გეგმა

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო ბანკის მესამე კვარტალის საკრედიტო გეგმა დამტკიცებული იქნა 3.451.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან 2.186.000 მანეთი გადარიცხულია გრძელვადიან, ხოლო 1.265.000 მან. მოკლე ვადიან სესხში.

ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკს დაევალა მიმდინარე სამეურნეო წელიწადში გასცეს კრედიტები შემდეგ კულტურებზე: ბამბა — 11.000 დესეტინა, კუნჟუტი — 5.500 დესეტინა, კანაფი — 1,260 დეს. ბრინჯი — 5.000 დესეტინა, აფხაზეთის თამბაქო — 8.000 დეს. თამბაქოსათვის გარდა აფხაზეთისა კრედიტები უნდა მიეცეს მეთამბაქოეებს საქართველოს სხვადასხვა მაზრებში — 1.500 დესეტინის ანგარიშით, სომხეთში — 400 დესეტინაზე და აზერბეიჯანში — 400 დესეტინაზე.

ზემოხსენებულ კულტურათა თითოეულ დესეტინაზე ავანსი გაცემული იქნება: თამბაქოზე აფხაზეთში — 270 მან., დანარჩენ მაზრებში — 180 მანეთი; ბამბაზე — 50 მან., კუნჟუტზე — 27 მან., კანაფზე — 100 მან. და ბრინჯზე 50 მან.

რესპუბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცა თვალყური ადევნონ, რომ ავანსების გაცემის დროს მტკიცედ იქნეს დაცული ავანსების ნორმები.

ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო ბანკს წინადადება მიეცა 10 ივლისისთვის ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოს წარუდგინოს მოხსენება, თუ რამდენით არის შესრულებული წლიური საკრედიტო გეგმა სამი კვარტალის განმავლობაში.

რესპუბლიკანურმა სას.-სამ. ბანკებმა ა.-კ. სას. - სამეურნეო ბანკს უნდა აცნობონ თავისი მოთხოვნილებები მეოთხე კვარტალში საშემოდგომო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით აუცილებელ საჭირო კრედიტების შესახებ.

განათლების სახალხო კომისარიატში

საჯარო ბიბლიოთეკა

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ამხ. მარიამ თარხნიშვილის მოხსენება საჯარო ბიბლიოთეკის შენობის აგების შესახებ. კოლეგიამ პრინციპიალურად მიზანშეწონილად სცნო საჯარო ბიბლიოთეკისათვის ცალკე შენობის აგება და დაადგინა ამ საკითხის განსახილველად მოიწვიოს სპეციალური სხდომა, რომელსაც განათლების კომისარიატის პასუხისმგებელ მუშაკებს გარდა, დაესწრებიან ინჟინრები: სევერიოვი, კალაშნიკოვი, კალგუ კალგინი, (სამხატვრო აკადემიიდან), მხატვარი დავით კაკაბაძე და საჯარო ბიბლიოთეკების დირექტორი პროფ. გეხტმანი.

საექსკურსიო - ტურისტული საქმე

შემდეგ კოლეგიამ მოისმინა ამხ. იმედაძის მოხსენება საქართველოში საექსკურსიო-ტურისტულ საქმის მდგომარეობის შესახებ. კოლეგიამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა საქართველოში საექსკურსიო - ტურისტულ საქმის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხების მოსაგვარებლად დაარსებული იქნას მთავრობის განსაკუთრებული კომისია.

რადიოფიკაცია

საქართველოს რადიოფიკაციის შესახებ ამხ. იმედაძის მოხსენების შემდეგ კოლეგიამ დაადგინა დაევალოს პოლიტგანათლების მთავარ მმართველობას რადიოფიკაციის საქმის განსავითარებლად თბილისში მოაწყოს რადიო-მუშაკთა მოსამზადებელი კურსები.

კურსების გასახსნელად განათლების სახალხო კომისარიატმა გადასდო 2.200 მანეთი.

კოლეგიამ აგრეთვე დაადგინა წინადადება მიეცეს სახელგამს, რადიო - სადგურების მუშაკებისათვის და რადიო - წრეებისათვის გამოსცეს რადიო - საქმის სახელმძღვანელო.

კოლეგიის დადგენილებითვე მომავალ სასწავლო წლიდან სკოლებში შემოღებული იქნება რადიო - საათები.

დასასრულ, კოლეგიამ ამხ. ზაუტაშვილს დაავალა ორი კვირის განმავლობაში გამოარკვიოს სკოლების შენობების მდგომარეობა და შეიმუშაოს მათი შეკეთების გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

ექსკურსიები

დღეს, 17 ივნისს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების სალექციო-საექსკურსიო ბიურო აწყობს მთელ რიგ ჯგუფურ ექსკურსიებს თბილისის გარეთ. ჯგუფურ ექსკურსიებში მონაწილეობას მიიღებენ ცალ-ცალკე კავშირები.

ფეიქართა კავშირის წევრები რიცხვით 20 კაცი მიემგზავრება კოჯორში, სადაც დაათვალიერებს დასასვენებელ სახლებს. ბორჯომის წყლის სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი რიცხვით 45 კაცი მიემგზავრებიან ზაჰესში. ხეზე მომუშავეთა კავშირის წევრები რიცხვით 45 კაცი მიემგზავრებიან ავჭალის წყალსადენის დასათვალიერებლად. შინა მრეწველ ხელოსანთა საზოგადოების თანამშრომლები რიცხვით 50 კაცი მიემგზავრება ზაჰესში. ზაჰესში მიემგზავრებიან აგრეთვე მიწა-ტყის მუშაკთა (80 კაცი) და ტყავზე მომუშავეთა კავშირების წევრები (40 კაცი). გემო-კვების მუშაკთა კავშირის წევრები რიცხვით 45 კაცი მიემგზავრება კოჯორში.

ამრიგად, დღევანდელ ჯგუფურ ექსკურსიებში მონაწილეობას მიიღებს 350 კაცი.

გარდა ამისა, კულტგანყოფილების თაოსნობით, დღეს მცხეთაში ეწყობა პროფკავშირების წევრთა მასიური ექსკურსია. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 600 კაცი. შესაკრებ პუნქტად დანიშნულია სადგური — დილის 9 საათზე. ექსკურსანტები თბილისიდან გაემგზავრებიან სპეციალური მატარებლით. მგზავრობა ეღირება 60 კაპ.

ჭადრაკი

ა.-კავკასიის მოჭადრაკეთა 1-ლი ჩემპიონატი

ამიერ კავკასიის ფიზკულტურის 1-ლი დღესასწაულის პარალელურად თბილისში ჩატარებული იქნება ა.-კ. მოჭადრაკეთა და მოშაშეთა პირველი ჩემპიონატი. ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს ამიერ კავკასიის 15 საუკეთესო მოჭადრაკე და რ.ს.ფ.ს.რ.-იდან სპეციალურად მოწვეული მაესტრო-ილინ-ჟენევსკი (კონკურსის გარეშე). ჩემპიონატში მონაწილე მოჭადრაკეთა შორის 8 კაცი საკავშირო 1-ლი კატეგორიის მოთამაშეა. ხოლო ორი კაცი მაესტროა.

ცალ-ცალკე რესპუბლიკების მიხედვით ადგილები შემდეგნაირად არის განაწილებული: საქართველოდან და აზერბეიჯანიდან ჩემპიონატში მონაწილეობას იღებს ექვს-ექვსი კაცი. სომხეთიდან კი სამი.

ჩემპიონატის გახსნა და წილის ყრა მოხდება ოთხშაბათს, 20 ივნისს, საღამოს 5 საათზე. მოჭადრაკენი გაეცნობიან ჩემპიონატის ჩატარების წესრიგს, რის შემდეგ შესდგება პირველი ტური. თამაში იწარმოებს ყოველ დღე დილითა და საღამოთი. ჩემპიონატის მეშვიდე დღე გამოცხადებულია დასასვენებელ დღეთ. დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება მოხდება დილ-დილობით ჩემპიონატის მიმდინარეობის დღეებში.

საშაშო ჩემპიონატის პროგრამაც იგივეა, მხოლოდ მცირეოდენი განსხვავებით. საშაშო ჩემპიონატში აზერბეიჯანიდან მონაწილეობას მიიღებს 4 კაცი, საქართველოდან და სომხეთიდან კი სამ-სამი კაცი. საშაშო ჩემპიონატი გაიხსნება ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაულის დაწყებასთან ერთად — 23 ივნისს, საღამოს 5 საათზე.

საჭადრაკო და საშაშო ჩემპიონატში გამარჯვებულები მიიღებენ ამიერ-კავკასიის ჩემპიონის სახელწოდებას 1928 წლისათვის. იმ შემთხვევაში, თუ საჭადრაკო ჩემპიონატში გამარჯვებული არ აღმოჩნდება მაესტრო, მაშინ ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს საჭადრაკო-საშაშო სექცია აღძრავს შუამდგომლობას სათანადო ორგანოების წინაშე, რათა გამარჯვებულს მიეცეს მაესტროს სახელწოდება.

არჩეულია სატურნირო კომიტეტი პეტრაკოვსკის თავმჯდომარეობით. კომიტეტში შედიან: ამხ. გეინე, სამუშა, გრიგოლია, ერისთავი, მკრტუმოვი და წარმომადგენლები აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან. მსაჯთა კოლეგიაში შედიან: სმოროდსკი (მთავარი მსაჯი), ვ. მაკაგონოვი და პეტრაკოვსკი.

ა.-კ. მოჭადრაკეთა 1-ლ ჩემპიონატში საქართველოდან მონაწილეობას მიიღებენ: მაესტრო სმოროდსკი, ვ. გოგლიძე, ტალვიკი, სიროკინი, ებრალიძე და ოიგანი. კანდიდატებათ: მირზოევი და კასპარიანი.

აზერბეიჯანიდან მონაწილეობას მიიღებენ: მაესტრო ვ. მაკაგონოვი, მ. მაკაგონოვი, აბრამიანცი, გურევიჩი, ბადაი და რასტოვცევი. კანდიდატათ იმენიტოვი. სომხეთიდან ჯერ ცნობები არაა მიღებული.

საშაშო ჩემპიონატში საქართველოდან მონაწილეობას მიიღებენ: აგამალიანი, სემერნინი და ხოდოვსკი. კანდიდატათ: დრონოვი. აზერბეიჯანიდან: შებედევი, მკრტუმოვი, როზენბლატი და კარნარსკი. სომხეთიდან ჯერ ცნობები არაა მიღებული.

ვ. გოგლიძე.

ქრონიკა

გლეხების მოწყობა ახალ მიწებზე

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა სოფ. პატარა კლდეისში მცხოვრები გლეხები, რომლებიც განიცდიან მიწის სივიწროვეს და ამავე დროს საფრთხე მოელით სტიქიურ უბედურებისაგან, გადაასახლოს სხვა შედარებით კარგ ადგილებში. აღმასკომმა აგრეთვე დაადგინა ახალ მიწებზე დასახლების მსურველ გლეხებს გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება. გარდა ამისა თვითეულ ოჯახს დახმარების სახით მიეცემა ას-ასი მანეთი.

მიწსახკომის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა რათა აღნიშნულ სოფლის გლეხებს მაზრის ფარგლებში გამოუნახოს და მოუწყოს სამოსახლო მიწები. მასვე ეთხოვა გლეხებს უფასოთ მიაწოდოს საჭირო ხე-ტყის მასალა სახლების ასაგებათ.

გლეხკომების მეორე ყრილობა

16 ივნისს გლეხთა ცენტრალური სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს გლეხკომების მეორე ყრილობა. ყრილობაზე დასასწრებლად მაზრებიდან ჩამოსულია 100-ზე მეტი დელეგატი და სამაზრო გლეხკომების წარმომადგენლები.

მოკლე შესავალი სიტყვით ყრილობა გახსნა გლეხკომების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ და ცაკთან არსებულ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ ამხ. ქ. ხომერიკმა.

ამხ. ხომერიკის სიტყვის შემდეგ ყრილობამ აირჩია საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმი. საქმიანი პრეზიდიუმი არჩეულია 15 კაცის შემადგენლობით. დღის წესრიგის მიღებისა და სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ ყრილობის პირველი სხდომა დაიხურა.

ყრილობა საქმიან მუშაობას დაიწყებს დღეს დილიდან.

სააფთიაქო სამმართველოს და სახმედვაჭრობის გაერთიანება

წამლეულობის დამზადების საქმის გასაადვილებლად და ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირების მიზნით თბილისის აღმასკომმა დაადგინა გააერთიანოს საფთიაქო სამმართველო და სახმედვაჭრობა. ამ გაერთიანებულ ორგანიზაციების ძირითადი თანხა იქნება 1 მილიონი მანეთი, რომლის 20 პროცენტს გაიღებს აღმასკომი.

აღნიშნულ ორგანიზაციების გაერთიანება განზრახულია 1 ივლისისათვის.

ელექტრო აღმშენებლობის გამოკვლევა

საქართველოში ახალი ელექტრო აღმშენებლობის გამოსაკვლევათ და საელექტროფიკაციო სამუშაოების დამთავრებასთან დაკავშირებით მრეწველობის განვითარების პერსპექტივების შესასწავლათ, თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ფინსახკომის წარმომადგენელი ინჟ. ა. რასკატოვი.

დღეს ინჟ. ა. რასკატოვი და ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე მიემგზავრებიან დასავლეთ საქართველოში ჰიდრო-ელსადგურების საამშენებლო სამუშაოთა დასათვალიერებლად და გამოსაკვლევად. პირველ რიგში გამოკვლეული იქნება აბაშის ჰიდრო ელსადგური, შემდეგ რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოები და აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოები.

გამოკვლევის მიზანია გამორკვევა იმისა, თუ რამდენი დაიხარჯა ამა თუ იმ სამუშაოებზე, ან რა ღირებულების სამუშაოებია კიდევ შესასრულებელი.

ღუმელების გაწმენდის ახალი ნიხრი

თბილისის აღმასკომმა დაამტკიცა ახალი ნიხრი ღუმელების გასაწმენდათ. ამ ნიხრის მიხედვით ამიერიდან დაწესებულია ღუმელების გასაწმენდათ კერძო პირთათვის 1 ღუმელზე 3 მან. 50 კაპ., ზევით 3 მანეთი ყოველ თვითეულ ღუმელზე.

სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციები ერთ ღუმელზე იხდიან 3 მ., ამის ზევით ყოველ თვითეულ ღუმელზე—2 მანეთს და 50 კაპ.

სახელგამის გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი: 1) გოლიკოვი და მაზროვი—შეკრებათაშორისო მუშაობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, 36 გვ., ფასი—20 კაპ.; ფ. შილლერი—დონ-კარლოსი, თარგმანი ს. შანშიაშვილის, გვ. 168, ფასი 1 მან.; მ. გორკი—ჩემი უნივერსიტეტები, გვ. 200, ფასი—1 მან. 20 კაპ.

დოლი

დღეს, 17 ივნისს, იპოდრომზე (დიდუბეში) გაიმართება დოლი, რომელსაც აწყობს კავკასიის ცხენოსანთა ბრიგადის ცხენთაშენი. დოლში აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახ. ცხენთაშენის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის საუკეთესო ცხენები.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტელეფონი.** თბილისის აღმასკომმა დაადგინა გაიყვანოს ტელეფონის ხაზი მარტყოფსა და ნორიოში.

◆ **ბოტანიკური ბაღი.** თბილისის აღმასკომი შეუდგა ბოტანიკური ბაღის ფარგლების გაფართოებას სპარსელების სასაფლაოს მიმართულებით.

◆ **სასოფლო-სამეურნეო ბანკის** ძირითადი თანხის გასაძლიერებლად აღმასკომმა გადასდო 35.000 მ.

◆ **ფიზიკური მეთოდებით სამკურნალო ინსტიტუტი.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადაწყვიტა შეაკეთოს ფიზიკურ მეთოდებით სამკურნალო ინსტიტუტი, რის გამო ინსტიტუტი დაიხურება 1 ივნისიდან ერთი თვით.

◆ **დიღომის არხის** დასაცავად და გასადვარიოთებლად აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისია.

◆ **ხის ნაწარმის ქარხნის დირექტორად** აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისია.

◆ **ხის ნაწარმის ქარხნის დირექტორად** აღმასკომმა დანიშნა ტრამვაის მუშა ამხ. მინასიანი.

◆ **ცირკი.** საგეგმო კომისიას დაევალა შეადგინოს ცირკის გადაკეთებისა და ხელახლა მოწყობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

◆ **დახმარება საექიმო პუნქტს.** ალგეთის თემის საექიმო პუნქტის საჭიროებისათვის აღმასკომმა გადასდო 500 მანეთი.

მიწსახკომში

◆ **ჯიშიანი ცხვრები.** მიწსახკომი ამ დღეებში გერმანიიდან მიიღებს 500 ჯიშიან ცხვარს.

◆ **ბრძოლა კალიასთან.** კალიასთან საბრძოლველად დიღომის, ყარაიას, საგარეჯოს და გაჩიანის არხის რაიონებში გაიგზავნა ახალი რაზმები.

◆ **მიწის კოდექსი.** მიწსახკომთან დაარსდა ცალკე კომისია, რომელსაც დავალებული აქვს საქ. მიწის კოდექსის გადასინჯვა.

◆ **ლექცია.** დღეს, საღამოს 6 ს. გლეხთა ცენტრ. სახლში მიწსახკომის აგრონომები წაიკითხავენ ლექციას: „ღონისძიებები სოფლის მეურნეობაში მოსავლის გასადიდებლად“.

სხვადასხვა

◆ **მასიური ექსკურსია.** დღეს თბილისიდან მცხეთაში მიემგზავრება მუშა-მოსამსახურეთა მასიური ექსკურსია.

◆ **საექსკურსიო ბაზები.** პოლიტგანათლების მთავარ მმართველობამ 15 ივნისიდან საექსკურსიო ბაზები გახსნა ფასანაურში, ყაზბეგში, ქუთაისში, ბათომში და სხ.

◆ **თათბირი მებამბეობის შესახებ** 25 ივნისს თბილისში შესდგება ამიერ-კავკასიის თათბირი მებამბეობის შესახებ.

◆ **გზატკეცილის შეკეთება.** ამიერ-კავკასიის გზათა სამმართველო შეუდგა საქართველოს სამხედრო გზის შეკეთებას.

◆ **ჩაის ქარხნებისათვის.** საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-მ უცხოეთიდან მიიღო 150.000 მანეთის მანქანა-იარაღები.

◆ **გამოფენა.** ოთხშაბათს 20 ივნისს მეორე შრომის სკოლაში გაიხსნება ქალაქის სასკოლო გამოფენა. გამოფენას აწყობს თბილისის განათლების განყოფილება.

◆ **თათბირის გადადება.** გასამხედროების შესახებ უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც დანიშნული იყო 18 ივნისისათვის, შესდგება შაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით. სასწავლებლებში გასამხედროების შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ამხ. იმედაძე.

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში სასამ. აღმასრულებლის სიხარულიძის განცხადებაში —მოქ. ნიკოლეიშვილის მოძრ. ქონების საჯ. ვაჭრობით გაყიდვის შესახებ. გამოტოვებულია, რომ ვაჭრობა დაიწყება დღის—2 საათ..

სასამართლო

როგორ ითბობდა ხელს გლეხკომის თავმჯდომარე

ბევრი გაკვირვებული დარჩა, როცა ნაქალაქარის თემის გლეხკომის თავმჯდომარედ კოტე გიორგისძე წიკლაური აირჩიეს. მაგრამ ამ გარემოებას ხსნიდენ მით, რომ მისი ნათესავი დავით წიკლაური გავლენით სარგებლობდა ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის, როგორც საბჭოს წევრი და მისი გულის მოსაგებად ვერ გაშავეს დავითის ნათესავის კანდიდატურა.

— საბჭოსთან შეთანხმებულად ვიმოქმედებთ გლეხობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად,—ასეთი იყო უკანასკნელი დაპირება კოტე წიკლაურისა კრების დასასრულს.

მართლაც არ უღალატნია ამ დაპირებისათვის კოტეს, მხოლოდ ერთი შესწორებით. საბჭოსთან შეთანხმების მაგიერ, კოტე თავის ნაბიჯს უთანხმებდა საბჭოს წევრს დავით წიკლაურს, რომელთანაც ისედაც დაახლოვებული იყო, როგორც ახლობელი ნათესავი.

პირველი დიდი წამოწყება, რომლის ინიციატივას ვერ წაართმევთ ნაქალაქარის ახლად არჩეულ გლეხკომის თავმჯდომარეს კოტე წიკლაურს, ეს იყო გლეხკომის განკარგულებაში არსებულ წისქვილის შეკეთება ქვემო ნაქალაქარში.

გამოცხადდა, რომ გლეხკომი იჯარით გასცემს წისქვილის შეკეთებას. მოიჯარადრეებს დიდი ძებნა არ დასჭირდათ. ერთმანეთს ეჯიბრებოდენ—არა მე ავიღებ და არა მე:

— ორას მანეთად შევაკეთებთ წისქვილს ისე, რომ ახალს სჯობნიდეს,—ურიგდებიან ჩამოსული ხელოსნები გლეხკომის თავმჯდომარეს.

— მე ორასსაც არ დაგიჯდენ, ოღონდ სხვას ნუ მისცემ,—დაემუშტრა ადგილობრივი მცხოვრები გიორგი აფციაური.

კოტეს არც ერთი მოიჯარადრე არ დაუჯდა თვალში. არც ერთი პირობები არ სცნო ხელსაყრელად. მას შინაური კაცი უნდა, რომელსაც ენდობა და რომელიც მას არ უღალატებს.

კოტეს უნდა ისეთი კაცი მონახოს, რომელიც მასაც ასარგებლებს.

გამოიწერა გლეხკომის თავმჯდომარემ სანდო მოიჯარადრე მეზობელ სოფლიდან. მასთან პურ-მარილი აკავშირებდა კოტეს და ამიტომ შეიძლებოდა მასზე „დანდობა“.

წისქვილის შეკეთება, რისთვისაც 200 მანეთზე ნაკლებს ითხოვდენ სხვა მოიჯარადრეები, კოტე წიკლაურმა 400 მანეთად მისცა იჯარით „თავის კაცს“ ალექსი ზურაბიშვილს. რასაკვირველია, შინაურული პირობის თანახმად 400 მანეთიდან ნახევარი გლეხკომის თავმჯდომარემ ჩაიჯიბა.

ეხლა მეორე მაგალითი გლეხკომის თავმჯდომარის მოღვაწეობიდან.

ერთმა ქვრივმა—თამარა აფციაურმა უკიდურესი გაჭირვების გამო თავისი სახლი ალექსი აფციაურს მიჰყიდა.

კოტეს ამ სახლზე დიდი ხნიდან თვალი რჩებოდა. როცა გაიგო ეს ამბავი, დაიბარა ქვრივი და საბჭოს წევრის (ე. ი. მისი ნათესავის და მარჯვენა ხელის) დავით წიკლაურის თანადასწრებით ასეთი ულტიმატუმი წარუდგინა.

— ეხლავე უარი უთხარი აფციაურს, თორემ სახლს ჩამოგართმევთ გლეხკომის საჭიროებისათვის! როგორ გაბედე ჩემს დაუკითხავად სახლის გაყიდვა!

ქალმა პასუხიც ვერ მოახერხა. აღუთქვა, რომ წავიდოდა და გააფრთხილებდა მყიდველს ამის შესახებ. წიკლაურებმა წასვლა არ დააცალეს ქალს. ჩაჰკეტეს ოთახში, დაიწერეს ხელწერილი, ვითომ თამრომ დიდი ხნით ადრე კოტეს მიჰყიდა ეს სახლი და ფულიც სრულად აქვს მიღებული.

წიკლაურებმა 30 მანეთი ძალით ჩაუდეს ჯიბეში ქალს და გამოისტუმრეს.

მეორე დღეს გლეხკომის თავმჯდომარე კოტე წიკლაური და საბჭოს წევრი დავით წიკლაური, შეიარაღებულნი ეწვიენ აფციაურის ქალს, დაშალეს სახლი და გადმოზიდეს კოტეს ეზოში.

ასეთი იყო გლეხკომის თავმჯდომარის და საბჭოს წევრის მოღვაწეობა.

კოტე და დავით წიკლაურები დააპატიმრეს. საქმე გადაეცა თბილისის სამაზრო სასამართლოს.

—:—

არ არის საბჭოს წევრობის ღირსი

ღამის სამი საათია. ორი მოქალაქე მოდრიალებს ქუჩაში. ერთმანეთს ეჯიბრებიან ვინ უფრო მაღლა აწევს ხმას.

მეეზოვე ნიშნად პროტესტისა მაგრად დაუსტვენს.

— რას უსტვენ შენი...—მთვრალმა მოქ. გიორგი ალ. ვაჩნაძემ ისე ჩაარტყა მეეზოვეს, რომ სასტვენი პირიდან გამოუვარდა.

— არ შეიძლება ყვირილი, რა საკადრისია ცემა!

— იცი თუ არა მე ვინა ვარ?—ვაჩნაძეს ჯიბისკენ მიაქვს ხელი.

— არ ვიცი, ამხანაგო! იქნება დიდი კაცი ხართ, მაგრამ წესრიგს რომ არღვევთ, სულ ერთია ვინც არ უნდა იყოთ.

მეეზოვემ აპატივა გალახვა და გაუშვა მთვრალები თავისუფლად.

ვაჩნაძე კიდევ არ ეშვება მეეზოვეს და უსათუოდ უნდა მანდატი გაუსინჯოს.

ამ დროს ჩამოიარა ცარიელმა ეტლმა. ვაჩნაძის ამხანაგმა სერგო სტრუჩალინმა ისკუპა ეტლში, მას მიჰყვა ვაჩნაძეც.

— აბა გასწი!

ვერსად ვერ გავსწევ. სახლში მივდივარ, მთელი დღე და ღამე ცხენები არ მომისვენებია, — უპასუხებს მეეტლე.

მთვრალებმა ბევრი აღარ დააცალეს მეეტლეს, გადმოითრიეს და ცხვირით გაუშვეს ქვაფენილზე. სცემეს, სანამ არ მობეზრდათ. მეეტლეს გამოექომაგა მოქალაქე.

ვაჩნაძემ იუკადრისა ეს ამბავი. მოახტა თვითონ ეტლს და უნდა გააქანოს. შეიძრნენ მოგუშაგე მილიციელები. არის ფსტვენა და ერთი დავიდარაბა.

— ამხანაგებო, წამობრძანდით კომისარიატში.

— რაო? ვის აქვს ჩემი დაპატიმრების უფლება? იცით ვინა ვარ?

— ვინც არ უნდა იყოთ, სულერთია.

მე საბჭოს წევრი ვარ! ეხლავე მოგხსნით სამსახურიდან. ხელი არავინ მახლოს, თორემ ვაი მისი ბრალი.

ვაჩნაძის მხრივ ეს პირველი არ არის.

როგორც იქნა მიიყვანეს კომისარიატამდე მთვრალი ძმა-ბიჭები.

სასამართლომ სერგო პავლეს-ძე სტრუჩალინს (ვაჩნაძის ამხანაგს) მიუსაჯა 6 კვირით თავისუფლების აღკვეთა. ხოლო გიორგი ვაჩნაძეს — თავისუფლების აღკვეთა 3 თვით. სასამართლომ დაადგინა აგრეთვე ეცნობოს ქალაქის საბჭოს ვაჩნაძის ულირსო საქციელის შესახებ, რომელიც სცემს საბჭოს წევრის სახელს.

ბერ.

შემთხვევები

ბოროტმოქმედება სოფ. ლამისყანის კომუნაში

სოფ. ლამისყანაში (გორის მაზრა) არსებულ ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის კომუნის ყოფილმა მოლარემ და კომუნის წევრმა გიორგი სიმონისძე ხახუტაშვილმა გაფლანგა 2.000 მანეთი და მიიმალა.

გამოირკვა, რომ ხახუტაშვილი ჩამოსულა თბილისში და კაზინოსა და რესტორანების ხშირი სტუმარია.

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა ხახუტაშვილი დააპატიმრეს და გაგზავნეს გორში.

გაჩხრეკისას მას აღმოაჩნდა 96 მანეთი, ხოლო 900 მანეთი ქობულეთში—ხახუტაშვილის ნათესავის ოჯახში იპოვეს საბანში ჩაკერებული.

ჯიბგირების დაპატიმრება

ამ რამოდენიმე ხნის წინად ვიღაც ჯიბგირებმა მოქ. ლუკა გოგრიჭიანს ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვადასხვა ჩეკები. ჯიბგირები დააპატიმრეს. ისინი აღმოჩნდნენ: გურგენ პეტრესძე ალთუნიანცი, ვართან აკოფის ძე ვართანოვი, კარაპეტ დანიელისძე მალხაზიანცი, ალექსანდრე ივანესძე ჯაბადარი. ავეტის ოგანესისძე ბრუტიანი და გარეგინ აკოფისძე პატკიანცი.

უბედური შემთხვევა

გუშინწინ, საღამოს, ლენინის ქუჩა (№ 3) მდებარე აუზში ბანაობის დროს დაიხრჩო ტრამვაის სამმართველოს შოფერი ვლადიმერ მახარობლიშვილი (მცხოვ. პლეხანოვის პროსპექტი № 174).

დაჭრა

გუშინწინ, ნაშუადღევს, პისარევის ქუჩაზე (სახლი № 17 პირდაპირ) მიშა ზაქარაძემ და კოკორდია დიმიტრისძე ნადირაძემ დანით მძიმედ დასჭრეს მუცელში ასლან ვარლამისძე ნიკოლაიშვილი. ორივე ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია, ნიკოლაიშვილს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა არჩილ იაკობისძე მამაცაშვილი, დავით ილიასძე სამადაშვილი და რომან გრიგოლისძე გვარამაძე.

მამაცაშვილი თბილისში სცხოვრობდა ბედიაშვილის გვარით. დაკითხვის შემდეგ, როცა საპატიმრო საკანში შეჰყავდათ, მამაცაშვილმა განიზრახა მიმალვა, მაგრამ ვერ მოახერხა.

ს. ს. მილიციის ცნობით, ხსენებულ პირებს აქვთ ქურდობისა და ჯიბგირობის რამოდენიმე რეგისტრაცია.

ბიბლიოგრაფია

გრ. ორბელიანი, ლექსები. ვ. კოტეტიშვილის რედაქციით [illegible] ლით. გამომცემლობა „ქართული წიგნი“, 1928 წ.

ამხანაგობა „ქართული წიგნი“-ს გამოცემებში მთავარი ადგილი ჩვენს ეგრედ წოდებულ კლასიკოსებს უკავია. მათ შორის აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის სრული თხზულებების გამოცემა და უკანასკნელად გამოცემული გრ. ორბელიანის ლექსები.

ილიას ნაწერების სრული კრებულის გამოცემა საჭიროდ მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ ილიას ნაწერების უკომენტარიოთ გამოცემა დღევანდელ მომენტში დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. „ქართული წიგნი“ კი ამ შემთხვევაში მხოლოდ ბიბლიოგრაფიული შენიშვნებით დაკმაყოფილდა და ისე გამოუშვა ჭავჭავაძის ნაწერების სრული კრებული, რომ მისთვის არა თუ ნაწარმოებთა დაწვრილებითი განხილვა არ დაურთავს, ილიას მოკლე ბიოგრაფიაც კი არ არის მოცემული.

თუ ილიას ნაწერების გამოცემის უდიდესი ნაკლია ის, რომ მას არ აქვს დართული შესაფერი განხილვა, სამაგიეროდ ამხანაგობისაგან გამოცემული წიგნები, რომელსაც ასეთი „განხილვა“ ან კრიტიკული წერილები ახლავს, სრულიად ამახინჯებს მასში მოთავსებული მასალის შინაარსს და მკითხველი შეცდომაში შეჰყავს.

ასეთი გამოცემის ნიმუშია გრიგოლ ორბელიანის ლექსები. ეს კრებული გამოცემულია ვახ. კოტეტიშვილის რედაქციით და მას წამძღვარებული აქვს მისივე კრიტიკული წერილი.

გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვის დროს მონოგრაფიის ავტორის მთავარი ამოცანა უნდა ყოფილიყო მისი ისეთი გაშუქება, რომ გადაერჩინა მკითხველი დასახელებულ მწერლის მსოფლმხედველობის ან პოეზიის შესახებ დღევანდლამდე გამეფებულ ყალბ შეხედულების უკრიტიკოთ მიღებისაგან. უამისოდ გაუმართლებელია გრ. ორბელიანის მსგავსი მწერლების ქართული წიგნის ბაზარზე გამოტანა.

კოტეტიშვილის მიერ ორბელიანის შემოქმედების კრიტიკული განხილვა კი იმის ნიმუშია, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს კრიტიკული განხილვა.

კითხულობთ კოტეტიშვილის წერილს და თქვენ ვერ გაგირკვევიათ—ეს სერიოზული კრიტიკაა, სუფრაზე წარმოთქმული სადღეგრძელო, თუ მწერლის საიუბილეო ზეიმზე ნათქვამი სიტყვა.

მოქ. კოტეტიშვილი ჩვენი რომანტიკოსების (და არის მარტო რომანტიკოსების) კრიტიკას დროს თვითონ რომანტიკოსს გავს, ვიდრე კრიტიკოსს. კოტეტიშვილს მოსწონს გრ. ორბელიანის „ლოთიანის პირით ამეტყველება“, რომელშიაც მისი სიტყვით „არის ბუნებრივი ანაკრეონტობა და რაღაც ლამაზი პირველყოფილობა“ (ხაზი ჩემია. ა. ბ—ძე).

მეტის-მეტად [illegible] რომანტიკოსს კოტეტიშვილს სჯერა გ. ორბელიანის სალი პატრიოტობა და რუსეთის გზით შემოსულ ცივილიზაციის შიში.

მისი თქმით, ორბელიანს „ქალაქში შემოჰქონდა ტაბახმელის ჯეჯილების სურნელება და კოჯრის, ანუ აზეულას ნიავი. იგი ვაჟას ნაიალაღარ ხარივით რქებით მიწას ბღვნიდა და დუდუნებდა: „სამშობლო მიცოცხლეო“. მაგრამ თითქოს ხედავდა, რომ ცივილიზაცია საფრთხეს უმზადებდა „ბუმბერაზ მთებს“.

თვითოეული კლასი და ჯგუფი იბრძვის იმ მიზნით, რომ მან დაიჭიროს საზოგადოებაში მისი შესაფერი ადგილი და ამ ბრძოლის წარმატების მიხედვით იცვლება მწერლის განწყობილებაც. რუსეთთან შეერთების პირველ პერიოდში ქართველმა ფეოდალებმა ვერ დაიჭირეს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი საპატიო ადგილები, რომლებიც მანამდე ეჭირათ. ეს იყო ერთი მთავარი მიზეზთაგანი, რომელმაც 1832 წ. შეთქმულება გამოიწვია. მაშინდელ თავად-აზნაურობის მიზანი იყო ფეოდალური საქართველოს აღდგენა, ძველი უფლებების დასაბრუნებლად.

გრ. ორბელიანიც ამიტომ ლაპარაკობს:

„მაღლი ვეღარ იხილავს,
ირაკლის ხმალსა მოელვარეს;
დიდება ივერიისა,
მასთან მარხია სამარეს“. (სადღეგრძელო).

ამ ლექსში ირაკლის საქართველოსთან ერთად პოეტი დაკარგულ ფეოდალების დიდებას დასტირის, და არ შეიძლება ამის მიხედვით ის თავდადებულ პატრიოტად გამოვაცხადოთ. საკმარისია გრ. ორბელიანმა ახალ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც საპატიო ადგილი დაიჭიროს, რომ ის სხვაგვარ ჰანგზე ამღერდეს.

აი, რა სტრიქონებს უძღვნის ის „სადღეგრძელო“-ში მეფე ნიკოლოზ პირველს:

„... გული ივერთა
გვაქვს მხურვალედ მზათა,
შენდა შესახებ შესაწირავად

. . . . .

ძველი ივერია,
შენი ივერია,

. . . . .

განათლებული,
განახლებული.
ფენიქსებრ იწყებს აღმაფრენასა“.

ამ ლექსში უკვე „სამშობლო მიცოცხლეოზე“ უფრო „ნიკოლოზ პირველი მიცოცხლეო“ გამოსჭვივის.

მთავარ ისტორიულ და სოციალურ მოვლენებს, რომელთანაც დაკავშირებულია გრ. ორბელიანის შემოქმედების განვითარების ძირითადი მომენტები, ავტორი თითქმის არ ეხება. ის გაკვრით იხსენიებს 1832 წლის შეთქმულებას, მაგრამ არ აფასებს მას.

ქართველი თავად-აზნაურობა ან ჩვენი ფეოდალები, თვით არჩილ ჯორჯაძის სიტყვით, ფეხქვეშ ეგებოდენ მთავრობას, რადგანაც ძველი სამთავროების მფლობელნი უხვად დაჯილდოვებულნი იყვნენ და ახალ ხელისუფლებაში მეტი გამორჩენა ნახეს. ეს თავადაზნაურობა და მისი წარმომადგენელი ორბელიანი—კოტეტიშვილს ნაციონალურ იდეებისათვის მებრძოლ გმირებად ჰყავს დასახული.

რა იყო სინამდვილეში გრ. ორბელიანის ცხოვრება?

რუსეთის ბიუროკრატიის ერთგული სამსახური თავის საკუთარი კარიერის მოსაწყობლად, რომელიც იმით დასრულდა, რომ იგი მართლაც იერარქიული კიბის სათავეებამდე აიყვანა.

ამას ამტკიცებს ნიკოლოზ 1 სადღეგრძელოს ავტორის როგორც მოქმედება, ისე ლექსები და კერძო წერილები, რომლებშიაც, თვით კოტეტიშვილის თქმის არ იყოს, ორბელიანი უფრო გულწრფელია. მისი კრიტიკოსი კი, გატაცებული ყალბი ქართული პატრიოტიზმით, ორბელიანის პიროვნების ამაღლების მიზნით განგებ აზვიადებს პოეტის პიროვნების გაორებას და არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებასთან მის „შეურიგებლობას“, რომელიც მკაფიოთ არსად არც მის მოქმედებაში და არც ლექსებში არ გამოხატულა. ეს შეურიგებლობა, რომელიც შეიძლებოდა მხოლოდ მომენტები ყოფილიყო პოეტის ცხოვრებაში კოტეტიშვილს ორბელიანის აზროვნებისა და მოღვაწეობის მთავარ თვისებათ აქვს დასახული.

ორბელიანის პიროვნებისა და პოეზიის მნიშვნელობის ამაღლების სურვილი კოტეტიშვილს იმდენად ათამამებს, რომ მის ლექსებში და მოქმედებაში პოეტი დემოკრატობას (sic!) ხედავს.

ორბელიანის მოქმედებაში კოტეტიშვილს დემოკრატობათ მიაჩნია ის, რომ 1865 წ., ე. ი. „თბილისის ბუნტის“ დროს მეფის მოადგილე პოეტი „მამაშვილური“ საუბრით შეეცადა ხალხის დამშვიდებას და იგი „არაჩვეულებრივად აღელვა“ ერთი კინტოს სამართლიანმა პასუხმა.

ორბელიანის დემოკრატობას კრიტიკოსი კი დევ „ლოთიანებზე“ ლექსების წერის და საერთოდ ლოთიანების სიყვარულში ხედავს. ეს სრული გაუგებრობაა, რადგან ორბელიანს ლოთიანები სრულიადაც არ უყვარდა, როგორც გარკვეული სოციალური ფენის წარმომადგენლები, არამედ მას, ლხინის, დროსტარების მოყვარე პოეტს, მხოლოდ ლოთიანე სადღეგრძელო-ახსნილ გართობა-ქეიფის და ამიკობის ფორმები უყვარდა.

ყველაზე უფრო კურიოზული კოტეტიშვილის წერილში ის არის, რომ გ. ორბელიანის დემოკრატობის და მისი [illegible] რევოლიუციონერობის მთავარ საბუთად „მუშა ბოქულაძე“ მიაჩნია და ამბობს: ეს იყო დიდი ნიშანი არისტოკრატიის თავის დადებისა ბოქულაძეების წინაშე, რომელთაც ეკუთვნოდათ ისტორიის შემდგომი ეტაპი“-ო. (ხაზი ჩემია ა. ბ—ძე).

რას ამბობს მართლაც ამ ლექსში კოტეტიშვილისაგან გადემოკრატებული ორბელიანი?

ის ბოქულაძის პირით ამტკიცებს, რომ მუშა დიდკაცების ტოლი არ არის, („მე რა მათი ტოლი ვარ?—ეს არის დემოკრატობა), რომ ის ბატონის მონად არის გაჩენილი („შენთვისა ვარ დაბადებით მსახურად“), რომ მუშა მუდამ სხვის მონად დარჩება („და ვერ ვხედავ მომავალში ნუგეშსა“). ლექსში უბრალო პროტესტის ნიშანიც არ არის და ბოქულაძე თავს იმითი ინუგეშებს, რომ ის დიდ-კაცებთან „საქეიფოში“ გათანასწორდება.

შრომის სკოლის მოწაფეც კი მიხვდება, რომ აქ არისტოკრატის თავის დადების ნიშანი კი არ არის ბოქულაძეების წინაშე, არამედ ბოქულაძეების მონური თავის დადების ქადაგება არისტოკრატიის წინაშე.

ასე ყალბად არის გარკვეული გრ. ორბელიანის შემოქმედების იდეოლოგიური მხარე, მაგრამ კოტეტიშვილი არც ამით კმაყოფილდება და სრულიად უსაფუძვლოდ აზვიადებს გრ. ორბელიანის ზოგიერთ რიტორიკულ და არამხატვრული ფორმებით დაწერილ ლექსების ლიტერატურულ-მხატვრულ მნიშვნელობას.

სანიმუშოთ ავიღოთ თუნდაც პოემა „სადღეგრძელო“.

შინაარსით ეს ნაწარმოები ძველი ქართველი ფეოდალების და წმინდანების გაღმერთებაა, ფორმით კი მშრალი რიტორიკა, ერთიორი ადგილის გამოკლებით.

როგორ აფასებს ამ უბრალო ლიტერატურულ დოკუმენტად ქცეულ და თანამედროვე მკითხველისათვის არაფრის მეტყველ რომანტიკას კოტეტიშვილი?

აი რას ამბობს:

„ამ ნაწარმოებში („სადღეგრძელო“-ში) ჩვენი ისტორიის ძალუმი ხელის მოხვევაა. მთელი ჩვენი წარსულის ხარბათ შესუნთქვა“, (ხაზი ჩემია. ა. ბ—ძე).

ირაკლის ხმალი, ვახტანგის მუზარადი, თამარის გვირგვინი—აი რა ყოფილა თურმე მთელი ჩვენი წარსული და მათი ქება, მათი გაღმერთება, მათი ღვაწლის აღნიშვნა—მთელი ჩვენი ისტორიის ძალუმი ხელის მოხვევა (sic!).

დამეთანხმება მკითხველი, რომ ამაზე უფრო პრიმიტიული ფორმა ისტორიის გაგებისა აღარ არსებობს.

„გრიგოლ ორბელიანი დიდი პათოსის ოსტატია..—ამბობს კოტეტიშვილი,—.. მან („სადღეგრძელო“-ში) რაღაც მითოლოგიური ქვეყნის ხელშეხება გაგვაგრძნობინა“.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ კოტეტიშვილის წერილიც „რაღაც მითოლოგიური ქვეყნის ხელშეხებაა გარომანტიკოსებულ კრიტიკოსის მიერ და არა საღი, მეცნიერული კრიტიკა.

კრიტიკოსი.

რადიო-გადაცემა

კვირა, 17 ივნისი

დღეს, 17 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო - სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

დილით: რა უნდა იცოდეს დაზღვეულმა—სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მოხსენება.
სასოფლო - სამეურნეო გადასახადი 1928—29 წელში — მოხსენება ქართულ ენაზე.
საგლეხო რადიო - გაზეთი — ქართულ ენაზე.
ახალგაზრდობა და რელიგია — მოხსენება სომხურ ენაზე.
კონცერტი — სომხურ ენაზე.
საღამოთი: პიონერების გაზეთი — რუსულ ენაზე.
რადიო-კვანძის რადიო გაზეთი — რუსულ ენაზე.
საუბარი აგრონომიაზე — ქართულ ენაზე.
სიფილისის გავრცელება — მოხსენება ქართულ ენაზე.
კოლმეურნეობის მშენებლობის ამოცანები —მოხსენება რუსულ ენაზე.
საერთაშორისო მდგომარეობა — მოხს. რუსულ ენაზე.
ტექნიკური კონსულტაცია.
საფოსტო ყუთი.
საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები — რუსულ და ქართულ ენებზე.
კონცერტის ტრანსლიაცია.
მოხსენების შუა — მუსიკალური ნომრები.

ორშაბათი, 18 ივნისი

სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობანი და კოლექტიური მეურნეობანი — მოხსენება ქართულ ენაზე.
მალარია — საუბარი ქართულ ენაზე.
კომკავშირის რადიო გაზეთი — რუსულ ენაზე.
ვენერიული ავადმყოფობანი — მოხს. სომხურ ენაზე.
კულტურული რევოლიუციის ამოცანები— მოხს. სომხურ ენაზე.
კომკავშირი კულტურული რევოლიუციისათვის ბრძოლაში და ახალი თაობის აღზრდა — მოხსენება თურქულ ენაზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა - ხელზე

ხვალ, 18 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ნატალია სიროევა, იოსებ ოსიკმაშვილი, პელაგია ელბაქიძე, გიორგი ზარიძე, მარიამ არაქელოვა და სოფიო გოგელაშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ეკატერინე კერესელიძე, ტერეზა პრიტკოვსკაია, ანნა ბელიაევსკაია, სოფიო ზლოტნიკოვა, ელენე ივანოვა, ევგენია ერნ, პეტრე კეირიკაშვილი, ოლღა ზაიცევა—კუზლოვკინა, არკადი სუკიასიანი და სვიმონ კალანდაძე.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ახკერ - ასან-ოღლი.

რკინის გზელთა მეშვიდე სექციიდან: ეკატერინე ბონდარენკო.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 18 ივნისს, დილის 11 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სააგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში ამხ. ს. მამულიას კაბინეტში შესდგება კომისიის სხდომა უმაღლესი სასწავლებლების საკითხების განსახილველად.

სხდომაზე მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: გ. ყურულაშვილი, ს. მამულია, ასრიბეკოვი, დ. კანდელაკი, მ. თარხნიშვილი, მ. ტოროშელიძე, სალუქვაძე, გეგენავა (პროლ. სტუდ.), ზახაროვი, ნ. ჯულელი, მიქაძე, და სამიხვალოვი.

—:—

დღეს, 17 ივნისს, დილის 10 საათზე პლეხანოვის სახ. კლუბში გაიხსნება ლენინის რაიონის საშეფო საზოგადოების მე-4 კონფერენცია.

დღის წესრიგშია: მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება (მომხ. ამხ. ძამანაშვილი). ლენრაისაბჭოს მოხსენება (მომხ. ამხ. მეფარიანი). რაიონულ საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

კონფერენციაზე მოწვეულია ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ა. წ. 19 ივნისს, საღამოს სრულ 5 საათზე საკონფლიქტო კომისიაში.

მიხეილ არუთინოვი, გიორგი მახარობლიძე, ლევან არჩუაძე, მიხეილ საავშვილი, ალექსანდრე ნაჭყებია, ვარლამ ათ. თოდუა, ალექსანდრა ფილიპეს ასული ფირცხალავა, შაქრო ყვირილაშვილი, მიხეილ კუზნეცოვი, მიხეილ ჯანიაშვილი, მიხეილ პავლეს-ძე ჩხაიძე და ლ. მირზოევა.

—:—

თბ. ინდუსტრიალური ტექნიკუმის 10 წლის თავის საიუბილეო კომისიის სხდომა დანიშნულია ორშაბათს 18 ივნისს, დილის 9 საათზე, საქართ. ცაკ-ის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში.

სავალდებულოა დაესწრონ აღნიშნულ კომისიის ქვემოდ დასახელებული წევრები: შ. ელიავა, ლ. ქართველიშვილი, მ. კახიანი, დ. კანდელაკი, მარიამ თარხნიშვილი, გ. ყურულაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ვ. ავაქოვი, ქ. მეგრელიძე, ვ. ბოჩოლევი, ვ. ბოლქვაძე, ა. მიქაძე, მ. ტოროშელიძე, ნ. მუსხელიშვილი, ლ. სუხიშვილი, ქ. ქაცარავა, დ. ცხაკაია, ს. ლილოიტი, ვ. ზაუტაშვილი, ინჟ. კაკაბაძე, შ. ჩხაიძე, ს. ხარიაძისა, დ. ალანია, ლევაშოვი, ე. კვანტალიანი, ნ. იოსიფაშვილი, ინჟ. კაცრტაძე და ძამანაშვილი.

ვერა ერნესტის ასული გეგეჭკორისა შვილით ლიონიათი, რძლით თინათი და შვილისშვილით საშურკათი გულითად მადლობას უძღვნის ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოთ და დაწესებულებათ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ნაცნობ-მეგობრებს და ყველა მოქალაქეთ, ვინც პატივი სცა ძვირფასი და დაუვიწყარის

ალექსი (საშა) ალექსანდრეს-ძის გეგეჭკორის

ხსოვნას 2763

დამწუხრებულნი მშობლები: მიხეილი და ოლღა, ბებია ანა, შვილები: მარიამი, გიორგი, ნათესავები: ალექსი, თამარი, სოფიო სულხანიშვილები აუწყებენ ნაცნობებს, რომ 15 ივნისს უდროოდ გარდაიცვალა

ნინო მიხეილის ასული სულხანიშვილი

დაკრძალვა კვირას, 1 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან (ვანქის, № 15) 2759

შვილები: ერმილო, ნიკო, ივლიანე და კონსტანტინე გიორგის-ძე ჩიმაკაძეები, ძმა სიმონ გაიოზის-ძე ჩიხლაძე, რძლები: ანასტასია ამბაკოს ასული, ეკატერინე ერისტოს ასული, ეკატერინე სიმონის ასული ჩიმაკაძეები და ელისაბედ სიმონის ასული ჩიხლაძისა, შვილისშვილები: ცორქიკა, მარო, შუშანიკა, ბიჭიკო, ვახტანგი, ცისანა და გულსუნდა ჩიმაკაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 15 ივნისს ს. მათხოჯში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეფროსინე გაიოზის ასული ჩიმაკაძისა

დასაფლავება ს. მათხოჯში სამშაბათს, 19 ივნისს. (ე)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სანდრო, შვილი მაყვალა, დედამთილ-მამამთილი—მოსე და კესარია, მაზლები—ვლასი და პარმენ მეგრელიშვილები ცოლშვილით და სიძე —სეფე ბერძენიშვილი ცოლშვილით, აუწყებენ საზოგადოებას, რომ 16 ივნისს გარდაიცვალა დუშეთის საბავშვო სახლის მასწავლებელი

ქეთო მასიკოს ასული მეგრელიშვილისა

დასაფლავება 19 ივნისს დ. ჩოხატაურში. ნ. (დ)

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი მარო და შვილი დათიკო ზაქარეიშვილები, სიდედრი ივლიტე ობოლაძისა, დაი ნატალია ვაჩეიშვილისა აუწყებენ ნათესავთ დ მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ვანო ელიზბარის-ძე ზაქარეიშვილი

დაკრძალვა 17 ივნისს, 3 საათზე კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება—პარკოვის ქ. № 21 2757

თავზარდაცემული დედა ნინო და მამა ექიმი დავით ანტონის-ძე და ბაბუსია ფალავა, ბებიები დესპინე ფარსადანოვისა და ქრისტინე ფალავასი აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ მათთვის უძვირფასეს

პატარა გიას

უდროოდ დაკარგვას. სამოქ. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. გამოსვენება კვირას, 17 ივნისს, დღის 12 საათზე, (პლეხანოვის გამზირი № 183). 2753

ღრმად დამწუხრებულნი დედ-მამა ეპრასია და პავლე, ბაბუა ლუარსაბი, ბებია ანუსია და ბიძები: ალექსანდრე და იოსებ ღოთვაძენი, მამიდები: ივლიტა ჭიჭინაძისა და თეოფილინა რეხვიაშვილისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 14 ამა ივნისს რაჭაში, სოფ. ბარში გარდაიცვალა თბილისის სამეურნეო ტეხნიკუმის უკანასკნელი კურსის მოწაფე უძვირფასესი და უსაყვარლესი

გრიშა პავლეს-ძე ღოთვაძე

დაკრძალვა ს. ბარში 17 ივნისს. 2750

ორშაბათიდან 18 ივნისიდან

არფასტო კინო თეატრებში **სოლეი**

ქუინჯი და კუტუზოვი მხატვრულ დრამაში

კვანძი

=

მხატვრული დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან

დახურული ფურგონი

სახელმწიფო კინოები		
განთიადი (ნაძალადევში)	მხატვრული სურათი „მიწა ტყვეობაში“	მიწა ტყვეობაში
საზაფხულო ეთერი	გ. ბენუას რომანის მიხედვით კენიგსმარკ	კვანძი
მინიონი	არაჩვეულებრივი ფილმი	წარმატების გამო სურათი მიდის მეორე კვირა
აპოლო	დიადი გზა	
საზაფხულო დარბაზი	კარმენ ბონი და ვ. სლეზაკ სურათში მშვიდობით ახალგაზრდობავ	დადგმის მეორე კვირა
საზაფხულო პალასი	მხატვრული სურათი ბედნიერების ძიებაში	მეჩეთის თაღებ ქვეშ
სოლეი	საიდუმლოებათა კუნძული 5 და 6 სერია	დახურული ფურგონი
ოდეონი	უკანასკნელი დღე. ორი პროგრამა 1. სისხლი და ქვიშა 2. ივეტა	
პროლეტარი ავლაბარი	საიდუმლოებათა კუნძული 1 და 2 სერია ერთად	3 და 4 სერია

0—15

მალე

კინო-თეატრ პალასში

ამერიკული ტრიუკებიანი კინო-რომანი 6 სერიათ

СОРВИ ГОЛОВА

ჩარლზ ჩატჩისონის (სურათი სპიდის გმირი) მონაწილეობ.

ნ. 1277

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ნაწილებით ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ 2—15

მედსანშრომის მუშაკთა საზაფხულო ბაღი (ყოფ. სტელა)

დღეს, 17 ივნისს,

სიმფონიური კონცერტი

სახ. არტისტის მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით მსახიობ ქალის ა. ა. ნარიმანოვა-ლუცენკოს მონაწილეობით. შესრულებულ იქნება გრიგის ნაწარმოებნი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის

სამშაბათს, 19 ივნისს, კონცერტი მუშათა ახალ კლუბში (ყოფ. სტელა). ნ. 1274

ორშაბათიდან 18 ივნისიდან

კინო-თეატრებში

აპოლო-მინიონი

დადგმის მეორე კვირა

არაჩვეულებრივი ფილმი

„დიადი გზა“

ესფირ შუბის ნამუშევარი.

ნ. 1277

კერძო ფირმების მიერ გამოშვებულ მდარე ღირსების გაზიან (შუშხუნა) ღვინოსთან საბრძოლველად, მსხვილ მომხმარებელ

კოოპერატივების მოთხოვნით

„საქართველოს ღვინო“-მ

გამოუშვა შუშხუნა (игристое) ღვინო **ანკარა** დამზადებული ბაღდადის რაიონის საუკეთესო ხარისხის ღვინოებიდან.

ანკარა განირჩევა თავის მშვენიერი გემოთი, სურნელებით და სიაფით.

ფასი 1—10 კაპ. იყიდება „მუშკოოპი“-ს, „ზაკტპო“-ს და „ზაკვოენპო“-ს ყველა მაღაზიებში. პროვინციელ კოოპერატივებმა დაკვეთა გამოგზავნონ უშუალოდ თბილისში, გოგოლის ქ. № 63; მათ საქონელი გაეგზავნებათ 15 პროც. დათმობით.

ნ. 1275. „საქართველოს ღვინო“

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. რკ. გზ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1928 წელს 22 ივნისს დილის 10 საათიდან

თბ. სალიკვიდაციო საწყობში

(გორის ქუჩა № 34)

საუქციონო ვაჭრობით გაიყიდება

ა.-კ. რკ. გზ. სხვად სხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთი და ბარგი ს.ს.რ.კ. რკინის გზის წესდების 94 მუხლის თანახმად:

1) პირველ ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო წარმოება—დაწესებულებანი და კოოპერატიული ორგანიზაციები.

2) იმ შემთხვევაში თუ პირველი ვაჭრობა არ შესდგება ა ყველა ტვირთი არ გაიყიდება, მეორე ვაჭრობა შესდგება 1928 წელს 25 ივნისს.

3) მეორე და შემდგომ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ ყველა მსურველებს.

ის ტვირთი, რომელიც გაუყიდავი დარჩა წინანდელ მაისის ვაჭრობიდან, გაიყიდება ამ ვაჭრობაში ხელმეორედ შეფასების თანხიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში—მუშაობის დროს, ხოლო ვაჭრობის დღეს ვაჭრობის დაწყებამდე.

დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობში. ნ. 1273

თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილება

თბილისის ელექტრო-მოწყობილობათა მომწესრიგებელ სამმართველოს „ტელასი“-ს

აბონენტების საყურადღებოთ აცხადებს, რომ ტელასი ღებულობს ყოველ ზომებს იმითსვის, რომ პერსონალი (მონტიორი, კონტროლიორი და აღმრიცხველი), რომელსაც უშუალოდ საქმე აქვს აბონენტებთან, ზრდილობიანად და თავაზიანად ეპყრობოდეს აბონენტებს.

ზემოდაღნიშნულ პერსონალის მიერ თავაზიანობის არსებულ წესების დარღვევის ყველა შემთხვევების შესახებ აცნობეთ ტელასში სათანადო ზომების მისაღებათ დისციპლინარულ სასჯელის სახით.

მეორეს მხრივ ადგილი აქვს აბონენტების მხრივ ტელასის პერსონალისადმი უხეში მოპყრობის შემთხვევებს, როგორიც მაგალითად პერსონალის არ დაშვება გათიშვის (отсоединение) შესახებ განკარგულების შესასრულებლად, უხეში და დაუშვებელი სიტყვებით მიმართვა და ოთახიდან ძალით გამოგდება მოქმედებით შეურაცყოფის მიყენებით. ტელასი აცხადებს, რომ ყველა იმ თანამშრომლებს, რომლებიც დადიან აბონენტების ბინებზე ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, აქვთ პირადობის სათანადო მოწმობები მათი უფლება-მოვალეობის აღნიშვნით. ამ უფლებების ფარგლებში აბონენტმა არ უნდა დაუშალოს თანამშრომელს ადმინისტრაციის განკარგულებათა შესრულება.

იმ შემთხვევაში, როცა გამოირკვევა, რომ აბონენტმა არ დაუშვა ტელასის თანამშრომელი ან უხეშად მოეპყრა მას, აბონენტს შეუწყდება სინათლის მიცემა იმდენი ხნით, რამდენსაც საჭიროდ დაინახავს ტელასის ადმინისტრაცია.

თბილისის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილება.

ნ. 1276

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი

დარეჯან ე. თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.

მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

დავკარგე: მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 20660 ჯვებე დადიანის სახელზე და ლომბარდის ქვითრები № № 54744—63989 ჩ. გ. 2758

დავკარგე: რაჭის მაზრის პატარა ონის სამხედრო მაგიდის მიერ გაცემული საღრიცხო ბარათი № 21 დომენტი შავლაძეს სახელზე, ჩ. გ. 2766

საქ. ს. მ. ფ. ს. საფეიქრო, ზეთის სახდელ და საპნის სახელმწიფო ტრესტის „საპონ-ზეთი“-ს

დასკვნითი ბალანსი

1927 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი

მუხლების დასახელება	თანხა კერძო		თანხა საერთო	
I. ძონება.				
1. შენობები საწარმოო, დამხმ. და სავაჭრო მნიშვნ.	303.091	24	—	—
2. საცხოვრებელი ბინები	79.711	42	—	—
3. ნაგებობანი	22.063	04	—	—
4. ძალური დადგმულება	139.509	93	—	—
5. ტეხნიკური გაწყობილება და მანქანები	405.812	91	—	—
6. იარაღი	5.216	44	—	—
7. სამნეო ინვენტარი	29.725	26	—	—
8. ტრანსპორტი	6.766	—	991.896	24
II სათადარიგო გაწყობილება	—	—	52.003	25
III დაუმთავრებელი ნაშენი	—	—	9.736	39
IV. დაუმთავრებელი კაპიტალური რემონტი	—	—	12.436	48
V. მასალა.				
1. ნედლეული და ძირითადი მასალა	297.632	70	—	—
2. დამხმარე მასალა	88.896	38	—	—
3. სათბობი მასალა	6.642	22	—	—
4. სარემონტო-საამშენებლო მასალა	37.921	77	—	—
5. მასალა გზაში	301	67	431.394	74
VI. დაუმთავრებელი წარმოება	—	—	73.089	59
VII. ნახევარ-ფაბრიკატები (საწყობში)	—	—	69.838	81
VIII. საქონელი და მზა-ნაწარმი.				
1. ქარხნების საწყობებში	231.531	51	—	—
2. სამმართველოს საწყობებში და მაღაზიებში	71.075	25	—	—
3. საქონელი გადაცემული საკომისიოთ	13.068	64	315.675	40
IX. ფულადი სახსარი.				
1. კასა (ნაღდი ფული, ჩეკები, მარკები, და სხვ.).	23.770	64	—	—
2. მიმდინარე ანგარიშები	39.534	60	63.305	24
X. ფასიანი და % % ქაღალდები	—	—	282	—
XI. პაიები და აქციები სხვა საწარმოთა	—	—	55.811	—
XII. სამისაღებო თამასუქები და დოკუმენტები.				
1. თამასუქები პორთფელში	130.067	83	—	—
2. სპეც. მიმდინარე ანგარიშ. უზრუნველყოფად.	76.334	83	—	—
3. პროტესტქმნილი თამასუქები	4.735	65	—	—
4. ბანკებში განაღდებული თამასუქები	390.285	79	—	—
5. ფასდადების და სხვა სამისაღებო დოკუმენტები	5.732	77	607.156	87
XIII. ანგარიშ-სავალდებულო თანხები	—	—	1.835	43
XIV. დებიტორები.				
1. მუშა-მოსამსახურენი	6.882	08	—	—
2. მომწოდებლები და მონარდენი	133.656	61	—	—
3. მყიდველები და დამკვეთელები	46.115	28	—	—
4. სხვადასხვა დებიტორები	10.860	71	—	—
5. საეჭვო დებიტორები	7.098	44	204.613	12
XV. მომავალ წლების ხარჯები	—	—	17.351	89
ბალანსი	—	—	2.906,426	45

პასივი

მუხლების დასახელება	თანხა კერძო		თანხა საერთო	
I. კაპიტალები				
1. საწესდებო კაპიტალი	—	—	1.179.395	55
2. საამორტიზაციო კაპიტალი	—	—	40.139	63
3. სარეზერვო კაპიტალი	—	—	34.126	02
II. ფონდები.				
1. მუშა-მოსამსახ. ყოფა-ცხოვრ. გაუმ. ფონდი (თავი ნ.)	—	—	14.892	38
2. მუშების გამოგონებათა წამახალისებელი ფონდი	—	—	274	51
III. რეზერვები:				
1. საეჭვო ვალების რეზერვი	—	—	11.834	09
2. ფასების დაკლების რეზერვი	—	—	84.056	30
IV. სესხები და კრედიტები.				
1. ბანკები სპეც. მიმდინ. ანგარიშებით:				
ა. უზრუნველყოფილი თამასუქებით	6.161	35	—	—
ბ. უზრუნველყოფილი საქონელი	24.373	11	—	—
2. ბანკების სესხი.	50.000	—	80.534	46
V. გაცემული თამასუქები.	—	—	461.124	07
VI. ბანკები განაღდებული თამასუქებით.	—	—	390.285	79
VII კრედიტორები				
1. მუშა-მოსამსახურენი.	3.341	19	—	—
2. მომწოდებლები და მონარდენი	36.785	20	—	—
3. მყიდველები და დამკვეთელები.	133.971	18	—	—
4. გადაუხდელი გადასახადები და ვალდებულებანი:				
ა. სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები	9.787	60	—	—
ბ. სოცდაზღვევის.	8.720	10	—	—
გ. ანარიცხი გრძელვადიან კრედიტის ფონდში	64	14	—	—
დ. სხვა გადასახადები და ანარიცხები	400	21	—	—
5. სხვადასხვა კრედიტორები.	44.540	09	237.609	71
VIII. მოგება საანგარიშო წლისა.	—	—	372.153	94
ბალანსი	—	—	2.906,426	45

ბალანსის იქითა მუხლები

მუხლების დასახელება	თანხა კერძო		თანხა საერთო	
1. უზრუნველსაყ. გაცემული თამასუქების პატრონნი	—	—	101.310	—
2. ფასეულობანი, მიღებული ბეთ და უზრუნველს. (საგარან. თამასუქ.)	—	—	10.455	—
ბალანსის იქითა ჯამი	—	—	111.765	—
სულ . .	—	—	2.906.426	45

მუხლების დასახელება	თანხა კერძო		თანხა საერთო	
1. გაცემული საგარანტიო თამასუქები	—	—	101.310	—
2. ბეთ მიღებულ ფასეულობათა პატრონნი	—	—	10.455	—
ბალანსის იქითა ჯამი	—	—	111.765	—
სულ . .	—	—	2.906.426	45

ბალანსის გარეშე:

მუხლების დასახელება	თანხა კერძო		თანხა საერთო	
1. მიწა 13.446 კვ. საჟ.	—	—	26.892	—
2. საწესდებო კაპიტალზე დარიცხ. I—X—26 წ. საამორტიზაც. ანარიცხების ნაშთი	—	—	128.448	27

მოგების განაწილება

მოგება—372.153—94, საშემოსავლო გადასახადის 10 პროც. 37.215—39 გამოკლებით—334.938—55 განაწილებულია შემდეგნაირად:

1. მუშა-მოსამსახურ. ყოფა-ცხოვრ. გაუმჯობეს. ფონდში	10%	—33.493—85
2. სარეზერვო კაპიტალში	10 „	—33.493—85
3. გრძელვადიან კრედიტის ფონდში	10 „	—33.493—85
4. საწარმოს გასაფართ. კაპიტალში	25 „	—83.734—63
5. საწარმოთა ხელმძღვ. პერსონალის წამახალისებელ ჯილდოს ფონდში	0,25 %	837—37
6. ხაზინის სასარგებლოდ	44,75 %	149.885—00
ჯამი. .	100 %	334.938—55

ეს ბალანსი დამტკიცებულია ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ხებადართულია გამოსაქვეყნებლად (ოქმი № 2, 28 აპრილის—1928 წ. მუხ.—8).

სმუს მთავარი ბუხჰალტერი **ჯანელიძე.**

მოგება-ზარალის ანგარიში

დებეტი

მუხლების დასახელება	თანხა კერძო		თანხა საერთო	
1. სავაჭრო ხარჯები	—	—	118.284	59
2. საერთო-საადმინისტ. ხარჯები	—	—	86.812	22
3. გადახდილი პროცენტები	—	—	90.760	28
4. მასალის, ნახევარ-ფაბრიკ. და საქონლის დანაკლისი.	—	—	26.193	02
5. უიმედო ვალების ჩამოწერა.	—	—	57.971	93
6. ანარიცხი საეჭვო ვალების რეზერვში	—	—	11.834	09
7. გადახდილი ჯარიმა და საურავი	—	—	5.119	72
8. ანარიცხი საქონლის ფასდაკლების რეზერვში	—	—	84.056	30
9. კონსერვაციაქმნილ საწარმოთა შენახვა	—	—	383	01
10. ზარალი საწარმოთა შეჩერების გამო	—	—	23.072	12
11. ზარალი გასულ ქონებიდან	—	—	2.144	78
12. სხვადასხვა ხარჯი და ზარალი	—	—	62.395	64
ჯამი	—	—	569.027	70
სალდო: წმინდა მოგება	—	—	372.153	94
ბალანსი	—	—	941.181	64

კრედიტი

მუხლების დასახელება	თანხა კერძო		თანხა საერთო	
1. მოგება საქონლის რეალიზაციიდან (შინაგ. ბაზ.)	—	—	684.928	48
2. მოგება მასალის რეალიზაციიდან	—	—	6.281	26
3. მოგება სამუშაოთა შესრულებიდან	—	—	45.440	52
4. მოგება საკომისიო საქონლის რეალიზაციიდან	—	—	396	61
5. მიღებული პროცენტები:				
ა. მიმდინარე ანგარიშებიდან	1.061	49	—	—
ბ. ანგარიშებიდან და თამასუქებიდან	30.598	86	31.660	35
6. მასალის, ნახევ.-ფაბრიკატ. და საქონლის მეტობა.	—	—	33.640	93
7. ჩამოწერილი უიმედო ვალების დაბრუნება	—	—	703	56
8. საეჭვო ვალების რეზერვის შემცირება	—	—	56.005	49
9. მიღებული ჯარიმა და საურავი	—	—	18.458	83
10. დივიდენდი, მიღებული სხვა საწარმ. მონაწილეობით.	—	—	170	—
11. სხვადასხვა შემოსავ. და მოგება	—	—	63.495	61
ჯამი	—	—	941.181	64
სალდო: წმინდა ზარალი	—	—	—	—
ბალანსი	—	—	941.181	64

სმუს საპონ-ზეთის ტრესტის მმართველი **რუხაძე**

მთ. ბუხჰალტერი **ლიუტი**

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 აათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 229 და საალრიცხო ბარათი კალისტე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 2765

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

დავეძებ

მოქალაქეს' რომელიც მოემგზავრებოდა ლენინგრადიდან თბილისში მეორე კლასის საერთაშორისო ვაგონით № 7—8 აცნობეთ ზინაიდა თედორეს ასულს. 2754

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—9 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 228 და საალრიცხო ბარათი ვალიკო გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 2764

დავკარგე: საბჭოთა და სავაჭრო პროფკავშირის წიგნაკი გრიგოლ იაგორის ძე გურგენიძეს სახელზე, ჩ. გ. 2754

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ● ● ● ● ● ● ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

დავკარგე: სამხედრო საალრიცხო ბარათი № 64, პირადობის მოწმობა, პროფ. კავშირის წიგნაკი, მოწმობა მოცემული „კომუნისტი“-ს კანტორიდან, ქსნის ქარხნიდან, კოოპერატივ „ქართლიდან“ ნესტორ დავითისძე ულენტის სახელზე, ჩ. გ. 2762

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უტკივნელოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

დავკარგე პირადობის მოწმობა 1227 ნინა მაკარენკოს სახელზე, ჩ. გ. 2761

დავკარგე: წითელარმიელის წიგნაკი № 30 მიხეილ თავშეფაძეს სახელზე, ჩ. გ. 7522

დავკარგე: საანგარიშო წიგნაკი № 106 ისიდორე ჯიჯიეშვილის სახელზე, 2751

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 13 მარტის დადგენილებისა № 12, ადმინისტრატიულ განყოფილების მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. იოვი სპირიდონისძე ჩაკაბერამ შემოიტანა განცხადება მისი სახელის ახალ სახელზე ვლადიმერზე გამოცვლის შესახებ.

საერთო საადმ. ქ | განყ.
უფროსი ჯავახიშვილი
მმაჩის ბიუროს გამგე
შარაძენიძე
საქმისმწარმოებელი
კიკალიშვილი
2755

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68